

**NINO KIRVALIDZE**

**MODERN THEORIES  
OF GRAMMAR**

**( A course of lectures for MA and PhD students  
of English philology)**

**TBILISI 2008**

ნიგნს საფუძვლად უდევს ლექციების ციკლი "გრამატიკის თანამედროვე თეორიებში", რომელსაც ავტორი კითხულობს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენათა ფილოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურაში ანგლისტიკა-ამერიკანისტიკის სპეციალობაზე.

სალექციო კურსის დასახელებაში ტერმინი "გრამატიკა" გამოიყენება ფართო გაგებით, რაც ითვალისწინებს იმ რეგულარული და ობლიგატორული კანონზომიერებების განზოგადებას (როგორც სიტყვის, ასევე წინადადების და ტექსტის დონეზე), რომელთა ერთობლიობაც უზრუნველყოფს ენის, როგორც ნიშანთა სისტემის, არსებობას და ფუნქციონირებას.

კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს სხვადასხვა ლინგვისტური სკოლების და მიმდინარეობების მიერ შემუშავებული თანამედროვე მორფოლოგიურ-სინტაქსური კონცეფციები და მოდელები, რომლებშიც რეალიზებას ჰპოვენ ვერბალურ ნიშანთა სისტემის ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტები.

ნიგნი განკუთვნილია ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

**რეცენზენტები:** ფილოლოგიის დოქტორი,  
ასოც. პროფესორი ნინო თევდორაძე  
ფილოლოგიის დოქტორი ლალი გომიაშვილი

**რედაქტორი:** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი მადონა მეგრელიშვილი

© 2008 **გრამატიკის თანამედროვე თეორიები**  
MODERN THEORIES OF GRAMMAR

ISBN 978-9941-0-0774-3

## ს ა რ ჩ ე ვ ი

<b>ლექცია 1</b>	XX საუკუნის ენათმეცნიერება და სტრუქტურალიზმი. შესავალი .....	7
<b>ლექცია 2</b>	პრადის ლინგვისტური სკოლა: ფუნქციური ლინგვისტიკა .....	12
<b>ლექცია 3</b>	ნინადადების ფუნქციური პერსპექტივა და ტექსტის ინფორმაციული განვრცობის დანეშისეული მოდელები .....	19
<b>ლექცია 4</b>	კოპენჰაგენის ლინგვისტური სკოლა: გლოსემატიკა .....	30
<b>ლექცია 5</b>	იელის ლინგვისტური სკოლა: ამერიკული დესკრიფციული ლინგვისტიკა .....	39
<b>ლექცია 6</b>	ენის სტრატეფიკაციული მოდელის ცნება თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში .....	50
<b>ლექცია 7</b>	სინტაგმატური და პარადიგმატური მიმართებები ენობრივ ნიშანთა შორის .....	55
<b>ლექცია 8</b>	ტრანსფორმაციული მეთოდი და ტრანსფორმაციული ნარმომშობი გრამატიკა .....	59
<b>ლექცია 9</b>	ვალენტობის ცნება ენათმეცნიერებაში .....	72
<b>ლექცია 10</b>	ჩარლზ ფილმორის ლინგვისტური კონცეფცია "ბრუნვათა შესახებ" .....	81
<b>ლექცია 11</b>	ენობრივი ნიშნის ევოლუცია მე-20 საუკუნის ლინგვისტიკაში .....	87
<b>ლექცია 12</b>	ჩარლზ პირსი და ჩარლზ მორისი, როგორც ენობრივი სისტემის სამგანზომილებიანი სემიოტიკური მოდელის ფუძემდებლები .....	94
<b>ლექცია 13</b>	კოგნიტური ლინგვისტიკა და რეფერენციის თეორია .....	99

ლექცია 14	“სამეტყველო აქტების თეორია” თანამედროვე ლინგვისტიკაში	112
ლექცია 15	დეიქსისის თეორია თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში .....	125
გამოყენებული ლიტერატურა .....		144

# ლექცია 1

## XX საუკუნის ენათმეცნიერება და სტრუქტურალიზმი

### შესავალი

XX საუკუნის 30 - 60-იანი წლები ხასიათდება მეცნიერების ყველა დარგის, მათ შორის ენათმეცნიერების, სწრაფი აღმავლობით.

კვლავინდებურად აქტუალურია ლინგვისტიკის ფილოსოფიური საფუძვლების და პრაქტიკული მიზანდასახულობის საკითხების შესწავლა-განზოგადება, შედარებით-ისტორიული და ტიპოლოგიური ენათმეცნიერება, სოციოლინგვისტიკა.

ამავდროულად ვითარდება და ღრმავდება თეორიული ენათმეცნიერება. ყალიბდება ახალი ლინგვისტური სკოლები და მიმართულებანი. გერმანული, ფრანგული და იტალიური ენათმეცნიერების გვერდით ჩნდება ჩეხური, ამერიკული და სხვა ლინგვისტური სკოლები. იქმნება ახალი ლინგვისტური დისციპლინები, ზუსტდება და იხვეწება ლინგვისტურ კვლევათა მეთოდოლოგია და ენის სწავლების მეთოდიკა.

ლინგვისტიკის ისტორიაში ახალ ეტაპად ითვლება სტრუქტურული და მათემატიკური ენათმეცნიერების წარმოშობის და გაფურჩქვნის პერიოდი. ეს ორი ლინგვისტური მიმართულება, რომელიც XX საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბდა, აგრძელებდა და ავითარებდა იმას, რაც მომზადებული და ნაკარნახევი იყო XIX საუკუნის ენათმეცნიერების მიერ.

სტრუქტურალიზმი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ლინგვისტური მიმართულება, კონკრეტულ ისტორიულ მიდგომას მოითხოვს. მისი ძირითადი პრინციპების წარმოსაჩენად,

საჭიროა იმ სკოლების განხილვა, რომლის ფარგლებშიც ის ჩამოყალიბდა.

ტერმინი “სტრუქტურალიზმი” ენათმეცნიერებასთან მიმართებაში პირველად გამოყენებულ იქნა 1939 წელს, თუმცა ამ ლინგვისტურ მიმართულებას უფრო ადრე ჩაეყარა საფუძველი. თავდაპირველად იგი განიხილებოდა როგორც ფ. დე სოსიურის მიერ გამოთქმულ იდეათა შემდგომი განვითარება. 30-იანი წლების ბოლოდან კი სტრუქტურულმა ლინგვისტიკამ გამოყოფა დაიწყო და ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბდა. ეს პროცესი მიმდინარეობდა სტრუქტურალიზმის სხვადასხვა სკოლების ფორმირების ფონზე.

სტრუქტურალიზმი წარმოიშვა, ერთი მხრივ, როგორც ნეოგრამატიზმის უარყოფა მისი გადაჭარბებული ყურადღების გამო ენის ისტორიის და მისი ცალკეული მოვლენებისადმი; ხოლო მეორე მხრივ, როგორც ფსიქოლოგიური და სოციო-ფსიქოლოგიური მიმართულებების უარყოფა მათი ემპირიული და ინდუქციური ნყოფის გამო.

სტრუქტურალიზმის წარმოშობა განაპირობა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებამ XX საუკუნეში. ელემენტებისა და სტრუქტურის იდეებმა ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც შეაღწიეს — სტრუქტურალისტური მიმართულებები შეიქმნა ლიტერატურათმცოდნეობაში, ეთნოგრაფიაში, ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში და ა.შ.. სიმბოლური ლოგიკის განვითარებამ კი ბიძგი მისცა მეცნიერული ინტერესის ორიენტირებას ლინგვისტური ანალიზის დედუქციური და აქსიომური ტიპის მეთოდოლოგიის შექმნაზე.

სტრუქტურალიზმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ენობრივ მოვლენათა განპირობებულობას ენის სტრუქტურით. მაგრამ, მან ცალმხრივად და გადაჭარბებით შეაფასა ამ სტრუქტურულობის როლი იმით, რომ მხედველობის არედან გამორიცხა ენობრივ მნიშვნელობათა განპირობებულობა ექსტრალინგვისტური და პრაგმატიკული ფაქტორებით.

- ა) დაკვირვების (ემპირიისა) და კონსტრუქტების დონეთა გამიჯვნაში (ანუ, მეტყველების და ენის, ტექსტის და სისტემის, ქცევისა და მოდელის გამიჯვნაში);
- ბ) პარადიგმატიკაში ოპოზიციურობის ხერხის გამოყენებაში;
- გ) სინტაგმატიკაში კი ანალიზის დისტრიბუციული მეთოდის გამოყენებაში.

მიუხედავად ამოსავალი თეორიული დებულებების მსგავსებისა, სტრუქტურალიზმის სკოლებს შორის შეიმჩნეოდა არსებითი განსხვავებები როგორც ზოგიერთ თეორიულ საკითხში, ასევე ტერმინოლოგიაში. კერძოდ, მე-20 საუკუნის 30-იანი წლებისათვის გამოიკვეთა ოთხი მიმართულება სინტაქსის საგნის და მისი კვლევის მეთოდებისადმი:

1. სინტაქსი შეისწავლიდა ნებისმიერ შესიტყვებათა სისტემას. ამგვარი მიდგომის დროს წინადადება განიხილებოდა როგორც შესიტყვების ერთ-ერთი სახეობა;
2. სინტაქსი შეისწავლიდა წინადადებებს და წინადადებათა შიგნით — სიტყვათა შეერთებებს. შესაბამისად, შესიტყვება გაიგებოდა როგორც წინადადების ნაწილი;
3. სინტაქსში ცალკე-ცალკე შეისწავლებოდა შესიტყვება და წინადადება. მათგან პირველი განიხილებოდა როგორც არაკომუნიკაციური დონის ერთეული, ხოლო წინადადება კი კომუნიკაციური დონის ერთეულად მოიაზრებოდა;
4. შესიტყვების აგებულება სინტაქსის ობიექტად იყო მიჩნეული, მაშინ როდესაც მისი მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული ბრუნვის, დროის, კილოსა და სხვა გრამატიკულ კატეგორიათა მნიშვნელობა სტილისტიკის საგნად განიხილებოდა.

წინადადების და მისი სტრუქტურული აგებულების განსაზღვრისას არსებობდა სამი ძირითადი მიმართულება: ლოგიკური ანუ პრედიკატულ-არგუმენტული, ფსიქოლოგიური ანუ ფსიქოლოგიური სუბიექტისა და პრედიკატის ურთიერთობით განპირობებული და ფორმალური ანუ ენობრივ-გრამატიკული.

სტრუქტურალიზმს, როგორც ლინგვისტურ მიმართულებას, თავისი ისტორია აქვს. შეიძლება ვილაპარაკოთ ადრეულ (30 — 40-იანი წლების) და გვიანდელ (60 — 70-იანი წლების) სტრუქტურალიზმზე. სტრუქტურალიზმის ძირითადი სკოლებია:

1. პრალის ლინგვისტური სკოლა, რომელმაც ფუნქციურ ლინგვისტიკას ჩაუყარა საფუძველი;
2. კოპენჰაგენის ლინგვისტური სკოლა, რომელიც გლოსემატიკის თეორიის შემქმნელად ითვლება;
3. იელის ლინგვისტური სკოლა, რომელიც ამერიკული დესკრიფციული ლინგვისტური სკოლის სახელით არის ცნობილი.



## ლექცია 2

### პრალის ლინგვისტური სკოლა: ფუნქციური ლინგვისტიკა

პრალის ლინგვისტური სკოლა, რომლის ბირთვსაც წარმოადგენდა პრალის ლინგვისტური (საენათმეცნიერო) წრე, სტრუქტურალიზმის სკოლებიდან ყველაზე ადრე, 1926 წელს ჩამოყალიბდა პროფესორ მათეზიუსის ხელმძღვანელობით. გარდა ჩეხი მეცნიერებისა (სკალიჩკა, ჰავრანეკი), მასში გაერთიანებული იყვნენ ცნობილი რუსი ემიგრანტი ლინგვისტები — იაკობსონი, ტრუბეცკოი და კარცევსკი, ფრანგი — მარტინე, ავსტრიელი — კარლ ბიულერი, ხოლო მოგვიანებით კი რუსი (საბჭოთა) ენათმეცნიერები — ვინოგრადოვი, ვინოკური, ოვანესოვი და ზოგიერთი სხვა.

პრალის ლინგვისტური სკოლა ცნობილია ფუნქციური ლინგვისტიკის ფუძემდებლად. ამ სკოლის ძირითადი შეხედულებები ენათმეცნიერების, მათ შორის გრამატიკის საკითხებთან დაკავშირებით, სისტემატურად ქვეყნდებოდა მათ მიერვე გამოცემულ შრომების კრებულში. 1964 წელს, სლავისტთა I ყრილობასთან დაკავშირებით, ცალკე წიგნად გამოიცა "პრალის ლინგვისტური წრის თეზისები", რომელიც ამ სკოლის პროგრამას წარმოადგენდა.

პრალის ლინგვისტური სკოლის დევიზი იყო ენის სისტემურ-სტრუქტურული და ფუნქციურ-მიზნობრივი შესწავლა. მათ თეზისებში ნათქვამია, რომ ენა არის გამოხატვის საშუალებათა სისტემა, რომელიც რაღაც გარკვეულ მიზანს ემსახურება. ეს კი თავის მხრივ განაპირობებს ენობრივ ერთეულთა ფუნქციური ასპექტის წინა პლანზე წამოწევას. აქედან გამომდინარე, წინადადების და მისი წევრების ანალიზის დროს მთავარი ყურადღება ფუნქციას ექცევა, ხოლო თვით სინტაქსს თეზისებში ფუნქციური სინტაქსი ეწოდება.

ფუნქციური მიდგომა ანუ ენის ფუნქციური მოდელი, გულისხმობს ენისა და სამეტყველო ქმედების (ე.ი. მეტყველების) მრავალფუნქციურობას, რის გამოც იგი მოიცავს, ერთი მხრივ, მოძღვრებას ენის სხვადასხვა ფუნქციასა და ფუნქციური სტილების შესახებ; ხოლო მეორე მხრივ კი — მოძღვრებას სამეტყველო ქმედების ფუნქციური წყობის შესახებ.

“პრალის ლინგვისტური წრის თეზისებში” ენის ფუნქციური გაგება ემყარება კარლ ბიულერის მოძღვრებას ენობრივი ფუნქციების და ენის ინსტრუმენტული მოდელის შესახებ, რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში: ადამიანის აქვს აზროვნების, შეგრძნების და გამოხატვის ფსიქიკური უნარი, რაც ასახვას ჰპოვებს ენის სამ ფუნქციაში. ესენია:

1. კომუნიკაციური ანუ შეტყობინების ფუნქცია;
2. გამოხატვის ფუნქცია;
3. მიმართვის ანუ აპელატიური ფუნქცია.

ამ ფუნქციებს შეესაბამება გამონათქვამის სამი ტიპი (თხრობითი, დახილის და ბრძანებითი) და ენობრივი ნიშნის სტრუქტურა სამეტყველო აქტში, რომლის მექანიზმიც მოიცავს ენობრივი ნიშნის მიმართებებს, ერთი მხრივ, შეტყობინების საგნისადმი; მეორე მხრივ, მოლაპარაკისა და მსმენელისადმი. ჩეხი ლინგვისტები აღნიშნავდნენ, რომ ენის სისტემა შექმნილია არა გამოხატულების, არამედ კომუნიკაციის მიზნით.

პრალის ლინგვისტური სკოლის წარმომადგენელთა შრომებში შენარჩუნებულია გრამატიკის ტრადიციული დაყოფა მორფოლოგიად და სინტაქსად. მასში მოცემულია სინტაქსის და მისი მთავარი ობიექტის — წინადადების განსაზღვრის საინტერესო ცდები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინადადების აქტუალური დანაწევრების (Actual Division of a Sentence) და კლიშე-წინადადების ცნებების გამოყენება. მათეზიუსი წინადადებას განიხილავს როგორც ენის გრამატიკული სისტემის

აბსტრაქტირებულ მოდელს ანუ "კლიშეს", რომელიც მეტყველებაში რეალიზდება კონკრეტული გამონათქვამის სახით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ მეცნიერის ლინგვისტურ კონცეფციაში, წინადადება წარმოადგენს ენის სისტემურ ერთეულს, ხოლო გამონათქვამი კი — მეტყველებაში აქტუალიზებულ წინადადებას ანუ სამეტყველო-კომუნიკაციურ ერთეულს. წინადადებაში სიტყვათა შეერთება ხდება სინტაგმატური მიმართებების საფუძველზე. ძირითადი სინტაგმატური მიმართება, რომელიც ქმნის წინადადებას, გამოხატულია პრედიკაციით, რის გამოც ფუნქციური სინტაქსი უპირველესად შეისწავლის ქვემდებარის და შემასმენელის ტიპებს და მათ შორის არსებულ ურთიერთობებს.

ყურადღებას იმსახურებს ვ. სკალიჩკას მიერ განხილული ისეთი შემთხვევები, როდესაც კლიშე-წინადადების ადგილს იკავებს ანუ აზრს გამოხატავს ე.წ. ერთნევრიანი წინადადება (მაგალითად, "Fire!", "Help!") ან კონსტრუქციები, რომლებშიც არ ფიგურირებს ზმნის პირიანი ფორმით გამოხატული შემასმენელი — *verbum finitum*, თუმც მათში წინადადების აზრობრივი დასრულებულობა შესაბამისი ინტონაციური გაფორმებით არის გამოხატული. სკალიჩკას აზრით, დარღვეული კლიშეს მქონე წინადადება ემოციური სტილის გამომხატველია, რა დროსაც ინტონაცია იღებს თავის თავზე წინადადების, როგორც კომუნიკაციური ერთეულის, ფუნქციურ დახასიათებას.

მოგვიანებით, ამგვარმა ფუნქციურმა მიდგომამ ასახვა ჰპოვა თავად "ტექსტის" ცნების განმარტებაში. ფუნქციური პოზიციიდან, ტექსტად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ზომის გამონათქვამი, იქნება ეს სიტყვა, ფრაზა, ცალკეული წინადადება თუ თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანმიმდევრობა, თუ მას შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს კომუნიკაცია.

ფუნქციური სინტაქსისათვის არსებითია მათეზიუსის მიერ შემუშავებული წინადადების აქტუალური დანაწევრების თეორია, რომელიც უპირისპირდება წინადადების ფორმალურ დანაწევრებას გრამატიკულ ქვემდებარედ და შემასმენლად. წინადადების აქტუალური დანაწევრება გულისხმობს წინადადების ჩართვას იმ საგნობრივ კონტექსტში, რომლის ბაზაზეც იგი წარმოიშვა, რის გამოც იგი დაკავშირებულია წინადადების ფუნქციური პერსპექტივის ცნებასთან (1970-იან წლებში გამოქვეყნდა ჩეხი მეცნიერების — დანეშის, ტრავნიჩეკის და ფირბასის სტატიები, სადაც წინადადების აქტუალური დანაწევრება მოიხსენიება როგორც “Functional Sentence Perspective”).

ამ თეორიის თანახმად, ყოველი მომდევნო წინადადება კომუნიკაციურ პლანში წინამორბედს ეყრდნობა, წასწევს რა შეტყობინებას უკვე ცნობილიდან ახალ, აქტუალურ ინფორმაციამდე. ეს გულისხმობს წინადადების დანაწევრებას შეტყობინების ამოსავალ პუნქტად ანუ გამონათქვამის საფუძვლად, რომელსაც ფუნქციურ სინტაქსში თემას უწოდებენ, და გამონათქვამის ბირთვად ანუ რემად. წინადადების აქტუალურ დანაწევრებაში ამოსავალი პუნქტი არის ის, რაც მოცემულ სიტუაციაში ადრესატისათვის ცნობილი (*given*) ან შედარებით ადვილი მისახვედრია. ეს არის თემა ანუ ის, რის შესახებაც შეტყობინება კეთდება, მაშინ როდესაც გამონათქვამის ბირთვი ანუ რემა (ბერძნ. *rhema* “ნათქვამი”) ინფორმაციის იმ ახალ (*new*), აქტუალურ ნაწილზე მიუთითებს, რისი შეტყობინებაც ხდება თემასთან დაკავშირებით.

ლინგვისტური პრაგმატიკის პოზიციიდან თუ გავაანალიზებთ, შეიძლება ითქვას, რომ წინადადების აქტუალური დანაწევრება ორიენტირებული არის ადრესატზე და ამდენად კომუნიკაციურ-პრაგმატიკულია თავისი არსით. ესა თუ ის ითვლება ცნობილად (ამოსავალ პუნქტად) და ახლად (გამონათქვამის ბირთვად) სწორედ ადრესატის თვალსაზრისით.

გამონათქვამის ამოსავალი პუნქტი შეიძლება დაემთხვეს გრამატიკულ ქვემდებარეს, ხოლო ბირთვი კი — შემასმენელს. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ხდება, შეიძლება ბირთვი ქვემდებარემ წარმოადგინოს, ხოლო ამოსავალი პუნქტი კი — შემასმენელმა. ასეთ დროს, ზოგიერთ ენაში იცვლება წინადადების წევრთა არანჟირება (თანმიმდევრობა) ან მისი ინტონაციური კონტური.

მათეზიუსი მიუთითებს, რომ გამონათქვამის საფუძვლად (თემად) შეიძლება ასევე გვევლინებოდეს მეტყველი სუბიექტი ან თანამოსაუბრე, რომლებიც წინადადებაში შესაბამისად აღინიშნება ზმნის პირველი ან მეორე პირის ფორმებით. ინგლისურ ენაში წინადადების წევრების ფიქსირებული წყობის გამო აქტუალური დანაწევრება ჩვეულებრივად ემთხვევა მის ფორმალურ-გრამატიკულ დანაწევრებას ქვემდებარედ და შემასმენელად, რაც იმას ნიშნავს, რომ შეტყობინების ამოსავალი პუნქტი ანუ თემა, როგორც წესი, წინ უსწრებს მესიჯის ბირთვს ანუ რემას. ასეთ თანმიმდევრობას მათეზიუსი ობიექტურს უწოდებს. ამ შემთხვევაში გადასვლა ხდება ნაცნობიდან უცნობზე, რაც მსმენელს უადვილებს მოსმენილის გაგებას. ხშირად მეტყველ სუბიექტს სურს, რომ ყურადღება გაამახვილოს და ხაზი გაუსვას იმას, რისი შეტყობინებაც ხდება. ასეთ დროს წინადადების თემა-რემატული დისტრიბუცია ინვერტირებული ხდება, ანუ რემა წინ უსწრებს თემას. აქტუალური დანაწევრების ასეთი თანმიმდევრობა უკვე სუბიექტურ წყობად არის მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ ობიექტურ თანმიმდევრობას მათეზიუსი არამარკირებულს უწოდებს, სუბიექტურს კი — მარკირებულს.

ენობრივი საშუალებები, რომლითაც აქტუალური დანაწევრების ობიექტური და სუბიექტური თანმიმდევრობა გამოიხატება, სხვადასხვა ენაში ერთმანეთისგან განსხვავდება. ინგლისურ ენაში ობიექტური თანმიმდევრობა წინადადების გრამა-

ტიკულ სტრუქტურას ემთხვევა. სუბიექტური თანმიმდევრობისას კი გამოიყენება შემდეგი ენობრივი საშუალებები:

1. ლოგიკური მახვილი, რომელიც უნივერსალურ საშუალებას წარმოადგენს გამონათქვამის ბირთვის ანუ რემის აღსანიშნად:

The student is reading a ' book. =

What is the student reading?

(ანუ, აქ "ნიგნი" არის რემა)

The ' student is reading a book. =

Who is reading a book?

(აქ "სტუდენტი" არის რემა)

2. სიტყვათა ინვერტირებული წყობა:

Inside (რემა) was a vase of flowers (თემა).

3. კონსტრუქცია there is / there are:

There is a book (რემა) on the table (თემა).

4. ემფატიკური კონსტრუქციები - It is that; It is who.

It is Nick (რემა) who broke the vase (თემა).

5. წინდებულიანი კონსტრუქციები ვნებით გვარში :

The text was translated (თემა) by me (რემა).

ამრიგად, წინადადების აქტუალური დანაწევრების თეორიის მიხედვით, რომელიც თავისი არსით ფუნქციურ-კომუნიკაციურია, ყოველი გამონათქვამი ორი აქტისგან შედგება:

1. ერთის მიზანია, კონკრეტული ან ჰიპოთეტური სინამდვილიდან ამოარჩიოს და ენობრივი საშუალებით დააფიქსიროს ის მონაკვეთი, რომლის შესახებაც მეტყველ სუბიექტს სურს შეტყობინების გაკეთება;

2. მეორე აქტი კი მდგომარეობს იმაში, რომ ენობრივი

ნიშნები, რომლებიც სინამდვილის ამ მონაკვეთს აღნიშნავენ, ურთიერთკავშირში შევიდნენ, რის შედეგადაც ორგანულად იქმნება წინადადება.

ეს არის კომუნიკაციური მიდგომა, რაც განაპირობებს კვლევის შემდეგ მიმართულებას:

- მეტყველებიდან, როგორც უშუალო მოცემულობისგან, მივდივართ ენისაკენ, რომელიც სისტემის სახით არსებობს მხოლოდ იდეალურ პლანში;
- ფუნქციური მოთხოვნილებებიდან მივდივართ იმ ფორმალური საშუალებებისაკენ, რომელთა მეშვეობითაც ფუნქციური მოთხოვნილებები კმაყოფილდება.

ინფორმაციის თემა-რემატულმა დისტრიბუციამ წარმოაჩინა, რომ შეუძლებელია კომუნიკაციის მოქცევა წინადადების ჩარჩოში, რაც იმას ნიშნავს, რომ ენობრივ ერთეულთა ფუნქციური ანალიზი მოითხოვს მათ განხილვას უფრო მაღალ, კონკრეტულად კი — ტექსტობრივ დონეზე.

## ლექცია 3

### წინადადების ფუნქციური პერსპექტივა და ტექსტის ინფორმაციული განვრცობის დანებისაუღი მოდელი

წინადადების აქტუალური დანანევრების თეორიამ, რომელიც მის ფუნქციურ ანუ ინფორმაციულ პერსპექტივას გულისხმობს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბებაში.

როდესაც ვმეტყველებთ, ჩვენ კომუნიკაციას ვახორციელებთ არა ცალკეული სიტყვებითა და ფრაზებით, არამედ თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანმიმდევრობით, რის შედეგადაც იქმნება ტექსტი. მათეზიუსის მიერ შემუშავებული წინადადების აქტუალური დანანევრების თეორია წარმოადგენს იმ თეორიულ საფუძველს, რომელიც იძლევა ტექსტის კომუნიკაციურ-ინფორმაციული განვრცობის მოდელირების შესაძლებლობას.

წინა ლექციაში აღვნიშნეთ, რომ ამ თეორიის თანახმად, კომუნიკაციის პროცესში ყოველი მომდევნო წინადადება ინფორმაციულ პლანში წინამორბედს ეყრდნობა, წასწევს რა შეტყობინებას კომუნიკანტებისათვის უკვე ცნობილი ან ადვილად მისახვედრი პუნქტიდან ახალ, აქტუალურ ინფორმაციამდე. შესაბამისად ხდება წინადადების დანანევრება თემატად და რემატად. მათეზიუსის ლინგვისტურ კონცეფციაზე დაყრდნობით, თემა განისაზღვრება როგორც გამონათქვამის ამოსავალი პუნქტი ანუ ის, რის შესახებაც შეტყობინება კეთდება; უმეტეს შემთხვევაში, თემა ან უკვე ცნობილია კომუნიკანტებისათვის, ან მოცემულ სამეტყველო სიტუაციაში მისი დადგენა პრობლემას არ წარმოადგენს. რემა კი იმ ახალ ინფორმაციაზე მიუთითებს, რისი შეტყობინებაც ხდება თემასთან დაკავშირებით.



მათეზიუსის ამ იდეამ შემდგომი განვითარება ჰპოვა ფირბასის, დანეშისა და სხვათა შრომებში. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ჩეხმა ლინგვისტებმა შეიმუშავეს ე.წ. “წინადადების ფუნქციური განვრცობის პერპექტივა”<sup>1</sup> (“Functional Sentence Perspective”), რომელიც წარმოაჩინეს, თუ როგორ ხდება კომუნიკაციის პროცესში წინადადების სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურების ურთიერთქმედებით ინფორმაციის განვრცობა.

ჩეხმა ენათმეცნიერებმა აღმოაჩინეს და ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით დაასაბუთეს, რომ ტექსტის ინფორმაციულ განვრცობას და სიტყვათა არანაწილებას წინადადებაში, წინადადებებისას კი — ტექსტში, საფუძვლად უდევს აზრის ლოგიკური განვითარება და მენტალური პროცესები. ამ თეორიის თანახმად, ტექსტის მათგან განსხვავებულ ძირითად ელემენტს წარმოადგენს თემა, მაშინ როდესაც რემა მხოლოდ წინ წასწევს შეტყობინებას.<sup>1</sup>

პრალის ლინგვისტური სკოლის ახალი თაობა უფრო დინამიური იყო თავის მიდგომაში. მათ დაამტკიცეს, რომ მეტყველებაში აქტუალიზებული წინადადება უპირველესად მესიჯის მატარებელია და თემა-რემატული მიმართებების დადგენის საფუძველზე შესაძლებელია ტექსტის კომუნიკაციური-ინფორმაციული განვრცობის მოდელირება.

მსოფლიო აღიარება მოიპოვა ფრანტიშეკ დანეშის<sup>2</sup> მიერ 1974 წელს შემუშავებულმა ტექსტის ინფორმაციული გან-

- 
- 1 იხ. იან ფირბასის აზრი: “Themes will be the main constructing elements of the text, while Rhemes will push the message forward.” (J. Firbas - On the dynamics of written communication in the light of the theory of Functional Sentence Perspective. - In: C. Cooper, S. Greenbaum, eds. Studying Writing: Linguistic Approaches. Beverlie Hills: Sage, 1986, pp. 40 - 71.
  - 2 F. Danes - Functional sentence perspective and the organization of the text. - In: F. Danes, ed. Papers on Functional Sentence Perspective, Prague: Academia / The Hague: Mouton, 1974, pp. 106 -128.

ვრცობის მოდელზე. რამდენადაც ეს მოდელები ადამიანის კოგნიტურ მენტალურ პროცესებს ეფუძნება, იმდენად ისინი საერთოა ბევრი ენისთვის, რის გამოც ლინგვისტურ ლიტერატურაში მათ უნივერსალიებად განიხილავენ. დანემის მიხედვით, ტექსტის სტრუქტურული გაბმულობა (კოჰეზია) და მისი აზრობრივი მთლიანობა (კოჰერენტულობა) უშუალოდ არის დაკავშირებული ინფორმაციის თემა-რემატულ ორგანიზებასთან, რაც თავის მხრივ მენტალურ პროცესებს ეფუძნება.

რაში მდგომარეობს ამ თეორიის ორიგინალურობა? კომუნიკაციის პროცესში, ტექსტის განვრცობის პარალელურად, კომუნიკანტებს უგროვდებათ საკმაოდ დიდი მოცულობის ინფორმაცია, რომლის კონტროლირებაც ხორციელდება მეტყველი სუბიექტის მიერ გამონათქვამ-მესიჯის თემის შერჩევით და დაფიქსირებით. დანემმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ სწორედ თემატური პროგრესია უზრუნველყოფს ტექსტის შინაგან გაბმულობას, ხოლო თემა-რემატული დისტრიბუციის ტიპი (მათი ურთიერთ კონტამინაცია და იერარქიულობა) კი განაპირობებს ტექსტის კომუნიკაციურ-ინფორმაციულ მოდელირების ვარიაციულობას. დანემის აზრით, ტექსტის თემატური პროგრესია მისი სიუჟეტის მაორგანიზებელ ღერძს წამოადგენს.<sup>1</sup>


მიუხედავად თემატური ელემენტების წინა პლანზე წამოწევისა, დანემი ხაზს უსვამს თემა-რემატული ურთიერთობების განუყოფლობას და მიუთითებებს, რომ მხოლოდ რემასთან მიმართებაში და მასთან ერთად ხდება ტექსტის კომუნიკაციურ-ინფორმაციულ სტრუქტურაში თემატური პროგრესიის ტიპების დადგენა.

1 "Text connexity is represented, among other things, by thematic progression, i.e. the choice and ordering of utterance themes, their mutual concatenation and hierarchy, as well as their relation to the hyperthemes of the superior text unit (such as paragraph, chapter, etc.), to the whole text, and to the situation. Thematic progression might be viewed as the skeleton of the plot" (Danes, F., *Functional Sentence Perspective and the organization of the text*, p. 114).

ემპირიული მასალის კვლევის შედეგად, დანეში გვთავაზობს ტექსტის ინფორმაციული განვრცობის სამ ძირითად ტიპს. ესენია:

1. ინფორმაციის მარტივი ხაზოვანი თემატური პროგრესია (Simple linear thematic progression of information), რომლის დროსაც თითოეული გამონათქვამის რემა მომდევნო გამონათქვამის თემად გადაიქცევა. ეს მოდელი შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სქემის სახით:

სქემა 1



ტექსტის კომუნიკაციურ-ინფორმაციული განვრცობის აღნიშნული მოდელის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ფრაგმენტს რ. პ. უორენის ცნობილი რომანიდან “მეფის მთელი მხედრიონი”, სადაც ფრჩხილებში მოცემული სიმბოლოები თვალსაჩინოდ წარმოადგენს, თუ როგორ ხაზოვნად ხდება თითოეული რემის თემატიზაცია ყოველ მომდევნო გამონათქვამში:


Then Lucy Stark (T-1) got up from her chair, walked to the Boss(R-1) and laid her hand on his right arm (R-1). He (T-2) drew away, without looking at her (R-2). But she (T-3) took him by the forearm and drew him (R-3), and after a momentary resistance he (T-4) followed her (R-4). She (T-5) led him back to the big chintz-covered chair (R-5). “Sit

down, Willie. Sit down and rest" (R-6), she said very quietly (T-6).

(Warren R.P., All the King's Men, p. 345)

2. ინფორმაციის თემატური პროგრესია მუდმივი ანუ გამჭოლი თემით (Thematic progression with a constant theme). ამ ტიპის მოდელით ინფორმაციის განვრცობა ხდება მონოთემატურ დესკრიპტულ მაკრო- ან მიკროტექსტებში, რომლებშიც ხორციელდება მსჯელობის საგნის თვისობრივი დახასიათება სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით. ეს მოდელი სქემატურად შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

### სქემა 2



აღნიშნული მოდელით ხდება ტექსტის ინფორმაციული განვრცობა, მაგალითად, ქვემოთ მოყვანილ დესკრიპტული ხასიათის ტექსტში, რომელშიც ავტორი შთამბეჭდავ ფერებში გვიხატავს მთავარი მოქმედი პირის — აივორ ლომბარდის უაღრესად საინტერესო პორტრეტს:


Nature and fortune had vied with one another in heaping on Ivor Lombard all their choicest gifts. He had wealth and he was perfectly independent. He

was good-looking, possessed an irresistible charm of manner, and he was the hero of more amorous successes than he could remember. He had a beautiful untrained tenor voice; he could improvise with a startling brilliance, rapidly and loudly, on the piano. He was a good amateur medium and telepathist, and had a considerable first-hand knowledge of the next world. He could write rhymes versed with an extraordinary rapidity. For painting symbolical pictures he had a dashing style. He excelled in amateur theatricals and, when occasion offered, he could cook with genius. He resembled Shakespeare in knowing little Latin and less Greek. For a mind like his, education seemed supererogatory. Training would only have destroyed his natural aptitude.

(Huxley A., *Crome Yellow*, p. 135-136)

3. ინფორმაციის თემატური პროგრესია ჰიპერთემიდან ნაწარმოები თემების საშუალებით (Thematic progression of information with derived themes from hypertheme). ეს მოდელი წარმოდგენილია შემდეგი სქემის სახით:

სქემა 3



ტექსტის კომუნიკაციურ-ინფორმაციული განვრცობის ეს მოდელი ხშირად გვხვდება ქალაქებისა და სოფლების აღწერი-სას, ტურისტულ ცნობარებში, ენციკლოპედიურ სტატიებსა და ნარატიულ ტექსტებში. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ საგაზეთო სტატია, რომელიც ეძღვნება ერთი კონკრეტული დასახლების — სეინტ ვინსენტის გეოგრაფიულ და სოციალურ აღწერას:

**St. Vincent is small: 18 miles long and 11 wide, mountainous and lush (1). Banana plantations cling to steep volcanic hills (2) and coconut palms sway in the brisk trade winds which lash the Atlantic coast (3), stirring up its black sand (4). The people are warm, friendly and poor (5). Unemployment is between 30 and 40 per cent (6) but few go hungry in such lush surroundings (7).**


(The Observer, Sunday, 5 September, 2004 )

მოცემული ტექსტი მონოთემატურია თავისი შინაარსით, რამდენადაც მასში მოცემული ინფორმაცია მთლიანად სეინტ ვინსენტის დასახლებას ეძღვნება. ამ ტექსტის ინფორმაციუ-ლი განვრცობის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში თემატური პროგრესია ხორციელდება მიკროთემების საშუ-ალეობით (banana trees, coconut palms, the people, unemploy-ment), რომლებიც მთავარი თემის, ე.წ. მაკროთემის (ჩვენს მაგ-ალითში ეს არის St. Vincent) შემადგენლებად მოიაზრება. რითია განპირობებული სტატიის ავტორის ეს სტრატეგია, როდესაც იგი მკითხველის ორიენტირებას ახდენს ციცაბო ვულკანურ ბორცვებზე შეფენილ ბანანის პლანტაციებსა და პალმების ღელვაზე, ადგილობრივი ხალხის სიტბოსა და ბუნების სიმ-დიდრეზე? პასუხი შეიძლება იყოს ერთი. ტექსტი აღებულია

გაზეთის საკვირაო დამატებიდან და იგი ორიენტირებულია საშუალო ფენის ინგლისელ ტურისტ მკითხველზე, რომელიც კონსერვატულია თავისი ბუნებით და ტრადიციული წარმოდგენა აქვს ტროპიკული ქვეყნების სილამაზესა და ცხოვრების სტილზე. ენციკლოპედიური სტატიებისაგან განსხვავებით, ამგვარ ტექსტებს სარეკლამო ფუნქციური დანიშნულება და, შესაბამისად, ორმაგი კომუნიკაციური დატვირთვა აქვთ: მათ მიზანს წარმოადგენს როგორც ინფორმაციის მიწოდება მკითხველებისათვის, ასევე მათზე ზემოქმედების მოხდენა, რათა შვებულების გასატარებლად მათ არჩევანი შეაჩერონ ტექსტში აღწერილ ადგილზე.

დანეშის მიერ შემოთავაზებული ზემოხსენებული სამი მოდელი საყრდენ მოდელებს წარმოადგენს. ტექსტის კომუნიკაციურ-ინფორმაციული განვრცობის დროს ხშირად ხდება მათი გართულება სინტაქსური პარალელიზმით, კოორდინაციული და სუბორდინაციული მიმართებებით, ნომინალიზებული კონსტრუქციებითა და სხვა, რაც ინვესს მოცემული სქემების შესაბამის მოდიფიკაციას. ემპირიული მასალის კვლევა უჩვენებს, რომ ასეთ ცვლილებებს განიცდის უმთავრესად ინფორმაციის თემატური პროგრესია გამჭოლი თემით. თავად დანეში ამ მოდელის ყველაზე გავრცელებულ მოდიფიკაციას გვთავაზობს:

4. ტექსტის თემატური პროგრესია გამჭოლი თემითა და რთული "გახლეჩილი რემით" (Thematic progression with a constant theme and complicated 'split rheme'), რომელშიც თითოეული გამონათქვამის რემა, აღნიშნავს რა ხდომილებას ან სიტუაციას, რთული პროპოზიციული სემანტიკისაა, რის გამოც მას საკუთარი თემა-რემატული სტრუქტურა აქვს. ეს მოდელი შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სქემის სახით:



გავაანალიზოთ ნაწყვეტი რ. პ. უორენის რომანიდან, "მეფის მთელი მხედრონი", რომელშიც თხრობა განხორციელებულია პირველ პირში:

**I saw the people walking in the plaza of little town in the desert. I saw the waitress in the restaurant wave in feeble protest at the fly. I saw the traveling salesman standing at the hotel desk just ahead of me. I saw the shepherd standing alone on an enormous mesa. I saw the Indian woman with eyes the color of black-strap molasses looking at me over a pile of pottery. As I looked at all these people I felt great strength in my secret knowledge .**

(Warren R.P., *All the King's Men*, p. 286).


მოცემული ტექსტობრივი სეგმენტი წარმოადგენს სინტაქსური პარალელიზმით მარკირებულ მონოთემატურ მიკროტექსტს. ინფორმაციის განვრობა ხორციელდება გამჭოლი თემატური პროგრესიით (თემა ფიქსირებულია მეტყველი სუბიექტის აღმნიშვნელი დეიქტური ნაცვალსახელით "I") და რთული "გახლეჩილი რემით" მასზე დაქვემდებარებული თემა-



რემატული მიმართებებით (თვალსაჩინოების მიზნით რემები გამუქებულია - ნ.კ.). თითოეული რემა პროპოზიციული სემანტიკის მატარებელია, რაც ენობრივად გაფორმებულია მიმღეობიანი კონსტრუქციით (Objective with the participle construction), რომელშიც არგუმენტულ-პრედიკატული ურთიერთობებია რეალიზებული.

5. ლინგვისტურ ლიტერატურაში ამ მოდელის კიდევ ერთი მოდიფიკაცია არის ცნობილი. ეს არის ინფორმაციის თემატური პროგრესია პარალელური გამჭოლი მიკროთემებით, რომლებიც ერთიანი მაკროთემის კონსტიტუენტებად გვევლინება (Thematic progression with parallel theme-rheme development of the microthemes constituting the theme as a whole). ეს მოდელი სქემატურად შემდეგნაირად გამოისახება:

სქემა 5



ამ ტიპის მოდელით ხდება ინფორმაციის განვრცობა, მაგალითად, ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში:

**They stood before each other now, Lester pale and rather flaccid, Robert clear, wax-like, well-knit and shrewd; Robert was the clean, decisive man, Lester the man of doubts. Robert was the spirit of**

business energy and integrity embodied, Lester the spirit of commercial self-sufficiency, looking at life with an uncertain eye. Together they made a striking picture.

( Dreiser T., Jennie Gerhardt, p. 200)

საილუსტრაციო მაგალითი წარმოადგენს დესკრიფციული შინაარსის მიკროტექსტს, რომელიც კონტრასტულ ფერებში გვიხატავს ძმები კეინების — ლესტერისა და რობერტის ვერბალურ პორტრეტს. ინიციალურ გამონათქვამში ავტორი ახდენს თემის შემოყვანას ანაფორული პრონომინალური ერთეულით — they, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ შეტყობინება კეთდება ადრესატისათვის კონტექსტიდან ცნობილ პიროვნებებზე, ძმებ კეინებზე. მომდევნო გამონათქვამებში კი მათი ინდივიდუალური დახასიათება ხორციელდება, რაც განაპირობებს ინფორმაციის თემის დაშლას ორ მიკროთემად (Lester and Robert), რომლებიც ერთმანეთის პარალელურად განივრცობა კონტრასტული შინაარსის მქონე რემების საშუალებით. ბოლო წინადადებაში ავტორი კვლავ ერთად წარმოგვიდგენს ძმებ კეინებს, შესაბამისად კი ახდენს მიკროთემების გაერთიანებას ერთ თემაში, რითაც ლოგიკურად კრავს და ჩარჩოში ათავსებს კომუნიკაციურად დასრულებულ ტექსტობრივ მონაკვეთს.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ დანემისეული მოდელეები აბსტრაქტულ სქემებს წარმოადგენს, რომლებიც თვალნათლივ წარმოაჩენს ინფორმაციის განვრცობის სტრუქტურულ კანონზომიერებებს მიკროტექსტის დონეზე. მთლიანი ტექსტის დონეზე კი ეს მოდელეები ურთიერთქმედებენ მეტყველი სუბიექტის (ავტორის) კომუნიკაციური ინტენციისა და კონკრეტული სამეტყველო სიტუაციის შესაბამისად.

## ლექცია 4

### კოპენჰაგენის ლინგვისტური სკოლა: გლოსემატიკა

სტრუქტურალიზმის კოპენჰაგენის სკოლა ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში. მისი დამაარსებლები იყვნენ ლ. იელმსლევეი, ვ. ბრენდალი და ჰ. ულდალი. ტერმინი "გლოსემატიკა" (ბერძნულიდან "ენა"), როგორც ახალი ლინგვისტური თეორიის სახელი, ენათმეცნიერულ ლიტერატურაში პირველად გამოჩნდა 1936 წელს. თავად გლოსემატიკური თეორიის არსი კი სრულად იყო ჩამოყალიბებული 1943 წელს გამოქვეყნებულ ლუი იელმსლევის მონოგრაფიაში "ენის თეორიის პროლეგომენები" ("Prolegomena to a Theory of Language"). მოგვიანებით, 1957 წელს, გამოვიდა ჰ. ულდალის ნაშრომი "გლოსემატიკის საფუძვლები" ("An Outline of Glossematics").

როგორც ლ. იელმსლევეი აღნიშნავდა, ტერმინი "გლოსემატიკა" შემოღებულ იქნა იმ მიზნით, რომ ზღვარი გაეკლოთ ტრადიციულ ენათმეცნიერებასა და კვლევის ახალ სტრუქტურულ მეთოდს შორის. გლოსემატიკა წარმოადგენს ლინგვისტიკის აქსიომური თეორიის შექმნის ცდას.

ლუი იელმსლევის თეორიაში, რომელიც "ენის იმანენტურ ალგებრად" განიხილება, შემოტანილია ენობრივი რეალობისაგან დამოუკიდებელი დედუქციური ალგებრული გამოთვლის მეთოდი. ხსენებული მეთოდი იძლეოდა ენის უფრო თანმიმდევრულად და ამომწურავად აღწერის საშუალებას. ამ კონცეფციის ორიგინალურობა მდგომარეობდა იმაში, რომ ენა განიხილებოდა როგორც მიმართებათა სტრუქტურა, როგორც სქემა, რომელიც მუდმივი და საპირისპიროა იმ შემთხვევითი

(ფონეტიკური, სემანტიკური და ა.შ.) რეალიზაციისა, რომლითაც იგი წარმოჩინდება.

ლ. იელმსლევნი არ ეთანხმებოდა მანამდე გავრცელებულ დებულებას იმის შესახებ, რომ ენა არ არის რეგულირებადი, რის გამოც შეუძლებელია მისი აღწერა ზუსტი განმარტებადებული მეთოდებით. ამის საპირისპიროდ, იგი გვთავაზობს ენის აღწერას სტრუქტურალისტური პოზიციიდან. მას მიაჩნდა, რომ ლინგვისტიკის შესწავლის ნამდვილ ობიექტს ენის სტრუქტურა წარმოადგენს. სტრუქტურის შესწავლა კი შესაძლებელია მხოლოდ იმ დამოკიდებულებათა აღწერით, რომლებიც ქმნის ამ სტრუქტურას, რადგანაც სწორედ ენის ელემენტებს შორის არსებული შინაგანი ურთიერთდამოკიდებულებანი არის ის მუდმივი, უცვლელი და იდენტური, რაც წარმოადგენს ლინგვისტიკის ნამდვილ საგანს. იელმსლევნი აზრით, ყოველი მეცნიერული მტკიცება უნდა იყოს მტკიცება ურთიერთკავშირებზე, რომელიც არ გაითვალისწინებს თავად იმ ელემენტების ცოდნასა და თვისობრივ აღწერას, რომლებიც შედის ამ ურთიერთკავშირში.

ენისა და მეტყველების სოსიურისეულ დიქტომიას ლ. იელმსლევნი უპირისპირებს სქემის, ნორმისა და უზუსის ცნებებს. მის კონცეფციაში, *სქემა* გაგებულია როგორც მიმართებათა წმინდა ფორმა, რომელიც ინდიფერენტულია რეალური ენობრივი მასალისადმი. *სქემა* უპირისპირდება ნორმას და უზუსს. *ნორმა* განიხილება როგორც მატერიალური ფორმა, რომელიც განისაზღვრება მოცემულ სოციალურ რეალობაში, მაგრამ არ არის დამოკიდებული დეტალებზე. *უზუსი* კი ეწოდება მოცემულ სოციალურ კოლექტივში მიღებულ ჩვევათა ერთიანობას, რომელიც რეალიზებას ჰპოვებს კონკრეტულ სამეცხველო აქტებში. მათგან, ლ. იელმსლევნი ნორმას განიხილავდა როგორც ფიქციას: არ არის არსებითი ის სუბსტანცია, სადაც ხდება მოცემული ენობრივი ფორმის მანიფესტაცია. ბოლო

ჯამში, იელმსლევის თეორიაში, ენა გაიგივებულია სქემასთან, რის შესაბამისადაც ლინგვისტიკის საგნად წარმოგვიდგება მეტაენა, ხოლო თავად ლინგვისტიკა ამ დროს მეტასემიოტიკად მოიაზრება.

ენის რეალობის, განსაკუთრებით კი ენობრივი ნორმის უარყოფას გარდუვალად მივყავართ იქამდე, რომ იშლება პრინციპული ზღვარი ენასა და ისეთ სხვა ნიშნობრივ სისტემებს შორის, როგორცაა, მაგალითად, ქუჩის სიგნალიზაცია, ტელეფონის დისკი, მორზეს ანბანი და სხვა. იელმსლევის აზრით, ამ ტიპის ნიშანთა გლოსემატიკური (სტრუქტურული) შესწავლა საინტერესოა ენათმეცნიერებისათვის, რადგანაც ისინი წარმოაჩენენ ენის ელემენტარულ მოდელებს იმ გართულებების გარეშე, რომლებიც მხოლოდ მაღალგანვითარებული, ადამიანთა ენისათვის არის დამახასიათებელი. ლუი იელმსლევს შესაძლებლად მიაჩნდა არავერბალურ ნიშანთა სისტემების "ენის" რუბრიკის ქვეშ მოქცევა, რამდენადაც იგი ბგერით ენას განიხილავდა როგორც ნიშნობრივ ენათა ერთ-ერთ სახეობას. ამავედროულად, თავის ნაშრომში "ენის თეორიის პროლეგომენები" ლ. იელმსლევი ყურადღებას ამახვილებს იმ განსაკუთრებულ ადგილზე, რომელიც ენას უკავია სხვა ნიშანთა სტრუქტურებს შორის. მისი აზრით, ენა არის ისეთი სემიოტიკა ანუ ნიშანთა ისეთი სისტემა, რომლითაც შეიძლება გადმოიცეს ნებისმიერი სხვა სემიოტიკური სტრუქტურა და ამას ხსნის იმით, რომ მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივ ადამიანურ ენას შეუძლია შეზღუდული რაოდენობის არანიშნობრივი ელემენტებისაგან შექმნას უსასრულო რაოდენობის ნიშნები და მათ გამოყენებით ააგოს უფრო მსხვილი ერთეულები.

კოპენჰაგენის ლინგვისტური სკოლის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ სტრუქტურული მიდგომისას იხსნება განსხვავება ენის სხვადასხვა დონის ერთეულებს (წინადადებებს, სიტყვებს, მორფემებს) შორის, რადგან მათ ყველას ახასიათებს

ერთგვაროვანი ფუნქციები და შეიძლება განხილულ იქნენ ანალიზის ერთიან პროცესში.

ენა, როგორც იელმსლევი თვლის, თავისი შინაგანი სტრუქტურით წარმოადგენს ფიგურებისა და ნიშნობრივი ფუნქციების კრებულს. ფიგურებს იგი უწოდებს არანიშნებს, რომლებიც ნიშანთა ასაგებად გამოიყენება; ფუნქციას კი განიხილავს როგორც ნიშნების დამოკიდებულებას, რომელიც აკმაყოფილებს ანალიზის პირობებს. ფუნქციები და ფიგურები თვლადია, რამდენადაც მათი რიცხვი ლიმიტირებულია. მაგრამ, როგორც ეს მეცნიერი აღნიშნავს, ენა იმდენად ორგანიზებულია, რომ ერთი მუჭა ფიგურებით და მათი სულ ახალი და ახალი განლაგებით შეიძლება აიგოს ნიშანთა მთელი ლეგიონი.

ფიგურებისა და ფუნქციების გამოყოფამ ენობრივი სტრუქტურის ერთეულებად და კატეგორიებად ლუი იელმსლევი მიიყვანა შემდეგ დასკვნამდე: ენის სტრუქტურა წარმოადგენს დამოკიდებულებათა ანუ ფუნქციათა ქსელს. სტრუქტურა ხასიათდება იერარქიულობით, რომელიც შინაგან წესრიგზეა დამყარებული და ერთადერთი ამოსავალი ნერტილი აქვს. ეს იერარქია შეიძლება გამოაშკარავდეს დედუქციური და შეუქცევადი პროცედურის გზით, რაც გულისხმობს თანდათანობით გადასვლას ყველაზე აბსტრაქტული და ზოგადი მოვლენებიდან ყველაზე კონკრეტული მოვლენებისაკენ.

იელმსლევისა და მისი მიმდევრების აზრით, სტრუქტურული მოდელი თითქოსდა საშუალებას გვაძლევს თავი ავარიდოთ ლინგვისტიკის ტრადიციულ დაყოფას ფონეტიკად, მორფოლოგიად, სინტაქსად, ლექსიკოლოგიად და სემანტიკად, რაც მათ არასრულფასოვნად მიაჩნდათ, რადგანაც ხშირად ერთი ცნება კვეთს მეორეს. ამის სანაცვლოდ გლოსემატიკაში შემოდის ენის დაყოფა ოთხ პლასტად ანუ ფენად (*strata*), რომლის თანახმადაც ენაში გამოიყოფა შინაარსის პლანი და გამობატვის პლანი, რომლებსაც გააჩნია საკუთარი სუბსტან-

ცია და ფორმა. შინაარსის პლანი და გამოხატვის პლანი ურთიერთდამოკიდებულია და ერთმანეთის გარეშე არ არსებობს, მაშინ როდესაც თითოეულ მათგანში სუბსტანციასა და ფორმას შორის ურთიერთობას უკვე დაქვემდებარებული ხასიათი აქვს: ფორმა არის განმსაზღვრელი და მუდმივი, ხოლო სუბსტანცია კი დამოკიდებული და ცვლადი. აქედან გამომდინარე, იელმსლევს მიაჩნდა, რომ ლინგვისტური ანალიზის ძირითად ობიექტს უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ფორმა როგორც გამოხატულების, ისე შინაარსის პლანში, სუბსტანციას კი ლინგვისტურ კვლევასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს. ამის გამო ფონეტიკა და სემანტიკა, რომლებიც ამ სუბსტანციებს სწავლობენ, გამოყვანილ უნდა იქნეს ენათმეცნიერებიდან როგორც დამხმარე დისციპლინები და ენის გამოხატვისა და შინაარსის პლანების შესწავლა განხორციელდეს სუფთა ფორმალურ ფუნქციურ საფუძველზე. ამით აიხსნება გლოსემატიკის მჭიდრო კავშირი ფორმალურ ლოგიკასთან, რომელიც გამოთვლის პრინციპებს ეფუძნება.

კოპენჰაგენის სკოლას ორიგინალური სინტაქსური თეორია არ შეუქმნია. მაგრამ უაღრესად საინტერესოა მათ მიერ შემოთავაზებული ტექსტის ლინგვისტური აღწერის მეთოდოლოგია, რომელიც, ერთი მხრივ, გარკვეულ პარალელს პოულობს ამერიკული დესკრიფციული ლინგვისტიკის მიერ შემუშავებულ, ე.წ. უშუალო შემადგენელთა ანალიზთან (Immediate Constituents Analysis); მეორე მხრივ კი ეხმიანება წარმომშობი გრამატიკის პრინციპებს.

ლუი იელმსლევის კონცეფციაში, ტექსტი არის ის ობიექტი, რომელიც უნდა აინტერესებდეს ლინგვისტურ თეორიას. გლოსემატიკური თეორიის მიზანია, შექმნას ენის აღწერის ისეთი პროცედურული მეთოდი, რომლითაც შესაძლებელი იქნება არაწინააღმდეგობრივად, ამომწურავად და მარტივად აღწეროს როგორც მოცემული, ისე ნებისმიერი ტექსტი, მათ შორის ისეთიც, რომელიც მომავალში შეიქმნება. იელმსლევის აზ-

რით, ტექსტების ამგვარი პროცედურული ანალიზის შედეგად გამოვლენილ და განზოგადებულ იქნება ენის სისტემური ორგანიზების კანონზომიერებანი, რის საფუძველზეც თეორიულად შესაძლებელი გახდება როგორც ნებისმიერი ტექსტის ანალიზი, ასევე ახალი ტექსტის აგებაც.

გლოსემატიკაში პირველადია სისტემის არსებობა, რომელიც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ტექსტის არსებობისათვის, მაგრამ არა პირიქით: სისტემა შეიძლება არსებობდეს, მაგრამ არ გამომჟღავნდეს ტექსტის სახით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფუნქცია ანუ დამოკიდებულება ტექსტსა და სისტემას შორის განსაზღვრულია: მუდმივი სიდიდეა სისტემა, ხოლო ტექსტი — ცვლადი.

პროცედურული ანალიზი იწყება ტექსტიდან როგორც მოცემული მთლიანობიდან. ანალიზი მიმდინარეობს თანდათანობითი დაყოფის გზით, ანუ დედუქციური გადასვლით კლასიდან სეგმენტზე, სადაც მიღებული სეგმენტები კვლავ კლასებად განიხილება და ხდება მათი შემდგომი დაყოფა სეგმენტებად და ეს პროცედურა მეორდება მანამდე, სანამ ანალიზი არ იქნება ამომწურავი. გლოსემატიკაში ანალიზად გაგებულია ობიექტის აღწერა.

თავდაპირველი ობიექტი, რომლის აღწერასაც აქვს ადგილი არის კლასი. ის ობიექტები, რომლებიც კლასის დაყოფის შედეგად მიიღება როგორც კლასზე და ერთმანეთზე დამოკიდებული, წარმოადგენს სეგმენტებს. ანალიზის გაგრძელების შემთხვევაში, ლაპარაკობენ უკვე დერივატებზე, რომლებიც წარმოადგენს ზემდგომის მიმართ სეგმენტის სეგმენტებს, ხოლო ქვემდგომის მიმართ კი — სეგმენტებს.

ანალიზის დასაწყისში კლასად განიხილება ტექსტი, რომელიც თანდათან იყოფა ელემენტებად. თავდაპირველად იგი იყოფა პერიოდებად. პერიოდები თავის მხრივ იყოფა წინადადებებად, წინადადებები — სიტყვებად, სიტყვები — მორფემებად, ხოლო მორფემა კი — ფონემებად. ანალიზი გრძელდება მა-



ნამდევ, სანამ არ მივიღებთ დაუშლელ ერთეულს. ოპერაციას, რომელიც ანალიზის ყოველ ეტაპზე ადგენს ელემენტებს, კომპუტაცია ეწოდება. მაგრამ ანალიზი მდგომარეობს არა მარტივ დაშლაში, არამედ ერთეულებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების, ე.ი. ფუნქციის დადგენაში და კომპონენტების გაერთიანებაში კლასებად, რომლებიც შეიძლება გამოვიდეს ერთი და იმავე ფუნქციის წევრებად. ყველა კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს ერთი და იგივე ფუნქციონალური კლასის წევრს, სტრუქტურულ ეკვივალენტებად მოიაზრება.

ამგვარად, პერიოდები არის ტექსტის I ხარისხის დერივატები, წინადადებები შესაბამისად განიხილება როგორც ტექსტის II ხარისხის დერივატები და პერიოდის I ხარისხის დერივატები, სიტყვები კი წარმოადგენენ წინადადების I ხარისხის, პერიოდის II ხარისხის და ტექსტის III ხარისხის დერივატებს. ეს ნიშნავს იმას, რომ სახეზე გვაქვს ენობრივი სისტემის იერარქიულობის პრინციპი, რომლის თანახმადაც ყოველი უფრო დაბლა მდგომი ერთეული მხოლოდ მასზე უშუალოდ მაღლამდგომი ერთეულის სეგმენტი ანუ შემადგენელი ნაწილია. მაგალითად, სიტყვები არის წინადადების სეგმენტები, მაგრამ არა პერიოდის ან ტექსტის.

ანალიზის ყოველ მომდევნო ეტაპზე ელემენტების რიცხვი მცირდება. ცოცხალ ენაში პერიოდებისა და წინადადებების რიცხვი უსასრულოა და გაცილებით მეტია ვიდრე სიტყვებისა, ხოლო ფონემათა რიცხვი არ აღემატება ორნიშნა რიცხვს. ანალიზის რალაც ეტაპზე ხდება გადასვლა ნიშნებიდან არანიშნებისაკენ. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ არანიშნებს, რომლებიც შედიან ნიშანთა სისტემაში როგორც მათი ნაწილები, იელმსლვევი ფიგურებს უწოდებს და მიუთითებს, რომ ვერბალური სემიოტიკური სტრუქტურის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ მას შესწევს უნარი არანიშნობრივ ერთეულთა ანუ ფიგურათა განსაზღვრული რაოდენობისაგან აავოს საჭირო ნიშნების განუსაზღვრელი რაოდენობა. აქედან გამომდინარე,

ენა განისაზღვრება როგორც ფიგურათა სისტემა, რომელიც ნიშანთა ასაგებად გამოიყენება..

გლოსემატიკაში, ტექსტის ანალიზის პროცესში არსებითია ის მიმართებანი, რომლებიც მყარდება მის შემადგენელ როგორც ერთი დონის, ასევე სხვადასხვა დონის ელემენტთა შორის. ელემენტები მხოლოდ ამ მიმართებათა საფუძველზე არსებობენ. მიმართება არსებობს როგორც ტექსტის შემადგენელ წინადადებებს შორის, ისე სიტყვათა შორის წინადადებაში და სიტყვაში მის შემადგენელ ელემენტთა შორის. ამგვარად, ტექსტი, წინადადება და სიტყვა ერთნაირი მეთოდით აღინერება მიმართებათა საფუძველზე.

ლ. იელმსლევის თეორიაში, ტექსტის ანალიზისას საკუთრივ სინტაქსური ასპექტი ცალკე გამოყოფილი არ არის, არც წინადადების ანალიზისათვის საჭირო სპეციფიური ტერმინოლოგიაა გამოყენებული. უბრალოდ, ტექსტი დაყოფილია პერიოდებად, პერიოდები — რთულ წინადადებებად, რთული წინადადებები — მარტივად, ეს უკანასკნელი — ფრაზებად, სიტყვებად და ა.შ.. გლოსემატიკაში დაყოფის ყოველ დონეს ელემენტთა საკუთარი ინვენტარი შეესაბამება. აღმოჩნდება, რომ ტექსტის სხვადასხვა ადგილას გვხვდება “ერთი და იგივე” რთული წინადადება, “ერთი და იგივე” მარტივი წინადადება, “ერთი და იგივე” სიტყვა და ა.შ., ანუ გვხვდება ნიმუში ყოველი რთული და მარტივი წინადადებისა, ყოველი სიტყვისა და ა.შ. ამ ნიმუშებს იელმსლევი ვარიანტებს უწოდებს, ხოლო არსს, რომლის ნიმუშებსაც ისინი წარმოადგენენ, ინვარიანტად მოაიხსენიებს. იგი მიუთითებს, რომ ვარიანტები გამოვლინდება ტექსტის უშუალო დაყოფის შედეგად, მაშინ როდესაც სხვადასხვა დონის ერთეულების ინვარიანტის გამოსავლენად უკვე სპეციალური მეთოდის შემუშავება ხდება საჭირო იმ კრიტერიუმების დასადგენად, რომლებიც უზრუნველყოფს ინვარიანტის გამოვლენას.

იელმსლევისაგან განსხვავებით, კოპენჰაგენის სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებელს ვ. ბრენდალს მოცემული აქვს უნივერსალური, ლოგიკური გრამატიკის შექმნის მცდელობა. აღსანიშნავია, რომ ბრენდალი თავის პრაქტიკულ მუშაობაში ინარჩუნებდა მორფოლოგიის და სინტაქსის ცნებებს. ამავდროულად, მან შემოიტანა ახალი ცნება “მორფოსინტაქსი” ისეთ მოვლენათა აღსანიშნავად, როგორცაა სიტყვათა რიგები, მათი გამოყენება წინადადებაში, სიტყვათა სემანტიკური ცვლილება კონტექსტში და სხვა. მიუხედავად ამისა, მან მაინც ვერ შეძლო მოესპო არსებული ზღვარი მორფოლოგიასა და სინტაქსს შორის, რათა უგულველყო გრამატიკის ამ ორი დარგის არსებობა.

კოპენჰაგენის სკოლის მიერ შემუშავებული გლოსემატიკის თეორიის ძირითად დადებით მომენტს წარმოადგენს ენობრივ ნიშანთა სისტემაში სტრუქტურულ მიმართებათა ანალიზის პროცედურული მეთოდის გამოყენება, რომელიც ითვალისწინებს ენობრივი ერთეულებისა და მათი ნიშან-თვისებების თანდათანობით გამოყოფას ტექსტიდან ქვევით — მინიმალურ დაუშლელ ერთეულამდე. ეს იყო ლინგვისტიკის აქსიომური, მათემატიკური თეორიის შექმნის მცდელობა, რადგანაც იელმსლევის თეორიაში ენა განიმარტა როგორც იერარქიულ მიმართებათა სტრუქტურული სქემა ანუ აბსტრაქტული მოდელი, რომლის აღწერაც შესაძლებელი იყო დედუქციური, არანინაალმდეგობრივი, ამომწურავი ალგებრული გამოთვლის მეთოდით, რის შესაბამისადაც ლინგვისტური ანალიზი ზოგადლოგიკურ ოპერაციებს ემორჩილებოდა. ამავდროულად, ზოგადსემიოტიკური და ლოგიკურ-მათემატიკური იდეების გამოყენებამ ენის აღწერაში საფუძველი მოამზადა მანქანური და მათემატიკური ლინგვისტიკის განვითარებისათვის.

## ლექცია 5

### იელის ლინგვისტური სკოლა: ამერიკული დესკრიფციული ლინგვისტიკა

ამერიკული ლინგვისტიკის სათავეებთან დგას ორი ისეთი გამოჩენილი ენათმეცნიერი, როგორებიც იყვნენ ე. სეპირი და ლ. ბლუმფილდი.

ე. სეპირი ეთნოლინგვისტიკისა და ენათა ტიპოლოგიის შესწავლის ფუძემდებელია. მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომია მონოგრაფია "Language", რომელიც 1921 წელს გამოვიდა შტატებში. ფ. ბოასის მსგავსად, სეპირი იყო ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და მექსიკის აბორიგენი (ძირეული) ხალხების ენათა უდიდესი მკვლევარი. ე. სეპირის იდეებმა შემდგომი განვითარება ჰპოვეს ბ. უორფისა და ჯ. გრინბერგის გამოკვლევებში.

ამერიკული სტრუქტურული ლინგვისტიკის განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ლეონ ბლუმფილდმა, რომლის შეხედულებებიც მოცემულია მის ფუნდამენტალურ ნაშრომში "Language" (1933). ბლუმფილდის სახელთან არის დაკავშირებული ამერიკული დესკრიფციული ლინგვისტიკის ჩამოყალიბება, რომელიც ცნობილი არის იელის ლინგვისტური სკოლის სახელით. ამ სკოლის წარმომადგენლები იყვნენ ბლუმფილდის მოწაფეები და მიმდევრები: ჯ. ტრეიგერი, ზ. ჰარისი, გ. გლისონი, ჩ. ჰოკეტი და სხვები. დესკრიპტივისტები საკუთარ იდეებს აქვეყნებდნენ ჟურნალში "Language", რომელსაც დღესაც გამოსცემს ამერიკის ლინგვისტური საზოგადოება.

ბლუმფილდმა დაასაბუთა ენის ფორმალურ-სტრუქტურული აღწერის აუცილებლობა ფიზიკის ტერმინებით და შეიმუშავა კიდევ ასეთი აღწერის ზოგადი მეთოდიკა და კვლევის ხერხე-

ბი. დესკრიფციული ლინგვისტიკის არსი მდგომარეობს შემდეგში: ლინგვისტიკა არის მეცნიერება გამოხატულების და არა მნიშვნელობის შესახებ. ენა აღიარებულია ხაზოვან არსად, ხოლო მისი მონაკვეთების შემადგენლები — ელემენტებად. დესკრიფციული ანალიზის ამოსავალ წერტილად და ერთადერთრეალობად მიჩნეულია სამეტყველო ნაკადის მონაკვეთი — წინადადება, ხოლო საბოლოო მიზანს წარმოადგენს მოცემული ენის გრამატიკული სტრუქტურის დადგენა. ეს რეზულტატი კი მიიღწევა ერთი და იგივე ორსაფეხურიანი პროცედურის მეშვეობით. ეს არის:

1. ელემენტების დადგენა სეგმენტაციის გზით;
2. ამ ელემენტების დისტრიბუციის დადგენა, ანუ მათი ურთიერთმიმართების (გარემოცვის) შესწავლა მეტყველების პროცესში.

ეს პროცედურა გამოიყენება ორჯერ: ა) ფონოლოგიური ელემენტების განსაზღვრის და მათ შორის ურთიერთობის ანუ მათი დისტრიბუციის დადგენისას და ბ) მორფოლოგიური ელემენტების განსაზღვრის და მათ შორის ურთიერთობის დადგენის დროს.

ამრიგად, დისტრიბუციის ცნება წარმოადგენს დესკრიპტივიზმის მეთოდოლოგიურ საფუძველს. ელემენტის დისტრიბუცია — ეს არის მისი გარემოცვის ერთობლიობა, რომელიც ასევე შედგება ელემენტებისაგან. ფონემისათვის — ეს არის მისი წინამორბედი და მომდევნო ფონემა, მორფემისათვის — მისი წინა და შემდეგი მორფემა.

დესკრიპტივისტებს ენის სტრუქტურა ესმით როგორც გამოხატვის სტრუქტურა, რომელიც იქმნება ენის ორი ძირითადი ერთეულის — ფონემებისა და მორფემების დისტრიბუციით. შესაბამისად, დესკრიფციული ლინგვისტიკის ცენტრალურ ნაწილებად მიჩნეულია ფონოლოგია და მორფოლოგია. ფონოლოგია იყოფა ფონემიკად, ანუ მოძღვრებად ამა თუ იმ ენის

ფონემათა სისტემის შესახებ, და ფონოტაქტიკად, ანუ თეორიად ფონემათა კლასებისა და მათი დისტრიბუციის (ე.ი. არან-ჟირების) შესახებ. მორფოლოგია იყოფა მორფემიკად, ანუ მოძღვრებად ამა თუ იმ ენის მორფემათა სისტემის შესახებ, და მორფოტაქტიკად, ანუ მოძღვრებად მორფემათა დისტრიბუციის შესახებ.

დესკრიფციულ ლინგვისტიკაში ერთ-ერთ მთავარ მომენტად ითვლება სიტყვის მორფო-სტრუქტურული ანალიზი, რომელიც ხორციელდება მორფემებისა და მათი დისტრიბუციის დადგენის გზით.

საინტერესოა დესკრიპტივისტიკის მიერ შემუშავებული თეორია მორფოლოგიური დონის ერთეულების — მორფისა და მორფემის ურთიერთმიმართებების შესახებ. ისინი იზიარებდნენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მეცნიერული კვლევისათვის დამახასიათებელია ენობრივ ერთეულთა განხილვა ორ დონეზე.<sup>1</sup> ესენია:

1. ემპირიული დონე, როდესაც საკვლევ ობიექტებს აღვიქვამთ მათ უშუალო გამოცდილებაში;
2. თეორიული ანუ განზოგადების დონე.

მორფოლოგიაში თითოეულ ამ დონეს აქვს შესაბამისი მორფოლოგიური ერთეული. ემპირიული დონის ერთეულია მორფი, ხოლო თეორიული განზოგადების დონის ერთეულია მორფემა. მორფი ყოველთვის უშუალოდ აღიქმება. მორფემა კი უშუალოდ არ არის მოცემული, იგი განზოგადების პროდუქტს წარმოადგენს.

დესკრიპტივისტიკები თითოეულ მათგანს შემდეგნაირად განსაზღვრავენ. მორფი არის ფონემათა ისეთი მინიმალური თანმიმდევრობა (იგი შეიძლება ერთი ფონემაც იყოს), რო-

---

1 იდეა, ენობრივ ერთეულთა ორ დონეზე განხილვის შესახებ, თავდაპირველად შემოიტანა და ფონოლოგიაში დააფუძნა პრალის ლინგვისტური სკოლის წარმომადგენელმა ტრუბეცკომ.

მელიც მნიშვნელობის მატარებელია და ამდენად ნიშნობრივი ერთეულია. სწორედ ამით განსხვავდება იგი ფონემისაგან, რომელსაც მნიშვნელობა არ გააჩნია, მაგრამ აქვს დისტინქტური ანუ განმასხვავებელი თვისება. მაგალითისათვის ავიღოთ სიტყვები: boys, hands, oxen და children. თითოეული ეს სიტყვა შედგება ორი მორფისგან — ძირეული მორფისგან, რომელიც ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია, და მრავლობითობის აღმნიშვნელი მორფისგან: boy + s, hand + s, ox + en, child(r) + en. ისეთ მორფთა ერთობლიობას, რომლებსაც ერთი მნიშვნელობა აქვთ და ერთმანეთის მიმართ თავისუფალ დისტრიბუციაში იმყოფებიან, ანუ არასდროს გვხვდებიან ერთსა და იმავე გარემოცვაში, მორფმა ეწოდება.

მორფებს, რომლებიც შედიან ერთი და იმავე მორფემაში, ამ მორფემის ალომორფები ეწოდებათ. შესაბამისად, ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, მრავლობითი რიცხვის მანარმოებელი მორფები -s და -en ერთი მორფემის, კერძოდ, მრავლობითობის მნიშვნელობის მქონე მორფემის ალომორფებს წარმოადგენენ.

ალომორფი შეიძლება იყოს ფონოლოგიურად და მორფოლოგიურად განპირობებული. მაგალითად, ფონოლოგიურად განპირობებულია, როდესაც ინგლისურ ენაში ალომორფი -s მჟღერი თანხმოვნის შემდეგ წარმოითქმება როგორც [z]: eggs, kids; ხოლო ყრუ თანხმოვნების შემდეგ - [s]: cats, cups, etc. მაგრამ სიტყვებში "oxen" და "children" ალომორფი -en უკვე მორფოლოგიურად არის განპირობებული.

საინტერესოა დესკრიპტივისტების, განსაკუთრებით კი ბლუმფილდის შეხედულებები სინტაქსის პრობლემატიკასთან დაკავშირებით. მონოგრაფიაში "Language" ბლუმფილდი აღნიშნავს, რომ უმრავლეს ენათა გრამატიკა ორი ნაწილისაგან — მორფოლოგიისა და სინტაქსისგან შედგება. მორფოლოგია შეისწავლის სიტყვაფორმათა შინაგან სტრუქტურას, სინტაქსი კი — სიტყვაფორმათა დისტრიბუციას (გარემოცვას) კონ-

სტრუქციებსა და წინადადებადებებში. ბლუმფილდთან, სინ-ტაქსის საგნისა და კვლევის მეთოდების შესახებ კონკრეტულ მსჯელობას წინ უსწრებს მსჯელობა ენობრივი ფორმის და წინადადების ტიპების შესახებ, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი განზოგადებების სახით:

1. ნებისმიერი ენა შედგება ენობრივ ფორმათა თანმიმდევრობისაგან;
2. ყოველი ენობრივი ფორმა არის სასიგნალო ერთეულთა მყარი მიმართებები;
3. სასიგნალო ერთეულს წარმოადგენს ფონემა;
4. ყოველ ენაში მკაცრად არის განსაზღვრული ფონემათა რიცხვი და ფონემათა რეალურად დადასტურებული შეერთებანი ანუ მათი დისტრიბუცია.

ენობრივი ფორმის წარმოთქმისას, მოლაპარაკე ინვესს მსმენელის რეაქციას გარკვეული სიტუაციის მიმართ. ბლუმფილდის აზრით, სწორედ ეს სიტუაცია და მის მიმართ რეაქცია წარმოადგენს ფორმის ენობრივ მნიშვნელობას.

წინადადების ტიპებთან დაკავშირებით ბლუმფილდი აღნიშნავდა, რომ არსებობს წინადადებათა ორი ტიპი: სრული და უსრული, ანუ ელიპტიკური. ავტორი სრულ წინადადებას უწოდებს დასრულებულ გამონათქვამს, რომელიც რაღაც ახალს იტყობინება და რომელიც ყველაზე გავრცელებული ტიპობრივი ფორმაა ამა თუ იმ ენაში. მაგალითად, ინგლისურ ენაში სრული წინადადების ძირითადი ტიპური ფორმაა: “მოქმედი პირი — მოქმედება” (“The King of England opened the Parliament.”). წინადადების ეს ბინარული ფორმა ჩვეულებრივ იწოდება პრედიკატულ წინადადებად. პრედიკატულ წინადადებაში კომპონენტი, რომელსაც უფრო საგნობრივი მნიშვნელობა აქვს, ქვემდებარედ იწოდება, ხოლო მეორე კომპონენტი კი — შემასმენლად. ზოგიერთ ფლექსიურ ენაში “მოქმედი პირი — მოქმედება” ერთი სიტყვით გამოიხატება, რადგანაც მოქმედი



პირის მარკერი (ნიშანი) მოცემულია ზმნაში, რომელიც სიტყვა-წინადადებად განიხილება. ამასთან დაკავშირებით, ავტორი განიხილავს ქართული ენის ისეთ ფაქტებს, როგორცაა მაგალითად, “ვნერ”, “მესმის”, სადაც ქვემდებარისა და შემასმენლის პრედიკატული ურთიერთობები სინთეზურად არის მოცემული სიტყვა-წინადადებაში.

სრული წინადადების მეორე ფორმას წარმოადგენს ინფინიტივი ბრძანებით წინადადებაში “Open the door!”, რომელსაც ზოგჯერ შეიძლება მეორე პირის ნაცვალსახელი ან რაიმე განსაზღვრება ახლდეს თან: “You, come here!” და ა. შ. .

რაც შეეხება არასრულ ანუ ელიპტიკურ წინადადებებს, ბლუმფილდი ასეთად განიხილავს სხვადასხვა წამოძახილებს: “Oh!”, “Well!”, “My God!” და ა.შ. , მისალმებისა და გამომშვიდობების სიტყვებს: “Morning!”, “Bye!”, “Till Tomorrow.” და ა.შ., თანხმობისა და უარყოფის სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც ადასტურებს ან უარყოფს ადრე წარმოთქმულ წინადადებებს ან აზუსტებს სიტუაციას: “Yes.”, “No.”, “With pleasure.”, “Certainly.”, “Sure.”, “By no means.” და ა.შ.

სინტაქსთან მიმართებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბლუმფილდის და მისი მიმდევრების მიერ შემუშავებული წინადადების სინტაქსური ანალიზი, რომელიც ლინგვისტურ ლიტერატურაში ცნობილია “უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის” სახელწოდებით (IC analysis = Immediate Constituents Analysis). ამ თეორიის არსი მდგომარეობს წინადადების აღწერაში მასში სიტყვაფორმათა დისტრიბუციის ანუ სიტყვათა გარემოცვის პრინციპების შესწავლის გზით.

ძირითად სინტაქსურ ერთეულად აღიარებულია კონსტრუქცია (ბლუმფილდთან, წინადადება წარმოადგენს კონსტრუქციის ერთ-ერთ სახეობას!). კონსტრუქცია — ეს არის სიტყვების ან მორფემების ნებისმიერი ჯგუფი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს. კონსტრუქცია შედგება შემადგენლები-

საგან და თვითონაც შეიძლება იყოს უფრო დიდი ერთეულის შემადგენელი. რამდენადაც კონსტრუქცია შედგება უშუალო შემადგენლებისგან (Immediate Constituents) და მათი ერთი-ერთი მიმართებებისგან, იმდენად დესკრიპტივისტთა სინტაქსური ანალიზი დაიყვანება უშუალო შემადგენელთა და უშუალო შემადგენელთა ხის გამოვლენამდე.

ბლუმფილდი აღნიშნავდა, რომ ყოველი კომპლექსური ფორმა იშლება და დაიყვანება საბოლოო შემადგენლებამდე (Ultimate Constituents) ანუ მორფემებამდე. ინგლისური ფორმა "Poor John ran away" შედგება ხუთი მორფისაგან: Poor, John, ran, a- და -way. კომპლექსური ფორმის დაშლა უშუალო შემადგენლებად ხორციელდება მისი თანდათანობითი დიქტომიზაციის შედეგად. მაგალითად, გამონათქვამში "Poor John ran away" უშუალო შემადგენლები არის Poor John და ran away. თითოეული მათგანი თავის მხრივ რთულ, კომპლექსურ ფორმას წარმოადგენს და შემდგომ დიქტომიზაციას ექვემდებარება, რის შედეგადაც პირველ ნაწილში უშუალო შემადგენლები იქნება Poor და John, რომლებიც ამავედროულად საბოლოო შემადგენლებსაც წარმოადგენს. მეორე ნაწილში კი უშუალო შემადგენლებია ran და away, რომელთაგანაც უკანასკნელი კომპლექსურია ფორმით, რის გამოც მისი საბოლოო შემადგენლები იქნება a- way.

უშუალო შემადგენელთა თითოეული წევილი შეიცავს ბირთვს და თანმხლებ ანუ დამოუკიდებელ და დამოკიდებულ წევრს (head and dependant). ბირთვებია ის ელემენტები, რომლებიც კომპლექსური ფორმის პირველი დაყოფის შედეგად გამოიყოფა. ილუსტრირებულ მაგალითში ბირთვები იქნება John და ran, მაშინ როდესაც დანარჩენი სიტყვები მათ თანმხლებ წევრებად მოიზრება, რადგანაც მათ მიმართ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

ნებისმიერ გამონათქვამში ენობრივი ფორმა არის ან უფრო

დიდი ფორმის შემადგენელი (მაგალითად, John გამონათქვამში "Poor John ran away" ), ან დამოუკიდებელი ფორმა, რომელიც არ შედის უფრო დიდ ენობრივ ფორმაში (მაგ. John ნამოძახილში — John!). იმ შემთხვევაში, როდესაც ენობრივი ფორმა არის რომელიმე უფრო რთული ფორმის ნაწილი, ამბობენ, რომ იგი არის ჩართულ პოზიციაში. სხვა შემთხვევაში კი იგი არის აბსოლუტურ პოზიციაში და წარმოადგენს სიტყვა-წინადადებას.

ამგვარად, წინადადება არის დამოუკიდებელი ენობრივი ფორმა, რომელიც არ არის ჩართული უფრო რთულ ენობრივ ფორმაში რაიმე გრამატიკული კონსტრუქციის საშუალებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბლუმფილდთან და დესკრიპტივისტებთან ანალიზის უმაღლესი დონის ერთეულად მიჩნეულია წინადადება და არა ტექსტი. წინადადების გამოყოფის ძირითად საშუალებად განიხილება ინტონაცია, რომელიც ახდენს მისი აზრობრივი დასრულებულობის მარკირებას. მახვილი კი გამოიყენება წინადადებაში ცალკეულ ნაწილთა ემფატიკური გამოყოფისათვის.

უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზმა გარკვეული როლი შეასრულა სინტაქსური ანალიზის შემდგომ განვითარებაში. ბლუმფილდის მიმდევრებმა დახვეწეს და დაამუშავეს უშუალო შემადგენელთა გამოყოფისათვის საჭირო პროცედურები. მაგალითად, კენეტ პაიკის მიერ შემოთავაზებულ იქნა კონსტრუქციათა უშუალო შემადგენლებად დაყოფის 20 პრინციპი. პიტმენმა კი შეიმუშავა ტექნიკა ბირთვის და თანამგზავრთა (თანმხლებ წევრთა) დასადგენად.

იმის გამო, რომ საკმაოდ ხშირ შემთხვევაში გამონათქვამის დიქტომიზაცია უშუალო შემადგენლებად გარკვეულ სიძნელეებს წააწყდა, საჭირო გახდა შემუშავებულიყო ტექნიკა ორზე მეტი შემადგენლის გამოსაყოფად. სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურაციის გამოსავლენად შემუშავებულ

იქნა მისი საბოლოო შემადგენლებად ერთჯერადად დაყოფის მეთოდი (Analysis by Ultimate Constituents). მაგალითად, თუ ავიღებთ სიტყვაფორმას unfriendliness იგი შეიძლება დაიყოს საბოლოო შემადგენლებად შემდეგნაირად: un-friend-ly-ness.

მოგვიანებით, ზ. ჰარისის მიერ შემუშავდა წინადადების უშუალო შემადგენლებად სეგმენტაციის საპირისპირო პროცედურაც, როდესაც მარტივ ფორმათა ბინარული შეერთებით (სინთეზირებით) და შემდგომ მათი თანდათანობით გაფართოებით მიიღება გამონათქვამი.

მიუხედავად იმისა, რომ ბლუმფილდის შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის ტექნიკის დასახვეწად, მისმა მიმდევრებმა მაინც ვერ შეძლეს მისი სრულყოფა, რადგანაც თვით ანალიზის პრინციპები არ იძლეოდა ნაკლოვანებების დაძლევის საშუალებას.

წინადადების უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის პროცესი სამი სახით გამოიხატება:

1. მარკირებული ფრჩხილების საშუალებით (labelled bracketing), რაც გულისხმობს უშუალო შემადგენელთა იდენტიფიკაციას სიტყვაფორმათა კლასებად ანუ მეტყველების ნაწილებად.


**Poor John ran away. =**

**S {NP (A [Poor] + N [John]) + VP (V [ran] + Adv [away])}**

2. უშუალო შემადგენელთა აღმნიშვნელი სიტყვაფორმათა კლასების (მეტყველების ნაწილების) თანმიმდევრობით გადანერის გზით (sequential labelled order):

S → NP + VP	N → John
VP → V + Adv	A → poor
NP → A + N	V → ran
	Adv → away

3. გრაფიკულად, უშუალო შემადგენელთა ხის საშუალებით (IC Labelled Tree):



ამერიკულ დესკრიფციულ ლინგვისტიკაში განხილული გრამატიკის თეორიული პრობლემები შეიძლება განზოგადდეს შემდეგი დასკვნების სახით:

1. შენარჩუნებულია გრამატიკის ტრადიციული დაყოფა მორფოლოგიად და სინტაქსად. მორფოლოგია შეისწავლის სიტყვაფორმათა შინაგან სტრუქტურას, სინტაქსი კი — სიტყვაფორმათა დისტრიბუციას (გარემოცვას) კონსტრუქციებსა და წინადადებადებებში.

2. სინტაქსის ძირითად ერთეულად მიჩნეულია წინადადება (რომელსაც ბლუმფილდი კონსტრუქციას უწოდებს), თუმცა ზოგ ავტორთან ანალიზის საგანს წარმოადგენს ასევე ფრაზა.

3. დესკრიპტივისტების მიერ შემუშავებული წინადადების ანალიზი უშუალო შემადგენელთა მიხედვით სცილდება საკუთრივ სინტაქსის ფარგლებს, რადგანაც წინადადების სემანტიკა უშუალო შემადგენლებად დაიყვანება მის საბოლოო შემადგენლებზე — მეტყველების ნაწილებზე, რომელთა საბოლოო ერთეულსაც მორფემა წარმოადგენს.

4. უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზში იგნორირ-

რებულია ტრადიციული წინადადების წევრები. უგულვებელყოფილია ასევე სინტაქსურ ურთიერთობათა ტრადიციული სახეები: მართვა, მირთვა და შეთანხმება. სამაგიეროდ, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გრამატიკულ განლაგებათა რიგს და პოზიციას, რაც აიხსნება ინგლისური ენის სტრუქტურული თავისებურებებით და სიტყვათა ფიქსირებული წყობით.

მორფემათა კლასების გამოყოფა ემყარება დიაგნოსტიკურ გარემოცვათა არჩევას. დიაგნოსტიკური გარემოცვის შერჩევა სდება იმ მიზნით, რათა გამოვლინდეს ის საერთო თვისება, რომელიც გააჩნია ამ კლასში გაერთიანებულ ყველა ელემენტის დისტრიბუციას. მაგალითად, არსებითი სახელის (N) კლასისათვის დამახასიათებელია დისტრიბუცია: "the ( N ) is" ანუ პოზიცია ზმნის (V) წინ. წინადადების სტრუქტურის აღწერა ხდება დიაგნოსტიკურ გარემოცვათა საფუძველზე გამოყოფილ სიტყვათა კლასების ანუ მეტყველების ნაწილთა ტერმინებით.

უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზისას მნიშვნელოვანია იერარქიულობის ანუ დაქვემდებარების ცნება. კონსტრუქციაში მთავარია ბირთვული წევრი, რომლის გამოტოვებაც იწვევს წინადადების ან შესიტყვების გრამატიკული სისწორის დარღვევას, მაშინ როდესაც დაქვემდებარებულ წევრთა გამოტოვება გრამატიკულ სისწორეს არ არღვევს.

5. წინადადების უშუალო შემადგენლებად სეგმენტაციის პროცესში დესკრიპტივისტები ახდენენ მნიშვნელობის უგულვებელყოფას, რაც ყოვლად დაუშვებელია ომონიმური კონსტრუქციების ანალიზის დროს. მაგალითისათვის ავიღოთ ომონიმური წყვილი, რომელთა მნიშვნელობაც სრულიად განსხვავებული და ასიმეტრიულია მათი უშუალო შემადგენლების იდენტურობის მიუხედავად:

John is eager to please.

John is easy to please.

## ლექცია 6

### ენის სტრატოფიკაციული მოდელის ცნება თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში

ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ანთროპო-ცენტრისტულ-კომუნიკაციურ ეტაპზე მოხდა სტრუქტურალიზმის ლინგვისტური სკოლების მიერ შემუშავებული თეორიების შეჯერება, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა როგორც ენის სტრატოფიკაციულ მოდელში, ასევე ენობრივ ერთეულთა შორის სინტაგმატური და პარადიგმატური მიმართებების თვისობრივ აღწერაში.

რაში მდგომარეობს ენის სტრატოფიკაციული მოდელის<sup>1</sup> არსი? როგორია მისი იერარქიული ორგანიზების პრინციპი და რა მიმართებებია ენობრივ დონეებსა და მათ ერთეულებს შორის?

ენა წარმოადგენს ნიშანთა სისტემას, რომელიც იერარქიის პრინციპით არის ორგანიზებული. იერარქიულობა გულისხმობს იმას, რომ ენობრივი სისტემა ორგანიზებულია დონეებრივად. ენობრივი დონე — ეს არის ენობრივი სისტემის გარკვეული შრე, რომელსაც გარკვეული ადგილი უკავია შრეთა იერარქიაში და რომელიც წარმოდგენილია სპეციფიკური, ამ დონისათვის დამახასიათებელი ენობრივი ერთეულებით.

იერარქიის პრინციპი გულისხმობს, რომ არსებობს უფრო

---

1 ენის სტრატოფიკაციული მოდელის იერარქიული ორგანიზების პრინციპი თავდაპირველი სახით ჩამოაყალიბა ფრანგმა ლინგვისტმა ემილ ბენვენისტმა 1962 წელს ლინგვისტთა მე-2 კონგრესზე. იხ. მისი გამოსვლის რუსული თარგმანი: Бенвенист, Э., Уровни лингвистического анализа. – В кн.: «Новое в лингвистике», вып. 4, Москва: «Прогресс», 1965. წინამდებარე ლექციაში ენობრივი დონეების იერარქიულობა განხილულია გ. ლებანიძის მიხედვით (იხ.: გ. ლებანიძე, "კომუნიკაციური ლინგვისტიკა", თბილისი: "ენა და კულტურა", 2005).

“დაბალი” და უფრო “მაღალი” დონის ერთეულები და რომ თითოეული უფრო დაბალი დონის ერთეული წარმოადგენს უფრო მაღალი დონის ერთეულის შემადგენელ ნაწილს (ინტეგრანტს). გამოყოფენ შემდეგ ენობრივ დონეებს:

1. ფონოლოგიური დონე — ძირითადი ერთეულია ფონემა;
2. მორფოლოგიური დონე — ძირითადი ერთეულია მორფემა;
3. ლექსიკური დონე — ძირითადი ერთეულია სიტყვა (ლექსემა);
4. სინტაქსური დონე — ძირითადი ერთეულია წინადადება;
5. ტექსტობრივი დონე — ძირითადი ერთეულია ტექსტი ლინგვისტური გაგებით.

ენობრივი სისტემის ეს დონეებრივი ორგანიზაცია განაპირობებს იმას, რომ თანამედროვე ენათმეცნიერებაში გვაქვს ენობრივ ნიშანთა იერარქიული ტიპოლოგია. ამ ტიპოლოგიას ქმნის პირველ რიგში სრულ და არასრულ ნიშანთა დაპირისპირება. ეს დაპირისპირება ეფუძნება ენის კომუნიკაციურ ფუნქციას და ნიშნის უნარს უშუალოდ შეასრულოს ეს ფუნქცია. რაც უფრო მეტია და რაც უფრო გამოკვეთილია ნიშნის უნარი დამოუკიდებლად, უშუალოდ შეასრულოს კომუნიკაციის ფუნქცია, მით უფრო არსებობს იმის საფუძველი, რომ ვილაპარაკოთ სრულ ნიშანზე. ეს მტკიცება საჭიროებს ორ დაზუსტებას.

1. სრულ და არასრულ ნიშანთა დაპირისპირება თანამედროვე ლინგვისტიკაში ატარებს ფარდობით და დინამიურ ხასიათს. ფარდობითობა მდგომარეობს შემდეგში: ნიშანი, რომელიც სრულია იერარქიულად მასზე დაბლა მყოფ ნიშნის მიმართ, შეიძლება ჩაითვალოს არასრულად იერარქიულად მასზე მაღლა მდგომი ნიშნის ფონზე. დინამიურობა კი მდგომარეობს შემდეგში: თანამედროვე ლინგვისტიკის განვითა-



რების სხვადასხვა ეტაპზე სრული ნიშნის სტატუსს იღებდნენ სხვადასხვა დონის ერთეულები. დასაწყისში ასეთი სტატუსი ჰქონდა მხოლოდ სიტყვას და მხოლოდ იგი ითვლებოდა ენობრივ ნიშნად. შემდეგ ასეთი სტატუსი მიიღო წინადადება, კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში კი სრული ნიშნის სტატუსი ენიჭება უკვე ტექსტს.

2. თავის მხრივ, ნიშნის სისრულე დამოკიდებულია ნიშნის უნარზე, შეასრულოს კომუნიკაციური ფუნქცია. მაგრამ კომუნიკაციური ფუნქცია, რომელიც გამოკვეთილად მხოლოდ სრულ ნიშანს ახასიათებს, არ არის ნიშნის ერთადერთი ფუნქცია. ამ ფუნქციას საფუძვლად უდევს რეფერენტული ფუნქცია ანუ ნიშნის უნარი, დაასახელოს და ასახოს რეფერენტი — ექსტრალინგვისტური სინამდვილის სემანტი. ნიშნის ამ უნარს ეწოდება ნომინაციური ფუნქცია. ე.ი. ნიშანი არსებობს და ფუნქციონირებს ნომინაციურ და კომუნიკაციურ ფუნქციათა ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის საფუძველზე.

აღნიშნულ თეორიულ ფონზე, თითოეული ენობრივი დონე შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად:

1. ფონოლოგიური დონე. ეს დონე წარმოდგენილია არანიშნობრივი ერთეულებით — ფონემებით, რომლებიც აუცილებელია ნიშნობრივ ერთეულთა ასაგებად. ფონემას არა აქვს მნიშვნელობა, მას მხოლოდ დისტინქტური, ე.ი. განმასხვავებელი თვისება გააჩნია. მაგალითად: bed bad; ship - sheep, pork - fork, etc.

2. მორფოლოგიური დონე. ამ დონის ძირითადი ერთეულია მორფემა, რომელიც ხასიათდება შინაგანად წინააღმდეგობრივი ბუნებით: ერთი მხრივ, ფონემისგან განსხვავებით, მორფემას აქვს გარკვეული მნიშვნელობა — იგი განისაზღვრება როგორც მნიშვნელობის მქონე მინიმალური ერთეული, რომელიც ფონემათა თანმიმდევრობით იქმნება (იგი შეი-

ძლება ერთი ფონემითაც იყოს წარმოდგენილი); მეორე მხრივ, სიტყვისგან განსხვავებით, მორფემას ჯერ კიდევ არ შეუძლია განახორციელოს ნომინაციის ფუნქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მორფემას აქვს თავისი სემანტიკა, მაგრამ არ გააჩნია დამოუკიდებელი რეფერენტი.

3. **ლექსიკური დონე.** ძირითადი ერთეულია სიტყვა — ლექსემა. იერარქიულობის თვალსაზრისით, სიტყვა არის პირველი ერთეული, რომელსაც აქვს ნომინაციური ფუნქცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიტყვას შეუძლია დაასახელოს სინამდვილის გარკვეული სეგმენტი (სუბსტანცია, საგანი, მოვლენა, თვისება და ა.შ.) და რამდენადმე ასახოს ამ სეგმენტის სტრუქტურა თავის საკუთარ სტრუქტურაში.

4. **სინტაქსური დონე.** ძირითადი ერთეულია წინადადება. უნდა აღინიშნოს, რომ სრული ნიშნის ცნება ლინგვისტიკაში შემოვიდა მაშინ, როცა წინადადებასაც მიენიჭა ნიშნის სტატუსი და ლექსიკური ნომინაციის გვერდით გაჩნდა სინტაქსური ნომინაციის ცნება. სიტყვასთან შედარებით, სწორედ წინადადება ჩაითვალა სრულ ნიშნად, რადგან მას შესწევს უნარი უშუალოდ და დამოუკიდებლად შეასრულოს კომუნიკაციური ფუნქცია. თავის მხრივ, კომუნიკაციური ფუნქცია ეფუძნება ნომინაციურ ფუნქციას. წინადადების ნომინაციური ფუნქცია კი იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვისგან განსხვავებით, იგი ასახელებს არა სინამდვილის ცალკეულ სეგმენტებს, არამედ ერთ მთლიან სიტუაციას. წინადადების მიერ დასახელებულ და სტრუქტურულად ასახულ სიტუაციას ეწოდება რეფერენტული სიტუაცია.

5. **ტექსტობრივი დონე.** წინადადებათა დიდხანს ვერ შეინარჩუნა მაქსიმალურად სრული ნიშნის სტატუსი. ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე, კომუნიკაციურ ეტაპზე გაჩნდა ტექსტობრივი დონის ცნება, რომლის ძირითად ერთეულად შესაბამისად მიჩნეულ იქნა ტექსტი. სტრუქტურალიზმის

პოზიციიდან, ტექსტი ნარმოადგენს თემატურად ურთიერთ-დაკავშირებულ წინადადებათა ერთობლიობას. ლინგვისტურ ლიტერატურაში წინადადებათა ასეთ თანმიმდევრობას ხშირად ზეფრაზობრივ ერთიანობას ანუ მიკროტექსტს უწოდებენ. ითვლება, რომ კომუნიკაციის ჭეშმარიტი უნარი აქვს ტექსტს, რომელიც წინადადებისგან განსხვავებით ასახელებს და ასახავს არა ერთ ცალკეულ სიტუაციას, არამედ სიტუაციათა თანმიმდევრობას. ამგვარ თანმიმდევრობა-ერთობლიობას ეწოდება რეფერენტული სივრცე.

ამრიგად, ენობრივ ნიშანთა იერარქიას შინაგანად უკავშირდება ნომინაციურ ფუნქციათა იერარქია. რაც უფრო ფართოა ენობრივი ნიშნის მიერ დასახელებული სინამდვილის სემანტი, მით უფრო დიდია მისი უნარი შეასრულოს კომუნიკაციური ფუნქცია და მიიღოს შესაბამისად სრული ნიშნის სტატუსი. აქედან გამომდინარე, იერარქიულად ყველაზე დაბალ დონეზეა ლექსიკური ნომინაცია, ხოლო იერარქიულად უფრო მაღალ დონეებზე — სინტაქსური და ტექსტობრივი ნომინაცია.

## ლექცია 7

### სინტაგმატური და პარადიგმატული მიმართებები ენობრივ ნიშანთა შორის

ენა არის ნიშანთა სისტემა. ფ. დე სოსიურთან ნიშნის ცნება განაპირობებს სისტემის ცნებას და პირიქით. სისტემა მუდამ ნიშნავს ელემენტთა ისეთ ერთობლიობას, რომელიც აუცილებლად გულისხმობს მათ შორის გარკვეული მიმართებების არსებობას. ყოველი სისტემისათვის მიმართების ცნება ელემენტის ცნებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ენა არის ნიშანთა ერთობლიობა და ეს ერთობლიობა წარმოადგენს სისტემას იმიტომ, რომ ნიშანთა შორის არსებობს მიმართებები. ეს მიმართებები ორი სახისაა: პარადიგმატული და სინტაგმატური.

ენობრივი ნიშნები განიხილება დროულ მიმართებაში. დროული მიმართება გვაქვს ნიშანთა თანმიმდევრობისას, როდესაც ელემენტები ერთმანეთს მოსდევენ. ნიშნები, რომლებიც ერთმანეთს მოსდევენ, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ორ ასეთ ნიშანთა თანმიმდევრობას სემიოტიკურ ლინგვისტიკაში სინტაგმა ეწოდება. ნიშანთა ურთიერთდაპირისპირებას სინტაგმაში სინტაგმატური ოპოზიცია ეწოდება. ნიშანთა ურთიერთდაპირისპირების ანუ ოპოზიციურობის ცნება ენის სემიოტიკურ კონცეფციაში საფუძვლად უდევს სისტემურობას. სინტაგმა მუდამ მოცემულია დროულ ღერძზე, რის გამოც იგი ხაზობრივია, ჰორიზონტალური და წრფივი. თუ ავიღებთ წინადადებას — “A little boy is playing football in the yard” (“პატარა ბიჭი თამაშობს ფეხბურთს ეზოში”), ვნახავთ, რომ ამ წინადადებაში სიტყვები ერთმანეთს მოსდევენ ხაზობრივად დროულ ღერძზე: თავის მხრივ, ყოველი სიტყვა მორფემათა სინტაგმატუ-

რი თანმიმდევრობისგან წარმოიქმნება, ხოლო მორფემა კი — ფონემათა სინტაგმატური თანმიმდევრობისგან.

ენათმეცნიერებაში გამოყოფენ ოთხი ტიპის სინტაგმას. თითოეული მათგანი ორი ოპოზიციური სიტყვის თანმიმდევრობას წარმოადგენს. ეს სინტაგმებია:

1. პრედიკატული სინტაგმა, რომელშიც სუბიექტურ-პრედიკატული ურთიერთობებია რეალიზებული. ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითში ამ ტიპის სინტაგმა იქნება — "A boy is playing" ("ბიჭი თამაშობს");
2. ობიექტური სინტაგმა, რომელიც ზმნისა და მისი დამატების კომბინაციას წარმოადგენს: "is playing football" ("თამაშობს ბურთს");
3. ატრიბუტული სინტაგმა, რომელიც სახელისა და მისი განსაზღვრების კომბინაციას წარმოადგენს, რომელშიც მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობებია რეალიზებული: "A little boy" ("პატარა ბიჭი");
4. ადვერბიალური სინტაგმა, რომელიც ძირითადი სიტყვისა და მისი მსაზღვრელი ადვერბიალური სიტყვის თანმიმდევრობას წარმოადგენს: "is playing in the yard" ("თამაშობს ეზოში")

მათგან, პრედიკატულ სინტაგმაში ოპოზიციის ორივე წევრი თანაბრად მნიშვნელოვანია და ისინი ერთმანეთს განაპირობებენ, ხოლო დანარჩენ სამ სინტაგმაში კი ერთი ნიშანი განსაზღვრავს მეორეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შორის სუბორდინაციული მიმართებებია.

სინტაგმატურ ოპოზიციას უპირისპირდება პარადიგმატული ოპოზიცია. პარადიგმატული მიმართებები განიხილება სივრცობრივ ლერძზე. ეს არის მიმართებები ისეთ ნიშნობრივ ელემენტებს შორის, რომლებიც ერთმანეთს გარკვეული თვალ-

საზრისით გვანან, მაგრამ სინტაგმატიკაში ერთმანეთს გამორიცხავენ. ავიღოთ ფრაზები:

“A boy is running in the yard.” — “ბიჭი დარბის ეზოში”

“A girl is running in the yard.” — “გოგონა დარბის ეზოში”

“A child is running in the yard.” — “ბავშვი დარბის ეზოში”

“A dog is running in the yard.” — “ძაღლი დარბის ეზოში.”

ამ ფრაზებში ელემენტები — “ბიჭი”, “გოგონა”, “ბავშვი” და “ძაღლი” ერთმანეთს არ მოსდევს, რის გამოც მათ შორის არ არის სინტაგმატური ოპოზიცია, მაგრამ არის ფუნქციური მსგავსება. მათი გამოყენება ემყარება “ან”-“ან” ლოგიკურ ურთიერთობებს. იმ ელემენტთა დაპირისპირებას, რომლებიც ერთმანეთს გვანან ფუნქციური თვალსაზრისით, მაგრამ სინტაგმატურ ჯაჭვში ერთმანეთს გამორიცხავენ პარადიგმატული ოპოზიცია ეწოდება.

პარადიგმატული ოპოზიციები, პირველ რიგში, დამახასიათებელია მეტყველების ნაწილთა გრამატიკული კატეგორიების ფორმებისათვის. მაგალითად, არსებითი სახელისათვის პარადიგმატული ოპოზიციებია: მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი ( boy - boys ) და მისი საზოგადო და კუთვნილებითი ბრუნვები (boy - boy's ); ზმნისთვის პარადიგმატული ოპოზიციებია: 1) მისი დროის ფორმები: plays - is playing - has played - has been playing; 2) მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები: plays - is played; is playing - is being played; has played - has been played; 3) თხრობითი, ბრძანებითი და კავშირებითი კილოს ფორმები: I have brought the book Bring the book! If I had known, I would have brought the book; 4) ასპექტის, ერთი მხრივ, განგრძობითი და არაგანგრძობითი ფორმები: plays - is playing - has been playing; ხოლო მეორე მხრივ, სრული და უსრული ფორმები: plays - has played, is play-

ing - has been playing. და ა.შ.; ზედსართავი სახელის პარადიგმატული ოპოზიციებია: დადებითი, შედარებითი და აღმატებითი ხარისხის ფორმები: big - bigger - the biggest; beautiful - more beautiful - the most beautiful და ა.შ. .

ამრიგად, ენობრივ ნიშანთა შორის, ერთი მხრივ, არსებობს სინტაგმატური მიმართებები: სინტაგმა და სინტაგმატური ოპოზიცია; ხოლო მეორე მხრივ — პარადიგმატული მიმართებები: პარადიგმა და პარადიგმატული ოპოზიცია. სინტაგმატური მიმართებები მოცემულია დროულ ლერძზე, პარადიგმატული კი - სივრცობრივზე. სწორედ მიმართებათა ეს ორი სახე ქმნის ენის სისტემურობას. როდესაც ვამბობთ, რომ ენა არის ნიშანთა სისტემა, ეს ნიშნავს, რომ ნიშნობრივ ელემენტებს შორის არსებობს მიმართებათა ეს ორი სახე.

## ლექცია 8

### ტრანსფორმაციული მეთოდი და ტრანსფორმაციული წარმომავლი გრამატიკა

ენის აღწერის დესკრიფციული მეთოდი ანალიზური და ხაზოვანი იყო. მიუხედავად დისტრიბუციული მეთოდიკისა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ენობრივ ერთეულთა მიმართებების ფორმალიზაცია, მიღებული შედეგები არ აკმაყოფილებდა არც ტრადიციულ და არც სტრუქტურულ გრამატიკას. უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზი გულისხმობს გამონათქვამის ან წინადადების სეგმენტაციას ზემოდან ქვემოთ, რაც მის შესაძლებლობებს შემოფარგლავს გრადუალური დიქტომიზაციის შედეგად გამოყოფილი ელემენტების ინვენტარიზაციით და კლასიფიკაციით.

ბუნებრივია, რომ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაშივე დაინყეს ძიება უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის ნაკლოვანებათა დასაძლევად. მე-20 საუკუნის ორმოციანი წლების ბოლოს, ზელიგ ჰარისმა შეიმუშავა ანალიზის სრულიად საპირისპირო, ე.წ. ტრანსფორმაციული მეთოდი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელს ხდის, წინადადებებს შორის ფორმალური მიმართებების განსაზღვრის შედეგად ერთი წინადადების სტრუქტურა განხილულ იქნას მეორის სტრუქტურულ ტრანსფორმად (მაგალითად, აქტივი და პასივი, კითხვა და პასუხი და სხვა.)<sup>1</sup>

ჰარისმა შემოიტანა და დააფუძნა პრინციპულად ახალი ცნება — ტრანსფორმაციის ცნება, რაც გულისხმობდა ანალი-

1 იხ.: Harris Z.S., Co-occurrence and transformation in linguistic structure, "Language", vol. 33, No. 3 (Part 1), 1957, p. 283 - 340. ამ ნაშრომის რუსული თარგმანი იხ. კრებულში: Новое в лингвистике, вып. 11, М. 1962, стр. 528-636.



ზის მეთოდის შექმნას მეტყველების ისეთი მონაკვეთისათვის, რომელიც თავისი აგებულებით არ უდრიდა მარტივ წინადადებას (მეტია ვიდრე მარტივი წინადადება) და არ ანალიზდებოდა უშუალო შემადგენელთა ტერმინების საშუალებით. ტრანსფორმაციულ მეთოდში ამოსავალ მარტივ ერთეულებად აღებულია მორფემები და მათი ინდივიდუალური გარემოცვის გათვალისწინებით, გამოთვლილია ენაში დასაშვებ ბირთვულ წინადადებათა ფორმულები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება აგებულ იქნას უსასრულო რაოდენობის ნებისმიერი სიგრძის კონკრეტული გამონათქვამი.<sup>1</sup> ამით ჰარისმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დისკურსის თეორიის შექმნაში.

აღსანიშნავია, რომ ზ. ჰარისი არ განასხვავებს მორფემასა და სიტყვას ერთმანეთისაგან, რის გამოც ტერმინები "სიტყვა", "სიტყვათა კლასი" და "მორფემა", "მორფემათა კლასი" მის ნაშრომებში არადიფერენცირებულად გამოიყენება. მორფემათა ანუ სიტყვათა კლასების გამოყენებით, ჰარისი ამუშავებს და ქმნის ე.წ. "ტრანსფორმაციათა ალგებრას", რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება გამოვლენილ იქნეს კავშირები ენის სხვადასხვა დონის ერთეულებს შორის.

ჰარისის აზრით, გრამატიკის ბირთვს ქმნის ბირთვული ანუ ელემენტარული წინადადეგების, მაკავშირებელი ელემენტების და დამხმარე სიტყვების სიმრავლე. ყოველი ბირთვული წინადადება წარმოადგენს გარკვეულ კონსტრუქციას, რომელიც სიტყვათა კლასების ელემენტარული თანმიმდევრობისგან იქმნება. იმის გამო, რომ ნებისმიერ ენაში დასაშვებია მორფემათა ანუ სიტყვათა მხოლოდ გარკვეული კლასების თანმიმდევრობა, შესაძლებელი ხდება ბირთვული წინადადეგების გამოთვლა. ბირთვული წინადადეგები მაქსიმალურად

---

1 Harris, Z.S., Discourse Analysis. // Language, vol. 28, 1952, pp. 1 - 30.

დამოუკიდებელი არიან ერთმანეთისგან, რის გამოც მინიმალურ ინფორმაციას გვაძლევენ ერთმანეთის შესახებ. მათში გამოვლინდება ის ძირითადი შეზღუდვები, რომელიც საფუძვლად ედება ელემენტთა შეერთებას ენაში.

ორი წინადადება შეიძლება ჩაითვალოს ერთმანეთის ტრანსფორმად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივეს აკმაყოფილებს მორფემათა / სიტყვათა ერთი და იგივე ერთობლიობა, ანუ კმაყოფილება მათი თანადროული შეხვედრის (co-occurrence) მოთხოვნა. ტრანსფორმაცია არის ერთი წინადადების ისეთი გარდაქმნა მეორე წინადადებად, რომლის დროსაც ნაწარმოები წინადადება სანყისი წინადადების ეკვივალენტურია შინაარსობრივად და ლექსიკურ ერთეულთა შედგენილობით, მაშინ როდესაც ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან სინტაქსურ-გრამატიკული სტრუქტურით. შესაბამისად, ჰარისი ერთმანეთის ტრანსფორმებად განიხილავს წინადადებებს აქტივსა და პასივში (მაგ.: The police brought the criminal in. <> The criminal was brought in by the police.), მტკიცებითსა და კითხვით ფორმებში (Nick speaks English well. <> Does Nick speak English well?), წინადადებასა და მის ნომინალიზებულ ტრანსფორმაციას (მაგ.: I saw that he was crossing the street. <> I saw him crossing the street.).

მიუხედავად იმისა, რომ არც სტრუქტურულ ლინგვისტიკაში და არც ჰარისის თეორიაში ლაპარაკი არ არის წინადადების სემანტიკურ (ე.ი. შინაარსობრივ) ასპექტზე, ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენებით პრაქტიკულად შესაძლებელი ხდება წინადადების შინაარსობრივი ასპექტის წინა პლანზე წამოწევა, რადგანაც ტრანსფორმები ფაქტიურად ერთი და იგივე სემანტიკური ინვარიანტის სინტაქსურ ვარიანტებს წარმოადგენენ.

ჰარისის ტრანსფორმაციული ანალიზი საშუალებას იძლევა ენის უფრო სრულყოფილი აღწერისათვის. მისი გამოყენებით შეიძლება აიხსნას განსხვავება ისეთ ორ ომონიმურ წინადადე-

ბას შორის, როგორცაა:

John is eager to please. = John wants to please somebody.

John is easy to please. = It is easy to please John.

გარდა ამისა, ტრანსფორმაციული ანალიზი გამოიყენება სხვადასხვა სტრუქტურული წყობის ენათა შეპირისპირებისას მათი ტიპოლოგიური თავისებურებების გამოსავლენად. ტრანსფორმაციის გათვალისწინება აუცილებელია ასევე თარგმნის დროს.

და ბოლოს, ჰარისის ნაშრომებში შეიმჩნევა ერთგვარი მინიშნება წარმომშობ გრამატიკაზე: რომ მორფემათა ანუ სიტყვათა კლასების ინდივიდუალური გარემოცვის დადგენით, შეიძლება გამოთვლილ იქნას ენაში დასაშვებ ბირთვულ წინადადებათა ფორმულები, ხოლო მათი სინთეზის გზით კი შეიძლება აიგოს ნებისმიერი კონკრეტული გამონათქვამი, და შესაბამისად დისკურსი (ტექსტი).

### **ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკა (Transformational Generative Grammar)**

მოგვიანებით, ჰარისის მოწაფემ ნოამ ჩომსკიმ განავითარა და უფრო მაღალ დონეზე აიყვანა ენის აღწერის ტრანსფორმაციული მეთოდი. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკის შექმნა და თეორიული დაფუძნება. ჩომსკი დაუბრუნდა სინტაქსური პარადიგმებისა და სინტაქსური თეორიების ლოგიკური საფუძვლების იდეებს. ამასთან, სინტაქსის საგანი გახდა არა ტექსტის ანალიზი, არამედ ტექსტის წარმოქმნა მოლაპარაკის სამეცნიერო ქმედების შედეგად.

ჩომსკიმ კონცეპტუალური საფუძველი ჩაუყარა ლინგვისტური კვლევების ახალ, კოგნიტურ მიდგომას და შექმნა ანალიზის ტრანსფორმაციული, ე.წ. წარმომშობი მეთოდი, რომლის ბაზაზეც იგი შეეცადა აეგო თავისი ცნობილი უნივერსალური გრამატიკა (Universal Grammar), რაც გულისხმობდა ნებისმიერი ენის წარმომშობი გრამატიკის ზოგადი სტრუქტურის შექმნას. ჩომსკის უნივერსალური გრამატიკის დანიშნულება განისაზღვრებოდა იმით, რომ სხვადასხვა ტრანსფორმაციული წესების გამოყენებით შესაძლებელი იყო, შეზღუდული რაოდენობის ბირთვული წინადადებებისგან შეექმნათ განუსაზღვრელი რაოდენობისა და სიგრძის ტექსტები. თავად ტრანსფორმაციების არსი კი მდგომარეობდა ადამიანის აზროვნების (ტვინის) უნივერსალურ ბუნებაში, რომლის თანახმადაც კოგნიტური პროცესები რეალიზებას ჰპოვებს წინადადებების სტრუქტურირებაში. ჩომსკი განასხვავებდა წინადადების ზედაპირულ და სიღრმისეულ სტრუქტურებს. იგი ამტკიცებდა, რომ ბირთვული წინადადებების სიღრმისეული ანუ სემანტიკური სტრუქტურები, რომლებშიც ობიექტური სამყარო აირეკლება, უნივერსალურია ყველა ენისათვის, მაშინ როდესაც მათი ექსპლიცირება ზედაპირულ სტრუქტურებში ვარიირებას განიცდის ერთი ენიდან მეორეზე გადასვლისას თითოეული ენის მორფოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე.

ჩომსკის თეორიის მიხედვით, ენა განიხილება არა როგორც ერთეულებისა და მათი კლასების კრებული, არამედ როგორც თავისებური მექანიზმი, რომელიც წარმოქმნის სწორ ფრაზებს. ენობრივი ქმედება, როგორც წარმომქმნელი მექანიზმი, მასალიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ მისი მოდელირება ხდება დედუქციურად, რაც იმას ნიშნავს, რომ ხდება არა ტექსტის სეგმენტაცია, არამედ სინთეზი. ლინგვისტური კვლევის ანალიზი ხაზგასმით ოპერაციულია, მასში ფართოდ გამოიყენება

მათემატიკური ლოგიკის ცნებები და ფორმალიზებული მეთოდები. ტრანსფორმაციული მეთოდი საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ კავშირები ენის სხვადასხვა დონეებს შორის და აღმოვაჩინოთ სიღრმისეული, სემანტიკური სტრუქტურები.

ჩომსკის ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკის თეორიამ ევოლუცია განიცადა. თავდაპირველი სახით იგი მოცემულია ნაშრომში "სინტაქსური სტრუქტურები"<sup>1</sup>. ავტორი აღნიშნავს, რომ ენის თეორიას უნდა აინტერესებდეს ენის ქმედითი ხასიათი. ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ადამიანს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში ააგოს ახალი წინადადებები, რომლებსაც ამავე ენაზე მოლაპარაკე სხვა ადამიანი გაიგებს მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება შინაარსობრივად სრულიად უცნობი იყოს მისთვის.

ენის დაუფლების შემდეგ, ადამიანს შეუძლია წარმოქმნას უსასრულო რაოდენობის წინადადება. ცნობილია, რომ წინადადებათა მხოლოდ მინიმუმს იზეპირებენ, უმრავლესობა კი იქმნება ექსპრომიტად. ენის ცოდნა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ცოდნა წესთა რაღაც სისტემისა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს გრამატიკა. გრამატიკა არის მექანიზმი, რომელიც გვაძლევს სწორად აგებულ წინადადებათა უსასრულო სიმრავლეს და თითოეულ მათგანს უთანადებს ერთ ან რამოდენიმე სტრუქტურულ დახასიათებას (ვარიანტს).

ჩომსკისაზრით, ლინგვისტურ თეორიაში არ შეიძლება ერთმანეთთან გავაიგივოთ "გრამატიკულად სწორი" და "შინაარსიანი" ანუ "აზრიანი" წინადადებების ცნებები. ამავდროულად იგი მიიჩნევდა, რომ გრამატიკული სისწორის დასადგენად უშედეგოა სემანტიკური საფუძვლის ძიება, რადგან მხოლოდ სტრუქტურული ხასიათის საფუძველი იძლევა სწორი და არასწორი წინადადებების გარჩევის შესაძლებლობას. საილუსტრა-

---

1 Chomsky, Noam. Syntactic structures. The Hague: Mouton, 1957.

ციოდ იგი განიხილავს ორ სრულიად უაზრო წინადადებას, რომელთაგანაც პირველი წარმოადგენს გრამატიკულად სწორ წინადადებას, ხოლო მეორე კი — არა:

1. "Colorless green ideas sleep furiously."  
("უფერულ მწვანე აზრებს სძინავთ გაშმაგებით").
2. "Furiously sleep green ideas colorless."  
("გაშმაგებით სძინავთ მწვანე აზრებს უფერულ").

წარმომშობ გრამატიკას არ შეუძლია განსაზღვროს ამა თუ იმ ენისათვის ნიშანდობლივი, სწორი კონკრეტული წინადადებების წარმოქმნა, რადგანაც წინადადების თეორიიდან იგი გამორიცხავს მის სემანტიკურ ასპექტს და ტექსტში მისი გამოვლენის ალბათობას. აქედან გამომდინარე, "სინტაქსურ სტრუქტურებში" ჩომსკი იძულებულია დაასკვნას, რომ გრამატიკა ავტონომიურია და იგი არ არის დამოკიდებული მნიშვნელობაზე, და რომ ალბათობრივი მოდელი არ იძლევა სინტაქსური სტრუქტურის ძირითადი პრობლემების არსში წვდომის შესაძლებლობას.

გამოიყოფა ორი სახის სინტაქსური სტრუქტურები — ბირთვული (kernel sentences) და არაბირთვული (non-kernel sentences), რომლებიც ბირთვულ წინადადებათა ტრანსფორმებს წარმოადგენენ. მათი აღწერა მოიცავს ელემენტთა კლასიფიკაციის და შეერთების წესებს. ეს აღწერა ხორციელდება ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენებით. ჩომსკი შეისწავლის გრამატიკული ტრანსფორმაციის ფორმალურ თვისებებს და ასკვნის, რომ ინგლისური ენის გრამატიკა არსებითად გამარტივდება, თუ სტრუქტურულ აღწერას უშუალო შემადგენელთა დონეზე შევზღუდავთ მარტივი ბირთვული წინადადებებით, რომელთაგანაც სხვა წინადადებები აიგება ტრანსფორმაციის რამდენიმეჯერ გამოყენებით.

ყოველი გრამატიკული ტრანსფორმაცია არის წესი, რომლის მიხედვითაც ყოველი წინადადება უშუალო შემადგენელთა მოცემული სტრუქტურით გარდაიქმნება ახალ წინადადებად უშუალო შემადგენელთა შეცვლილი სტრუქტურით. ჩომსკი გამოყოფს ტრანსფორმაციათა 24 ტიპს და ქმნის "ტრანსფორმაციის ალგებრას" ანუ ტრანსფორმაციათა თანმიმდევრობას. ტრანსფორმაციულ ოპერაციებს შორის მას ძირითადად მიიჩნია:

1. სუბსტიტუცია ანუ ერთი ელემენტის შეცვლა მეორეთი:

John arrives and so do I.

John can arrive and so can I.

John has arrived and so have I.

John has arrived and I know it.

2. პერმუტაცია ანუ ელემენტების გადაჯგუფება:

John has arrived.

Has John arrived?

3. ადიუნქცია ანუ ელემენტის დამატება:

John ate an apple.

John did not eat an apple.

John ate an apple, didn't he?

4. ელიფსისი ანუ ელემენტის გამორიცხვა:

Everyone considers John to be a fool.

John is considered to be a fool.

ჩომსკის მიერ "სინტაქსურ სტრუქტურებში" აღწერილი გრამატიკა ფაქტობრივად გათანაბრებულია სინტაქსთან, რადგანაც სწორედ სინტაქსს ევალება წარმოქმნას გრამატიკულად სწორი წინადადებები. წინადადების სემანტიკური ასპექტი მთლიანად უგულვებელყოფილია, რითაც კიდევ უფრო გაფართოებულია სინტაქსის არე.

როგორც აღენიშნეთ, ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკის თეორიამ ევოლუცია განიცადა. მისი სახეცვლილი და შედარებით სრულყოფილი ვარიანტი მოცემულია ნაშრომში "სინტაქსური თეორიის ასპექტები"<sup>1</sup>, სადაც პირველი პერიოდის ისეთი მნიშვნელოვანი ცნებები, როგორც არის "ბირთვული წინადადება", "გრამატიკის უშუალო შემადგენელთა დონე" და სხვა, შეცვლილია ახალი, ისეთი განსხვავებული ცნებებით, როგორცაა: "სიღრმისეული სტრუქტურა", "ზედაპირული სტრუქტურა", "სემანტიკური ინტერპრეტაცია" და ა.შ.

მეორე ეტაპზე წარმომშობი გრამატიკის მიზანს წარმოადგენს როგორც აბსტრაქტულ ფორმალურ ობიექტთა უსასრულო სიმრავლის წარმოქმნა, ასევე მათი ფონეტიკური და სემანტიკური ინტერპრეტაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ხდება სინტაქსური, სემანტიკური და ფონეტიკური კომპონენტების ფუნქციური სინთეზი. ჩომსკის მეორე პერიოდის შრომებში ჩანს, რომ გრამატიკას უნდა აინტერესებდეს არა მარტო გრამატიკულად სწორი, არამედ ამასთანავე შინაარსიანი, აზრიანი წინადადებების წარმოქმნა. ენის ცოდნა გულისხმობს არა მარტო უსასრულოდ ბევრი ახალი წინადადების წარმოქმნას და გაგებას, არამედ სწორი წინადადებების გამორჩევას არასწორი წინადადებებისაგან და მათ ინტერპრეტირებას.

გრამატიკის სინტაქსური ნაწილი მოცემულ ეტაპზე შედგება ბაზისისა და ტრანსფორმაციული კომპონენტისაგან. ბაზა თავის მხრივ მოიცავს კატეგორიალურ სუბკომპონენტს და ლექსიკონს. კატეგორიალურ სუბკომპონენტში შედის კატეგორიალური ლექსიკონი ანუ სიმბოლოები (S, N, V...) და განშტოების ბაზისურ წესთა სისტემა:  $S \rightarrow NP + VP$ ;  $NP \rightarrow Det + N$ ;  $VP \rightarrow VP + NP$  და ა.შ.. ეს წესები კონტექსტით შეზღუდული არ არის და ისინი ასრულებენ ორ, სრულიად განსხვავებულ ფუნქციას:

1 Chomsky, Noam. Aspects of the theory of syntax. Cambridge: MIT, 1965.



1. ისინი განსაზღვრავენ გრამატიკულ მიმართებათა სისტემას, რასაც შემდეგ ემყარება სემანტიკური ინტერპრეტაცია;
2. გვაძლევენ სიღრმისეული სტრუქტურის ელემენტთა თანმიმდევრობას, რაც წარმოადგენს საფუძველს ტრანსფორმაციულ წესთა ფუნქციონირებისათვის (აქედან პირველი ზოგადია და, ჩომსკის აზრით, უნივერსალურიც.).

ბაზისური კომპონენტის განშტოების წესები წარმოქმნის მარტივ პრეტერმინალურ ჯაჭვს (მაგალითად, ასეთს: Det + N + V ან N + V + Det + N, etc.) და აერთიანებს მათ რთულ ბაზისურ სტრუქტურებში.

რთულ ბაზისურ სტრუქტურებში ლექსიკური ერთეულების შეტანის შედეგად მიიღება წინადადების სიღრმისეული სტრუქტურა. ლექსიკური ერთეული რთული ოდენობაა. იგი შედგება გრამატიკული ფორმატივებისა და ლექსემებისაგან. პრეტერმინალურ ჯაჭვში გრამატიკული ფორმატივების შეტანით ვიღებთ ტერმინალურ ჯაჭვს, ხოლო ტერმინალურ ჯაჭვში ლექსემების შეტანით კი მიიღება სიღრმისეული სტრუქტურა. სიღრმისეული სტრუქტურის ცნება ერთ-ერთი ფუნდამენტალური ცნებაა ჩომსკის ახალ თეორიაში, რადგან წინადადების სემანტიკური ინტერპრეტაცია დამოკიდებულია მხოლოდ სიღრმისეული სტრუქტურის ლექსიკურ ერთეულებზე და მარტივ სტრუქტურებში წარმოდგენილ გრამატიკულ ფუნქციებსა და მიმართებებზე. ლექსიკურ ერთეულთა სუბკატეგორიზაციის წესები საშუალებას იძლევა გრამატიკის კატეგორიალური კომპონენტის მიერ წარმოქმნილ ბაზისურ სტრუქტურაში სწორად იქნეს შეტანილი ლექსიკური ერთეული, რამაც უნდა უზრუნველყოს როგორც გრამატიკულად, ისე სემანტიკურად სწორი წინადადების მიღება. გრამატიკულ სისწორეს უზრუნველყოფს

მკაცრი სუბკატეგორიზაციის წესები, სემანტიკურ სისწორეს კი — სელექციის წესები.

რა მიმართებაშია ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკა ტრადიციულ გრამატიკასთან? რას გვაძლევს იგი წინადადების დახასიათებისათვის?

ჩომსკის აზრით, ტრადიციული გრამატიკები წინადადების დახასიათებას ახდენენ სამი ძირითადი პარამეტრის მიხედვით. ესენია:

1. წინადადების კატეგორიალური დახასიათება, ანუ წინადადების დაყოფა შემადგენლებად ისე, რომ ყველა შემადგენელს მიენერებოდეს გარკვეული კატეგორიალური ნიშანი: წინადადება (S), ზმნური ფრაზა (VP), სახელადი ფრაზა (NP) და ა.შ.;
2. წინადადების ფუნქციური დახასიათება, ანუ წინადადების წევრთა დახასიათება სუბიექტის, პრედიკატის და ობიექტის თვალსაზრისით;
3. წინადადების წევრთა დახასიათება სინტაქსური ნიშნების მიხედვით, რაც გულისხმობს წინადადების წევრთა შესახებ შემდეგი ინფორმაციის მოცემას: წინადადების წევრი მეტყველების რა ნაწილით არის წარმოდგენილი. მაგალითად, არსებითი სახელის შემთხვევაში უნდა მიეთითოს — კონკრეტულია იგი თუ აბსტრაქტული, საკუთარი თუ საზოგადო, სულიერი თუ უსულო და ა.შ.; ზმნის შესახებ უნდა ითქვას, გარდამავალია იგი თუ გარდაუვალი, როგორი საგნისათვის არის დამახასიათებელი ზმნით აღნიშნული მოქმედება და სხვ.

ჩომსკი გამართლებულად მიიჩნევს ამ სამივე აღწერას და მიზნად ისახავს მიღებული ინფორმაციის გაერთიანებას და მის ფორმალურად წარმოდგენას წინადადების სტრუქტურულ აღ-

წერაში ექსპლიციტური წესების სახით, რასაც იგი გვთავაზობს კიდევ "სინტაქსური თეორიის ასპექტებში". თავად ავტორი მის მიერ შემუშავებულ "სტანდარტულ თეორიას" სინტაქსურად განპირობებულს უწოდებს იმ თვალსაზრისით, რომ რომ იგი ენის ბგერით მხარესა და შინაარსს შორის მიმართებას ამყარებს სინტაქსური კომპონენტის საშუალებით.

მოგვიანებით, "გაფართოებულ სტანდარტულ თეორიაში"<sup>1</sup> ჩომსკი აღნიშნავს, რომ სემანტიკური რეპრეზენტაცია არ არის დამოკიდებული მხოლოდ სილრმისეულ სტრუქტურაზე, რადგანაც ზოგ შემთხვევაში იგი ზედაპირულ სტრუქტურას უფრო უკავშირდება, ვიდრე სილრმისეულს. ჩომსკის აზრით, ისეთი ფაქტორები, როგორცაა ფოკუსი, პრესუპოზიცია, თემა და რემა, ლოგიკური ელემენტების მოქმედების არე და ა.შ. ზედაპირულ და სილრმისეულ სტრუქტურებში სხვადასხვანაირად განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, ჩომსკი საჭიროდ მიიჩნევს გრამატიკის სტანდარტული თეორიის მოდიფიკაციას შემდეგი სახით: სინტაქსური და ფონოლოგიური კომპონენტი იგივე რჩება, სემანტიკური კომპონენტი კი იცვლება. სემანტიკური ინტერპრეტაცია დამოკიდებულია როგორც სილრმისეულ, ასევე ზედაპირულ სტრუქტურაზე.

ამრიგად, ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკის განვითარების მეორე ეტაპზეც სინტაქსი ისევ ფორმალურ სტრუქტურად განიხილება. ჩომსკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სინტაქსურ დონეზე სემანტიკური ინფორმაცია საჭირო არ არის, თუმცა გრამატიკის ეს კომპონენტი ისეა აგებული, კერძოდ, ლექსიკონი ისეთ ინფორმაციას იძლევა, რომ უკვე სილრმისეულ სტრუქტურაშია ჩადებული არა მარტო გრამა-

---

1 Chomsky, Noam. The logical structure of linguistic theory. New York: Plenum, 1975.

ტიკულად, არამედ სემანტიკურადაც სწორი წინადადების წარმოქმნა. ჩომსკის თეორიაში სილრმისეული სტრუქტურა კვლავ სინტაქსური კომპონენტის ნაწილს წარმოადგენს და ამდენად იგი მკაცრად ფორმალურია. თითქმის უნივერსალურად არის მიჩნეული სილრმისეულ სტრუქტურაში გრამატიკულ მიმართებათა სისტემის დამდგენი წესები და პრეტერმინალური ჯაჭვის წარმომქმნელი განშტოების წესები, რაც უაღრესად არსებითია ლინგვისტური ანალიზისთვის. ჩომსკის თეორიის ძირითად ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მასში მთლიანად არის იგნორირებული ანალიზის პრაგმატიკული ასპექტი, რასაც იგი დღემდე აგრძელებს.

# ლექცია 9

## ვალენტობის ცნება ენათმეცნიერებაში

სინტაქსური ვალენტობის<sup>1</sup> ცნება ენათმეცნიერებაში პირველად შემოიტანა და დააფუძნა ფრანგმა ლინგვისტმა ლ. ტენიერმა 1953 წელს თავის ნაშრომში "ნარკვევები სტრუქტურული სინტაქსის შესახებ".<sup>2</sup> მკვლევარს მიაჩნია, რომ სინტაქსის თეორია უნდა დაემყაროს წმინდა სინტაქსურ მონაცემებს და მასში უნდა გავარჩიოთ ორი ძირითადი ნაწილი:

1. კატეგორიული ანუ სტატიკური სინტაქსი, რომელიც შეისწავლის გრამატიკულ კატეგორიებს, მათი თანმიმდევრობის და ორგანიზაციის პრინციპებს ენაში;
2. ფუნქციური ანუ დინამიკური სინტაქსი, რომელიც შეისწავლის "ცოცხალი" ფრაზის სტრუქტურულ მექანიზმს, მისი კავშირების რეალურ სისტემას.

ლ. ტენიერის აზრით, ფრაზა წარმოადგენს მრავალიარუსიან იერარქიულ ორგანიზმს. ასახავს რა ექსტრალინგვისტურ სიტუაციას, ფრაზა ვერბოცენტრისტულია თავისი სტრუქტურაციით, რადგანაც მის მაორგანიზებელ ბირთვულ ნევრად გვევლინება ზმნა, რომლის კატეგორიალური მნიშვნელობაც განაპირობებს ფრაზის კონფიგურაციას. უნდა აღინიშნოს, რომ ტენიერის ლინგვისტურ კონცეფციაში ფრაზა გამოიყენება წინადადების ექვივალენტურად. ფრაზის ცენტრში დგას ზმნა, პერიფერიებზე კი განლაგებულია მრავალრიცხოვანი გრამატიკული ელემენტები, რომლებიც

1 ტერმინი "ვალენტობა" ენათმეცნიერებაში ქიმიიდან შემოვიდა, სადაც ვალენტობა (ლათ. *valentia* "ძალა") არის ატომის თვისება შეუერთდეს ან მიიერთოს სხვა ატომების გარკვეული რაოდენობა.

2 Tesnière L., *Esquisse d'une syntaxe struqturale*, Paris, 1953.

ექვემდებარებიან ერთმანეთს და საბოლოო ჯამში კი ზმნას, როგორც გრამატიკულად ცენტრალურ და უმნიშვნელოვანეს ელემენტს.

ფრაზის შიგნით გამოიყოფა სტრუქტურული გაერთიანება, რომლის ცენტრიც შეიძლება იყოს ზმნა, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ზმნიზედა. მსგავს გაერთიანებებს ტენიერი შესაბამისად უწოდებს ვერბალურ, ადიექტურ და ადვერბიალურ კვანძებს.

ლ. ტენიერი ზმნას ადარებს პატარა პიესას. წინადადების მთავარი ფუნქცია მდგომარეობს გარკვეული სიტუაციის ან ხდომილების აღნიშვნაში. ყოველი ხდომილება გულისხმობს რეალურ მოქმედ პირებს (აქტანტებს) და რაიმე ტიპობრივ გარემოცვას (სირკუმსტანტებს). რამდენადაც წინადადება ასახელებს ხდომილებას ან სიტუაციას, იმდენად ყოველი წინადადება წარმოადგენს ისეთ სტრუქტურას, რომლის ცენტრი იქნება ზმნა გარშემორტყმული თავისი აქტანტებით (არსებითი სახელებით) და სირკუმსტანტებით (ადვერბიალური წევრებით). რეალურ აქტანტებს წინადადებაში შეესაბამება სინტაქსური აქტანტები. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ სინტაქსური ვალენტობის ცნების ჩამოყალიბება დაუკავშირდა ზმნას.

ლ. ტენიერის მიხედვით, ვალენტობა არის ზმნის პოტენციური შესაძლებლობა სინტაქსური კავშირი დაამყაროს არსებითი სახელებით გამოსხატულ აქტანტებთან. ზმნის აქტანტური კონფიგურაცია გამომდინარეობს წინადადების ნომინაციური ფუნქციიდან. ვალენტობის თეორიის მიხედვით, წინადადებაში — “The boy is reading a book.” — “is reading” (“კითხულობს”) ორვალენტიანი ზმნაა, ხოლო “the boy” (“ბიჭი”) და “a book” (“წიგნი”) კი — აქტანტები.

ლ. ტენიერი გამოყოფს სამ მოქმედს ანუ აქტანტს, რომელთაგანაც თითოეულს აქვს რიგითი ნომერი: პირველი, მე-

ორე და მესამე აქტანტი. ისინი სემანტიკურად შემდეგნაირად ხასიათდება:

1. პირველი აქტანტი არის მოქმედი სუბიექტი ანუ ის, ვისაც მოქმედების ჩადენა მიეწერება. ტრადიციული გრამატიკის მიხედვით, ეს არის წინადადების მთავარი წევრი — ქვემდებარე;
2. მეორე აქტანტი არის ის, ვიზედაც გადადის მოქმედება, ანუ ვინც განიცდის მოქმედებას. ტრადიციულ გრამატიკაში ეს არის პირდაპირი დამატება;
3. მესამე აქტანტი არის ის, ვისთვისაც სრულდება მოქმედება, ანუ ტრადიციული გრამატიკის მიხედვით ეს არის ირიბი დამატება.

ლ. ტენიერის თეორიაში, წინადადების სტრუქტურული განხილვის დროს იხსნება ტრადიციული სემანტიკური დაპირისპირება ქვემდებარესა და დამატებას შორის და იგი გადაიქცევა უბრალო განსხვავებად პირველ, მეორე და მესამე მოქმედს ანუ აქტანტს შორის. ასეთი მიდგომის დროს, ქვემდებარე, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა აქამდე სინტაქსში როგორც წინადადების მთავარ წევრს, კარგავს თავის პრიორიტეტს და უთანაბრდება დამატებას როგორც ერთ-ერთი აქტანტი, რაც ტენიერის ლინგვისტურ კონცეფციაში სტრუქტურული სინტაქსის მნიშვნელოვან თავისებურებას ქმნის და არა ერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი.

ლ. ტენიერის აზრით, წინადადებაში აქტანტთა რიცხვი შეზღუდულია და ყოველთვის ექვემდებარება მკაცრ აღრიცხვას, რაც არ შეიძლება ითქვას გარემოებებზე ანუ სირკუმსტანტებზე. ისინი შეიძლება სულ არ შეგვხვდეს წინადადებაში ან შეგვხვდეს მათი ნებისმიერად ცვალებადი რიცხვი, რის გამოც ზმნის ვალენტობა განისაზღვრება არსებითი სახელებით გამოხატული აქტანტების მიხედვით და არა გარემოება-სირკუმსტანტებით. აქედან გამომდინარე, ზმნის აქტანტურ ვა-

ლენტობას ობლიგატორული ვალენტობა ეწოდება. ობლიგატორულია მხოლოდ ქვემდებარე და პირდაპირი დამატება, რის საფუძველზეც ისინი გარდამავალ ზმნასთან ერთად წინადადების მთავარ წევრებად განიხილება. აქტანტურისაგან განსხვავებით, ზმნის ადვერბიალური ანუ სირკუმსტანტული ვალენტობა ობლიგატორულს არ წარმოადგენს, რის გამოც ისინი წინადადების ძირითად წევრებად არ მოიაზრება.

თანამედროვე ინგლისურ ენაში ვალენტობის თეორიის მიხედვით არსებობს შემდეგი სახის ზმნები:

1. ავალენტური ზმნები. ეს არის ზმნები ნულოვანი ვალენტობით, რომლებიც ე.წ. "უპირო წინადადებებში" გვხვდება, რადგანაც მათში მოცემული ხდომილება თავისთავად, ვინმეს მონაწილეობის გარეშე ხდება. მაგალითად: It's raining; It is morning; It's sunny; It was getting dark, etc.
2. მონოვალენტური ანუ ერთვალენტიანი ზმნები, რომლებიც ისეთ ხდომილებას ან სიტუაციას აღნიშნავენ, სადაც მხოლოდ ერთი პირი მონაწილეობს. ტრადიციულ გრამატიკაში ასეთი ზმნები გარდაუვალად ზმნების სახელწოდებით არის ცნობილი. მაგალითად: The boy is laughing; He is sleeping; The sun is shining.
3. ამბივალენტური ანუ ორვალენტიანი ზმნები, რომლებიც ხდომილებაში ორ პირს ან საგანს აერთიანებს. აქ მოქმედება ან პროცესი ერთი პირიდან მეორეზე გადადის, რის გამოც მათ ტრადიციულ გრამატიკაში გარდამავალ ზმნებს უწოდებენ. მაგალითად: He is reading a book; Jack has built a house.
4. სამვალენტურიანი ზმნები, რომლებიც ისეთ ხდომილებას აღნიშნავენ, სადაც სახელით აღნიშნული



სამი აქტანტი მონანილეობს. ჩვეულებრივ, მათგან პირველი და მესამე პირი არის სულიერი, მეორე კი — საგანი. მაგალითად: Mother bought me a new dress yesterday; I wrote a letter to her yesterday.

5. ინგლისურ ენაში არსებობს ოთხვალენტიანი ზმნებიც. მაგალითად: Nick sent me a book for my brother yesterday.


ლ. ტენიერი დეტალურად მიმოიხილავს აქტანტთა გამოხატვის საკითხს ენაში. იგი აღნიშნავს, რომ ყოველ აქტანტს აქვს რაიმე დამახასიათებელი ფორმალური ნიშანი, რომლითაც იგი განსხვავდება სხვა აქტანტებისაგან. ეს შეიძლება იყოს წინდებული, თანდებული, პრეფიქსი, სუფიქსი ან აქტანტის ადგილი მეტყველების ნაკადში.

ენებში, რომელთაც ბრუნვათა განვითარებული სისტემა აქვთ, აქტანტები ერთმანეთისაგან ბრუნვებით განსხვავდება. მაგალითად, ბევრ ევროპულ ენაში პირველი აქტანტი (ე.ი. მოქმედი სუბიექტი) სახელობითი ბრუნვით გადმოიცემა, მაშინ როდესაც ბასკურსა და ქართულში აქტიური მონანილის გამოსახატავად სპეციალური ბრუნვა გამოიყენება. ქართულში ერგატივი წარმოადგენს იმ სპეციალურ ბრუნვას, რომლითაც სუბიექტური აქტანტი გამოიხატება. ქართულის საილუსტრაციოდ ლ. ტენიერს მოჰყავს მაგალითი: “კაც’მან წიგნი დაწერა”, სადაც კაც’ მან ერგატივშია მოცემული. ფლექსიურ ენებში, აქტანტები თავის მხრივ გამოიხატება ზმნაში პირის ნიშნების საშუალებით.

ინგლისურში აქტანტები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ადგილმდებარეობით და წინდებულებით. გარდა ამისა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლ. ტენიერის მიერ განხორციელებულ ზმნათა კლასიფიკაციას გვარის (დიათეზების) მიხედვით, რომელიც აქტანტთა ურთიერთმიმართებას ეფუძნება. ტენიერი გამოყოფს გვარის შემდეგ სახეებს:

აქტიური  $A \rightarrow B$

პასიური  $A \leftarrow B$

ფეხდექიური 

საურთიერთო  $\begin{cases} A \rightarrow B \\ A \leftarrow B \end{cases}$

აქტიურ ანუ მოქმედებით გვარში პირველი აქტანტი მოქმედების შემსრულებელზე მიუთითებს და ჩვეულებრივად, ზმნის წინ დგას. მაგალითად: Tom was painting the fence.

პასიურ ანუ ვნებით გვარში პირველი აქტანტი თვითონ კი არ ასრულებს რაიმე მოქმედებას, არამედ მასზე ზემოქმედებენ: The fence was being painted by Tom.

მათგან განსხვავებით, რეფლექსურ გვარში პირველი აქტანტი ხასიათდება ფუნქციური სინკრეტიზმით, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია ერთდროულად შეასრულოს პირველი აქტანტისა და ინტენსიფიკატორის სინტაქსური ფუნქცია. მაგალითად: Tom was painting the fence by himself.

საინტერესოა ტენიერის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ზმნები შესაძლებელია ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდეს ფორმალურად და შინაგანი სტრუქტურით, მაგრამ განსხვავებული იყოს მათთან დაკავშირებულ აქტანტთა რიცხვი. ასეთი სემანტიკური ცვლილება ენაში, ძირითადად მორფოლოგიური საშუალებით გამოიხატება: იცვლება ზმნის აგებულება, მორფოლოგიური სტრუქტურა. ტენიერი განიხილავს აქტანტთა რიცხვის გაზრდისა და შემცირების ოპერაციებს და აკეთებს შემდეგ განზოგადებებს:

1. ოპერაციას, რომელიც ზრდის აქტანტთა რიცხვს, კაუზატივი ეწოდება;
2. ოპერაციას, რომელიც ამცირებს აქტანტთა რიცხვს,

ენოდება შეკვეცის დიათეზა;

3. ახალი აქტანტი, რომელიც კაუზატივის შედეგად წარმოიქმნება, წარმოადგენს მოქმედების უშუალო შემსრულებელს.

მაგრამ ტენიერის თეორიაში ძირითადი აქცენტი კეთდება ფლექსიურ ენებზე, რომლებშიც ვალენტობა მორფოლოგიურად გამოიხატება ზმნაში (რის დადასტურებასაც წარმოადგენს თუნდაც მკვლევარის მიერ გაანალიზებული ქართული ენის მაგალითები). ინგლისურ ენაში ვალენტობა მორფოლოგიურად არ არის გამოხატული — იგი უმთავრესად ლექსიკურ-სემანტიკურად, წინადადებაში სიტყვათა წყობით და წინდებულების საშუალებით რეალიზდება. მაგალითად, წინადადება "Mother made Nick write a letter to his father" სინტაქსურ-სემანტიკურად რთულ იერარქიულ კონფიგურაციას წარმოადგენს მასში მოცემული ფრაზული კაუზატივის — make somebody do something-ის გამო, რომელიც ლექსიკურ-გრამატიკულად განაპირობებს ზმნის ვალენტობის და, შესაბამისად, აქტანტთა რიცხვის გაზრდას (Mother, Nick, a letter და his father).

ტენიერის მიერ შემუშავებულმა ვალენტობის თეორიამ მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანა სინტაქსურ კვლევებში. მაგრამ ლინგვისტები ამავდროულად აღნიშნავენ მის ნაკლოვან მხარეებსაც. ისინი მიუთითებდნენ, რომ ტენიერთან არ არის მკაფიოდ განსაზღვრული არც ვალენტობის ცნება და არც აქტანტთა გამოყოფის კრიტერიუმები. კერძოდ, არ ჩანს ნათლად, ვალენტობა მხოლოდ ფორმალური ნიშნით განისაზღვრება აქტანტთა განლაგების და წინდებულიან-თანდებულიანი გაფორმების საფუძველზე, თუ გადაამწყვეტია ზმნის სემანტიკური მხარე.

ვალენტობის თეორიის ამ ნაკლოვანებათა დაძლევა მრავალმა მეცნიერმა სცადა. მათ შორის აღსანიშნავია ჰ. ბრინკმანის კონცეფცია, თუმცა ვერც მან შესძლო ვალენტობის ცნების

ზუსტი განსაზღვრა. ბრინკმანის მთავარი ნაკლი იყო ის, რომ ზმნის ვალენტობის განმსაზღვრელ კრიტერიუმად მან აირჩია არსებითი სახელის ბრუნვათა რიცხვი გერმანულში, რის გამოც წინასწარ არის განსაზღვრული, თუ რამდენი აქტანტი შეიძლება ჰქონოდა ზმნას. თანამედროვე გერმანულ ენაში ოთხი ბრუნვიდან (სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი და ბრალდებითი) ბრინკმანმა ზმნის ვალენტობას დაუკავშირა მხოლოდ სამი — იგი ნათესაობით ბრუნვას მოიაზრებდა განსაზღვრების პოზიციისათვის. ასეთი მიდგომა ზმნის ვალენტობისადმი მეცნიერულად არ არის სწორი, რადგანაც ამ შემთხვევაში ღიად რჩება საკითხი ისეთ ენებთან დაკავშირებით, რომლებსაც ბრუნვათა დიდი რაოდენობა გააჩნიათ (მაგალითად უნგრული, სადაც სახელს 21 ბრუნვა აქვს) ან ისეთ ენებში, რომელთაც ბრუნვათა სისტემა საერთოდ არ გააჩნიათ (მაგალითად ინგლისურში).

ზმნის ვალენტობას მიუძღვნეს კვლევები ი. ერბენმა, ჰ. ჰელბიგმა, ვ. გუცუ-რომალომ, ც. ჩეტმენმა, ვაისგერბერმა, პორცინგმა და სხვებმა. მათი ნაშრომების კრიტიკული ანალიზი გვიჩვენებს, რომ გაფართოვდა ვალენტობის ცნების გამოყენების სფერო. თანამედროვე ლინგვისტიკაში ვხვდებით ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა “სინტაქსური ვალენტობა”, “სემანტიკური ვალენტობა”, “ლექსიკურ-გრამატიკული ვალენტობა”, “ლექსიკურ-სინტაქსური ვალენტობა”, “ღია და ჩაკეტილი ვალენტობა”, “პარადიგმატული ვალენტობა” და სხვა. მსჯელობენ ასევე ფონეტიკური, ფონოლოგიური, ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური დონის ელემენტების ვალენტობის შესახებ. ასეთი ტერმინოლოგიური მრავალფეროვნების მიუხედავად, ყველა ამ ცნებისათვის ამოსავალია ვალენტობის განსაზღვრის ძირითადი პრინციპი — ენობრივი ერთეულის უნარი დაიკავშიროს (მიიერთოს) სხვა ენობრივ ერთეულთა გარკვეული რიცხვი.

მკვლევართა უმეტესობა ვალენტობას სინტაქსურ ცნებად

განიხილავს. ისინი მიუთითებენ, რომ ზმნის ვალენტობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის ლექსიკურ-სემანტიკურ მნიშვნელობაზე, რომელიც განსაზღვრავს არა მარტო მასთან დაკავშირებული სახელის ფორმას (მართვის გზით), არამედ მის შინაარსსაც. პორცინგის აზრით, ზმნებს შორის საკმაო რაოდენობით გვხვდება ე.წ. "არსითი მნიშვნელობითი მიმართებები", როდესაც ერთი სიტყვის სემანტიკა მეორე სიტყვასთან კავშირში მოიაზრება. მაგალითად, "სვლა" გულისხმობს ფეხს, "წავლება" — ხელს, "ხედვა" — თვალს, "სმენა" - ყურს, "ლოკვა" — ენას და ა.შ.. როდესაც ამგვარი მნიშვნელობითი მიმართებები ირღვევა (მაგალითად, თუ ვამბობთ "იცინის ძაღლი", "ყეფს ადამიანი" და სხვ.), საქმე გვაქვს მეტაფორიზაციასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ზმნის სინტაქსური ვალენტობა მჭიდროდ უკავშირდება კონკრეტული ზმნის სემანტიკას, მისი კვლევა არც სემანტიკის საგანს წარმოადგენს და მითუმეტეს არც სტილისტიკის. ზმნისა და აქტანტთა კონფიგურაცია ქმნის წინადადებას, ხოლო წინადადება კი სინტაქსის ძირითად ერთეულად მოიაზრება. აქედან გამომდინარე, ზმნის ვალენტობაც სინტაქსის კვლევის ობიექტად მოიაზრება.

## ლექცია 10

### ჩარლზ ფილმორის ლინგვისტური კონცეფცია “ზრუნვათა შესახებ”

ჩარლზ ფილმორის კონცეფციის<sup>1</sup> მიხედვით, ყოველი წინადადება წარმოიქმნება მისი პროპოზიციული შინაარსის და მოდალური კომპონენტების ურთიერთქმედების შედეგად, რომელიც შეიძლება გამოისახოს ფორმულით:

$S \rightarrow M \text{ (Modality) } + P \text{ (Proposition)}$ .

იდეა, გამონათქვამის დიფერენცირების შესახებ მოდუსად და დიქტუმად, დასაბამს იღებს ფრანგი მეცნიერის შარლ ბალის<sup>2</sup> ლინგვისტურ კონცეფციაში, სადაც ცნება “დიქტუმი” გულისხმობს ინფორმაციას სინამდვილის საგნებსა და მოვლენების შესახებ., ხოლო მოდუსი (მოდალობა) წარმოადგენს “მეტყველი სუბიექტის აქტიურ ოპერაციას”, რის შედეგადაც ხდება მისი დამოკიდებულების გამოხატვა დიქტუმის მიმართ.

ჩარლზ ფილმორის კონცეფციაში დიქტუმის ცნება შეცვალა პროპოზიციის ცნებამ, რომელსაც ლინგვისტურ ლიტერატურაში ორი მიმართულებით განიხილავენ:

1. გარე სამყაროსთან მიმართებაში, როდესაც პროპოზიცია წარმოადგენს ხდომილების ანუ ექსტრალინგვისტური სიტუაციის იკონისტურ ასახვას;
2. საკუთრივ ლინგვისტურ კონტექსტში, როდესაც პროპოზიცია განიხილება როგორც სემანტიკური კონსტანტა (მუდმივი), რომელიც სემანტიკურ ინვარიანტად გვევლინება გამონათქვამის კომუნიკაციური პარადიგმის ყველა ნევრისათვის, ასახავს

1 Fillmore Ch., The Case for Case. – In: “Universals in Linguistic Theory”, New York, 1968, p. 1 - 88.

2 Bally, Ch., Linguistique generale et linguistique francaise. Berne: “Editions Francke”, 1965

რა იმ ექსტრალინგვისტურ სიტუაციას, რომლის მიმართაც ხორციელდება სამეტყველო აქტი. მაგალითად, გამონათქვამები:

“Put the vase on the table!”

“You will put the vase on the table.”

“Will you put the vase on the table?”

“You’d better put the vase on the table.”

ერთიანდება ერთი და იგივე პროპოზიციული შინაარსით — putting the vase on the table (“ვაზის მაგიდაზე დადებით”), მაშინ როდესაც ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება კომუნიკაციური მიზანდასახულობით, რომელიც თითოეული კონკრეტული გამონათქვამისათვის განისაზღვრება როგორც მოთხოვნა, წინასწარმეტყველება, თხოვნა და რჩევა.

პროპოზიცია სამყაროსეულ ხდომილებას ასახავს თავის სტრუქტურულ ორგანიზაციაში. ფილმორის კონცეფციაში პროპოზიციის სტრუქტურულ-სემანტიკურ საფუძვლად აღებულია სიმბოლური ლოგიკის პრედიკატულ-არგუმენტული მიდგომა. შესაბამისად, პროპოზიცია წარმოგვიდგება ვერბოცენტრისტულ პრედიკატულ სტრუქტურად, სადაც ცენტრალურ, მაორგანიზებელ ბირთვად გვევლინება ზმნური პრედიკატი, რომლის სემანტიკაც განაპირობებს მის არგუმენტულ კონფიგურაციას, ანუ მის კავშირს სახელებით გამოხატულ არგუმენტებთან. პრედიკატი და მასთან დაკავშირებული სახელები ქმნიან სილრმისეული წინადადების მხოლოდ პროპოზიციულ ნაწილს. ფილმორის აზრით, სილრმისეულ სტრუქტურაშივე უნდა იყოს გათვალისწინებული მისი მოდალობა, რადგანაც მოდალობა მართავს არა მარტო ზმნას, არამედ მთლიან პროპოზიციას, გამოხატავს რა მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულებას პროპოზიციაში მოცე-

მული ხდომილების მიმართ ზმნის კილოს, დრო-ასპექტისა და უარყოფის საშუალებით.

ფილმორის ლინგვისტური თეორიის ქვაკუთხედს წარმოადგენს “ბრუნვის” ცნება, რომელიც, მისი აზრით, უნდა შედიოდეს ყველა ენის ბაზისურ კომპონენტში მიუხედავად იმისა, თუ როგორი სტრუქტურისაა ეს ენა. სილრმისეულ სტრუქტურაში ფორმირდება წინადადება მისი პროპოზიციული შინაარსის და მოდალობის ურთიერთქმედების შედეგად. პროპოზიცია შედგება ზმნური პრედიკატის და სახელით გამოხატული ერთი ან რამდენიმე არგუმენტისგან, რომლებიც აზრობრივად უკავშირდება ზმნას მათ მიერ განხორციელებული სემანტიკური როლის ანუ “სილრმისეული ბრუნვის” მიხედვით. სილრმისეული ბრუნვები წარმოადგენს სემანტიკურად ელემენტარულ ერთეულებს, რომლებიც დაშლას არ ექვემდებარება. ისინი გამოხატავენ მხოლოდ ერთ შინაარსს, რადგანაც მხოლოდ ერთხელ გვხვდებიან ამა თუ იმ ზმნის გარემოცვაში. ფილმორის აზრით, სილრმისეული ბრუნვები წარმოადგენენ არგუმენტებს, ხოლო ზმნა კი მათ ფუნქციას, რადგანაც მისი მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, თუ ბრუნვათა როგორ კომბინაციაში შეუძლია მას შესვლა.

“სილრმისეულ ბრუნვათა” სისტემა დენოტაციურ პრინციპზეა დაფუძნებული. ბრუნვათა რაოდენობის განმსაზღვრელი პრინციპები საკმაოდ სუბიექტურია — იგი დამოკიდებულია მათი დანაწევრების ხარისხზე, რის გამოც არსებობს მათი რიცხვის ვოლუნტარისტულად გაზრდის საშიშროება (თვითონ ფილმორმაც რამდენჯერმე შეცვალა მათი რიცხვი!). ეს კი ეჭვის ქვეშ აყენებს სილრმისეულ ბრუნვათა უნივერსალობის საკითხს. ბრუნვათა ლოგიკურ-ცნებითი ასპექტით განხილვის ტენდენცია ძირითადად ინგლისური ენის მკვლევარებისათვის არის დამახასიათებელი, რაც ამ ენის მორფოლოგიური თავისე-



ბურებებით აიხსნება.

ჩარლზ ფილმორის თეორიაში წინადადების ფორმულა  $S \rightarrow M$  (Modality) +  $P$  (Proposition) შემდგომ გაშლას ექვემდებარება, რის შესაბამისადაც პროპოზიციის სტრუქტურა წარმოგვიდგება შემდეგი ფორმულის სახით:

$$P \rightarrow V + C_1 + C_2 + \dots + C_n,$$

სადაც  $C$  არის სახელის გარკვეული ბრუნვა (case),  $n$  კი არ არის უსასრულო რიცხვი, რადგანაც თავის ნაშრომში ფილმორი გამოყოფს ექვს ბრუნვას ანუ არგუმენტს. ესენია:

- |                       |   |
|-----------------------|---|
| 1 აგენტივი (A)        | არგუმენტი ანუ ბრუნვა, რომელიც მოქმედების შემსრულებელ ცოცხალ არსებაზე მიუთითებს:<br><b>John is opening the door.</b>                                   |
| 2 ინსტრუმენტატივი (I) | უსულო ძალა ან საგანი, რომლის საშუალებითაც ხდება მოქმედება:<br><b>John is opening the door with a hatchet.</b><br><b>The wind is opening the door.</b> |
| 3 დატივი (D)          | პირი, რომელიც განიცდის მოქმედებას ან იმყოფება ამა თუ იმ მდგომარეობაში:<br><b>John is painting his wife.</b>   |
| 4 ფაქტიტივი (F)       | საგანი ან არსება, წარმოქმნილი მოქმედების შედეგად:<br><b>John has built a house.</b>   |
| 5 ობიექტივი (O)       | საგანი, რომელსაც ეხება მოქმედება:<br><b>John is writing a letter.</b>   |
| 6 ლოკატივი (L)        | მოქმედების ადგილი:<br><b>John is driving in the street.</b>   |

ფილმორის მიერ შემუშავებული სიღრმისეულ ბრუნვათა

სისტემა და მის მიერ საილუსტრაციოდ მოცემული მაგალითები საკმაოდ წინააღმდეგობრივია. მაგალითად, ეჭვს ბადებს არგუმენტ-ინსტრუმენტატივის განმარტება და შესაბამისად, გამართლებულად არ მიგვაჩნია “ქარის” მოაზრება ამ როლში — “*The wind is opening the door.*” საკამათოა ასევე დატივის ცნებითი შინაარსი, რომლის შესაბამისადაც ერთ რანგშია განხილული რაიმე მდგომარეობაში მყოფი პირი (მაგალითად, *Mother was glad to see us.*) და პირი, რომელიც განიცდის მოქმედებას (*John is painting his wife.*). იგივე შეიძლება ფაქტიტივის შესაბამისობაზე მის განმარტებასთან, რადგანაც ეს დეფინიცია, ჩვენი აზრით, ალბათ რეზულტატივის უფრო მიესადაგებოდა.

მიუხედავად ამისა, ფილმორის თეორიას მაშინვე გამოუჩნდნენ მიმდევრები როგორც ამერიკაში, ისე ევროპის ქვეყნებში. იგი პოპულარულობით სარგებლობს ფლექსიური ენების კვლევების დროსაც, რომლებშიც არსებითი სახელის ბრუნვის გრამატიკული კატეგორია მრავალწევრიანი მორფოლოგიური პარადიგმით არის წარმოდგენილი. სიღრმისეულ ბრუნვათა სისტემამ მცირედი კონცეპტუალური ცვლილებები განიცადა. ამჟამად, ლინგვისტურ კვლევებში ყველაზე მიღებულად ითვლება შემდეგი არგუმენტების გამოყენება:

- |                 |  |
|-----------------|--|
| 1 აგენსი        | არგუმენტი, რომელიც მოქმედების შემსრულებელ ცოცხალ არსებაზე მიუთითებს:<br><i>Nick is working in the garden</i>   |
| 2 ექსპერიენსერი | არგუმენტი, რომელიც რაიმე ფსიქიკურ ან ემოციურ მდგომარეობაში მყოფ ცოცხალ არსებაზე მიუთითებს: <i>The girl felt so miserable she couldn't help crying.</i> |

- 3 პაციენსი არგუმენტი, რომელიც იმ ცოცხალ არსებაზე მიუთითებს, რომლისკენაც მოქმედება არის ორიენტირებული ან ურთიერთობის ადრესატს წარმოადგენს: **He painted his wife in nude.**
- 4 ელემენტივი არგუმენტი, რომელიც მოქმედების ან პროცესის უსულო განმახორციელებელზე მიუთითებს. ჩვეულებრივად, არგუმენტი-ელემენტივის რეფერენტებს წარმოადგენს ბუნებრივი ძალები და მოვლენები, ციური სხეულები და ა.შ.  
**The wind upset the boat.**  
**The sun was shining brightly.**
- 5 ობიექტივი არგუმენტი, რომელიც იმ უსულო საგანზე მიუთითებს რომლის მიმართაც ხორციელდება მოქმედება:  
**Mother has planted some flowers in front of the house.**
- 6 ინსტრუმენტატივი არგუმენტი, რომელიც აგენსის მიერ რაიმე ქმედების განხორციელების მიზნით გამოყენებულ საგანზე მიუთითებს: **He opened the door with his key.**
- 7 ბენეფიკტივი არგუმენტი, რომელიც იმპირზე მიუთითებს, ვის სასარგებლოდაც რაიმე ქმედება ხორციელდება:  
**Mother is cooking dinner for granny.**
- 8 რეციპიენტი არგუმენტი, რომელიც მიუთითებს რაიმის მიმღებ ადამიანზე ან კვაზი-სულიერ ერთეულზე (მაგ. ორგანიზაცია, დანესებულება და სხვ.):  
**John was sent a letter.**  
**The University has received an important donation lately.**
- 9 ლოკატივი მოქმედების ადგილი ან მისი სივრცული ორიენტაცია:  
**He sent his son to London.**

## ლექცია 11

### ენობრივი ნიშნის ევოლუცია მე-20 საუკუნის ლინგვისტიკაში

თანამედროვე ენათმეცნიერების ძირითად პოსტულატს წარმოადგენს ენის როგორც ნიშანთა სისტემის სახით წარმოჩენა. თეზისი ენის ნიშნობრიობის შესახებ დასაბამს იღებს შვეიცარიელი მეცნიერის ფერდინანდ დე სოსიურის ლინგვისტურ კონცეფციაში და მასზე აგებულია მთელი XX საუკუნის ენათმეცნიერება. ამ კონცეფციის თანახმად, ენის უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ იგი არის არბიტრალურ ანუ შეთანხმების შედეგად მიღებულ ნიშანთა სისტემა, როდესაც კავშირი აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის პირობითია.

რა არის ნიშანი და როგორ განისაზღვრება იგი ზოგადად? ჯერ კიდევ შუასაუკუნეებში შეიქმნა ნიშნის ის დეფინიცია, რომელიც დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას: “*Aliquid stat pro aliquo*” (“რალაც დგას რალაცის მაგივრად”). ნიშნის ანალოგიურ განმარტებას გვთავაზობს ლონგმენის ლექსიკონიც: “*a mark with a conventional meaning, used to replace or denote something*” (Longman New Universal Dictionary, 2001, p. 1080). ამ განმარტების მიხედვით, ნიშანზე შეიძლება ვილაპარაკოთ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე საგანი ან ფენომენი მიუთითებს მეორე საგანზე ან ფენომენზე და სწორედ ეს მიუთითებს წარმოადგენს ნიშნის ძირითად ფუნქციას მოცემულ სიტუაციაში. ეს არის ნიშნის ფართო გაგება. ამ დეფინიციის თანახმად, ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს როგორც ენობრივი ერთეულები (სიტყვა, ფრაზა, წინადადება), ისე სხვა ნებისმიერი საგანი ან ფენომენი, რომელიც სინამდვილეს აღნიშნავს (მაგალითად, ღერბი, ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები,

შუქნიშანი და სხვ.). ეს ნიშნავს იმას, რომ ენობრივი ნიშნების გარდა არსებობს სხვა სახის ნიშნებიც, თუმცა მათ შორის ენობრივ ნიშანს — ადამიანის ბგერით ენას — უკავია ცენტრალური ადგილი. რაც შეეხება ნიშნის ვიწრო გაგებას, იგი აუცილებლად გულისხმობს მის არბიტრალურობას, ანუ პირობითობას, და ყოველთვის ეყრდნობა მას.

მეცნიერებას, რომელიც იკვლევს სხვადასხვა სახის ნიშანთა სისტემების საერთო მახასიათებლებს, სემიოტიკა ეწოდება (ბერძნ. *sema, semeion* “ნიშანი”). რამდენადაც ადამიანის ენა პირობითი ხასიათის ბგერით ნიშანთა სისტემას წარმოადგენს, იმდენად ლინგვისტიკა ცენტრალურ სემიოტიკურ დისციპლინად მოიაზრება. ერთი მხრივ, იგი ეყრდნობა სემიოტიკის ზოგად მონაცემებს, მეორე მხრივ კი, თვითონ შეიძლება ჩაითვალოს სემიოტიკის საყრდენად, რადგანაც ყველა სხვა სახის ნიშანი საბოლოო ჯამში მას ეფუძნება, მისგან არის ნაწარმოები.

ენა არის ნიშანთა სისტემა. ენობრივ გამონათქვამებს ყოველთვის გარკვეული შინაარსი აქვს. ისინი ღირებულია იმდენად, რამდენადაც მიუთითებენ რალაცაზე გარეენობრივ ანუ ექსტრალინგვისტურ სამყაროში — აღნიშნავენ საგნებს, მოვლენებს, თვისებებს. სიტყვის (ან სხვა ენობრივ ერთეულთა) მნიშვნელობას ქმნის მისი მიმართება გარეენობრივი სამყაროს საგნებსა და მოვლენებთან. მნიშვნელობა, ეს არის ის ცნება, კონცეპტი, რომელიც კონვენციონალურად არის დაფიქსირებული მოცემული ბგერითი კომპლექსის მიღმა ამ ენის მატარებელთა ცნობიერებაში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელობის მქონე ყოველი ელემენტი ენობრივ სისტემაში არის ნიშანი, ხოლო მნიშვნელობას მოკლებული ელემენტი ნიშნად არ ჩაითვლება (მაგალითად, ბგერები).

ენობრივი ნიშნის არსებობისა და ფუნქციონირების ფიზიკურ, მატერიალურ საყრდენს წარმოადგენს არანიშ-

ნობრივ ელემენტთა — ბგერათა კომპლექსი, რომელიც ხაზობრივ ხასიათს ატარებს და მუდამ დროშია მოცემული. თავის მხრივ, ენობრივი ნიშნის მატერიალურ-ბგერითი ასპექტი უპირისპირდება მის სემანტიკურ ასპექტს როგორც გამოხატულების პლანი შინაარსის პლანს, რომელიც არ არის ხაზობრივი და ტემპორალური. ენობრივი ნიშნის არსებობისა და ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი კავშირი სხვა ნიშანთან ან ნიშნებთან. შეუძლებელია არსებობდეს ნიშანი, რომელიც არ შედის ნიშანთა სისტემაში.

**ნიშანს აქვს ორი მხარე:** აღმნიშვნელი და აღსანიშნი. აღმნიშვნელი არის ენობრივი ნიშნის მატერიალური მხარე, ფორმა, რომელიც ბგერითი კომპლექსით არის წარმოადგენილი; ხოლო ის, რასაც იგი აღნიშნავს — საგნის, თვისებისა თუ მოვლენის ამსახველი ცნება — არის აღსანიშნი. კავშირი ნიშნის ამ ორ მხარეს შორის მყარდება გარკვეული მიმართებების საფუძველზე და ეს მიმართებები ქმნიან ნიშნის მნიშვნელობას.

ენა არის პირობით ნიშანთა სისტემა, რაც იმას გულისხმობს, რომ კავშირი აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის პირობითია. ეს იმას ნიშნავს, რომ აღმნიშვნელის ბგერითი ფორმა არ განისაზღვრება იმ საგნისა თუ მოვლენის ბუნებით, რომელზედაც იგი მიუთითებს. ამით აიხსნება ის, რომ ერთი და იგივე საგნები თუ მოვლენები სხვადასხვა ენაში ერთმანეთისგან განსხვავებული ბგერითი ფორმის მქონე სიტყვებით აღინიშნება. მაგალითად: ქართულში “გოგონა”, რუსულში «девочка», ინგლისურში “girl” და ა.შ. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ ენაში არსებობს ე.წ. ხმაბაძვითი ანუ ონომატოპოეტური სიტყვები, რომლებიც ნაწილობრივ ასახავს მათ მიერ აღნიშნული საგნისა თუ მოვლენის ფიზიკურ ბუნებას, თუმცა ისინიც განსხვავდება ენების მიხედვით. მაგალითად, ძაღლის ყეფას ინგლისელი ბაძავს bow-wow ფორმით, გერმანელი — wau-wau, ფრანგი — gnaf-gnaf, რუსი — ay-ay ფორმით და ა.შ.

მაგრამ, ეს სიტყვები ენაში მხოლოდ მცირერიცხოვან ჯგუფს ქმნის და არ ასახავს ენობრივ ნიშანთა მთლიან სისტემას, რომელიც ძირითადად პირობითი ნიშნებისგან შედგება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ენობრივი ნიშანი შეიძლება განისაზღვროს როგორც ბგერათა თანმიმდევრობით შექმნილი ფორმა, რომელიც არბიტრალურად, ანუ შეთანხმების საფუძველზე მიათითებს (აღნიშნავს) ექსტრალინგვისტურ ობიექტზე, იქნება ეს საგანი, მისი თვისება, მოვლენა თუ სიტუაცია.

ბგერით კომპლექსსა და არბიტრალურად მითითებულ ობიექტს შორის აუცილებელი არ არის სიმეტრიული ურთიერთობის არსებობა, რამდენადაც ერთი ბგერითი კომპლექსი შეიძლება აღნიშნავდეს ერთზე მეტ ობიექტს ან ფენომენს. ამაში მდგომარეობს ენობრივი ნიშნის ასიმეტრიულობა, რაც დაკავშირებულია მის ე.წ. სინკრეტიზმთან — ერთზე მეტი ობიექტის თუ ფენომენის მითითების უნართან. მაგალითად, ინგლისურ ენაში ბგერითი კომპლექსი chair ქმნის ნიშანს, რომლის აღმნიშვნელსაც სხვადასხვა ნიშნობრივ გარემოცვაში (კონტექსტში) შეესაბამება ისეთი აღსანიშნები, როგორიც არის სკამის, კათედრის (მაგ. the English Language Chair) და ა.შ. ამსახველი ცნებები.

სხვადასხვა ენაში ნიშნები განსხვავებულ მიმართებებს ამყარებენ ერთმანეთთან ანუ განსხვავდებიან თავისი ღირებულებით. მაგალითად, ქართულ სიტყვას “თავი” ინგლისურში შეეფარდება “head”, რუსულში კი — «голова». ამ ნიშანთა აღმნიშვნელებიც და აღსანიშნებიც განსხვავდება ერთმანეთისგან. გამოთქმაში “თავი მოიკლა” სიტყვის “თავი” აღსანიშნი არ ემთხვევა მის შესაბამის სიტყვათა აღსანიშნს არც ინგლისურ (“killed himself”) და არც რუსულ ენაში (“покончил с собой”), რაც თითოეული ენის ეთნოკულტურული ფაქტორებით არის განპირობებული.

ლინგვისტიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ცნობილი იყო ენობრივი ნიშნის სამი ძირითადი ტიპი ანუ მისი სამი ძირითადი მოდელი:

1. ენობრივი ნიშნის სოსიურისეული ორპლანიანი მოდელი;
2. ენობრივი ნიშნის სამკუთხედოვანი მოდელი;
3. ენობრივი ნიშნის პირს-მორისისეული სამგანზომილებიანი მოდელი.

1. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე ლინგვისტიკის ფუძემდებელია შვეიცარიელი ენათმეცნიერი ფერდინანდ დე სოსიური, რომელმაც პირველმა მოგვცა ენის როგორც ნიშანთა სისტემის განსაზღვრა და ხაზი გაუსვა ენობრივი ნიშნის არბიტრარულობას. სოსიურმა შემოიტანა არა მარტო ნიშნის ცნება, არამედ მისი პირველი მოდელიც. სოსიური ენობრივ ნიშანს განიხილავდა როგორც ორპლანიან ერთეულს. სოსიურის ტერმინოლოგიით, მათგან ერთი წარმოადგენს ბგერით ასპექტს ანუ “აკუსტიკურ ხატს”, რომელსაც იგი აღმნიშვნელს უწოდებს; ხოლო მეორე კი წარმოადგენს “ასოციაციურ ხატს”, აღსანიშნს ანუ ცნებას (კონცეპტს). სოსიურის მიხედვით, ენობრივი ნიშნის ორივე ეს ასპექტი ერთმანეთისგან განუყოფელია და ორივე ადამიანის ფსიქიკის სფეროს განეკუთვნება.

ენობრივი ნიშნის სოსიურისეულ ორპლანიან მოდელს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, რადგან ყოველი შემდგომი მოდელი მას ეფუძნება და მისი სტრუქტურის გაშლასა და დახვენას წარმოადგენს. ნიშნის სოსიურისეულ მოდელს თან ახლდა კვლევის სპეციფიური მეთოდოლოგიაც, რომელიც ლინგვისტურ იმანენტისმს ეფუძნებოდა. იმანენტური მიდგომა — ეს ისეთი მიდგომაა, როდესაც კვლევა არ სცილდება საგნის ფარგლებს. ლინგვისტიკის განვითარების შემდგომი ეტაპი სწორედ იმანენტისმის გადალახვაში მდგომარეობდა.



ლინგვისტური აზროვნების ევოლუციის პარალელურად, კვლევის მეთოდოლოგია თანდათანობით უკავშირდება თავის საგანს: ერთი მხრივ, ენას, როგორც ნიშანთა სისტემას, და მეორე მხრივ, იმ ობიექტურ სინამდვილეს, რომლის წიაღშიც ის არსებობს და ფუნქციონირებს. ეს სინამდვილე ენასთან მიმართებაში ძირითადად არსებობს ორი ასპექტით და ორივე ეს ასპექტი დაკავშირებულია ენის ორ ძირითად ფუნქციასთან — ნომინაციურ და კომუნიკაციურ ფუნქციასთან.

შესაბამისად, ლინგვისტური იმანენტიზმის გადალახვა ხდებოდა ორი მიმართულებით:

- ა) იმ ობიექტურად არსებული სინამდვილის გათვალისწინებით, რომელსაც აღნიშნავს ენა როგორც სემიოტიკური სისტემა;
- ბ) სინამდვილის იმ სპეციფიური მონაკვეთის გათვალისწინებით, რომელშიც რეალიზებას ჰპოვებს ენის კომუნიკაციური ფუნქცია და რომელსაც საკომუნიკაციო აქტი ეწოდება.

2. მეორე მოდელი, რომელიც ცნობილია ენობრივი ნიშნის “სამკუთხედოვანი მოდელის” სახელით, სწორედ იმანენტიზმის გადალახვის ტენდენციამ წარმოშვა. ამ მოდელს თან ახლდა მეთოდოლოგიური ხასიათის ცვლილებაც, რაც მდგომარეობდა ნიშნის ცნების დეფსიქოლოგიზაციასა და მისთვის ლოგიკური ბუნების მინიჭებაში.

ენობრივი ნიშნის მეორე მოდელის არსი მდგომარეობდა მისი შინაარსობრივი პლანის დიქოტომიზაციაში. შესაბამისად, სოსიურისეული აღსანიშნი შინაგანად გაიყო ორ ასპექტად, რის შედეგადაც ლინგვისტურ ლიტერატურაში შემოტანილ იქნა ორი ცნება: სიგნიფიკატი და დენოტატი:

- ა. სიგნიფიკატი — ეს არის კონცეპტი, ცნება იმ საგნისა თუ მოვლენისა, რომელზეც მიუთითებს (აღნიშნავს) ბგერათა კომპლექსი (აღმნიშვნელი).

მაგალითად სიტყვა-ნიშნის “მაგიდა” სიგნიფიკატი ანუ ცნება არსებობს მხოლოდ ცნობიერებაში, ამდენად იგი თავისი ბუნებით აბსტრაქტულია და ფსიქიკის სფეროს განეკუთვნება. სიგნიფიკატი, თავის მხრივ, უპირისპირდება დენოტატს.

- ბ. დენოტატი არის — ენის დონეზე — ვირტუალური ნიშნით აღნიშნული გარეენობრივი რეალობის საგანთა თუ მოვლენათა ზოგადი ხატი, სტერეოტიპი, რომელიც მოცემული ენობრივი ერთეულის კონცეპტს შეესაბამება. მეტყველების დონეზე კი, დენოტატის ნაცვლად გამოიყენება ტერმინი “რეფერენტი”, რომელიც ენობრივი ნიშნით მითითებულ კონკრეტულ ექსტრალინგვისტურ საგანსა თუ მოვლენას ნარმოადგენს.

იმანენტიზმის გადალახვა მდგომარეობს იმაში, რომ აღსანიშნი დაუკავშირდა არა მარტო ფსიქიკას (სიგნიფიკატს, ცნებას), არამედ სინამდვილესაც (დენოტატს და რეფერენტს), რომელიც ამ ფსიქიკურ ნარმოდგენას შეესაბამება. “აღსანიშნთა” ერთობლიობა ქმნის ენის შინაარსის პლანს, ხოლო “აღნიშვნელთა” ერთობლიობა — ენის გამოხატულების პლანს.

აღსანიშნის ორად გაყოფის შედეგად გაჩნდა ნიშნის სამკუთხედოვანი მოდელი, რომლის საშუალებითაც ნიშანი დაუკავშირდა სინამდვილეს მის მთლიანურ (ჰოლისტურ) განზომილებაში.

3. ნიშნის მესამე მოდელი, რომელიც საფუძვლად უდევს დღევანდელ კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, ნარმოშობილია იმანენტიზმის გადალახვის მეორე მიმართულებით, რომლისთვისაც მთავარი და გადამწყვეტი იყო ნიშნის დაკავშირება კომუნიკაციურ აქტთან. ეს მოდელი ფილოსოფიური, უფრო ზუსტად კი, პრაგმატიკული ნარმოშობისაა და მას საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ჩარლზ პირსმა (Charles Sanders Peirse) XIX საუკუნის ბოლოს.

## ლექცია 12

### ჩარლზ პირსი და ჩარლზ მორისი, როგორც ენობრივი სისტემის სამგანზომილებიანი სემიოტიკური მოდელის ფუძემდებლები

ჩარლზ პირსი (1839 - 1914)<sup>1</sup> მიჩნეულია მსოფლიო დონის მეცნიერად. იგი არის ფილოსოფიური პრაგმატიზმის, მათემატიკური ანუ სიმბოლური ლოგიკის და თანამედროვე სემიოტიკის, როგორც ნიშნის ზოგადი თეორიის, ფუძემდებელი. ჩარლზ პირსი, ცნობილი ამერიკელი მათემატიკოსის ბენჯამინ პირსის ვაჟი, განათლებით იყო ცოცხალი სამყაროს სპეციალისტი, მათემატიკოსი და ფილოსოფოსი. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მან შეიმუშავა თანამედროვე სემიოტიკის ფილოსოფიურ საფუძველი, რომელიც ნიშნის სამგანზომილებიან (ტრიადულ) მოდელს ემყარებოდა, რის შესაბამისადაც ნიშანი განიხილებოდა კოგნიტურ და ინტერპრეტატულ-პრაგმატიკულ ქრილში.

ჩარლზ პირსმა გამოყო ნიშანთა სამი ტიპი, რომლითაც დღესაც სარგებლობს თანამედროვე სემიოტიკური თეორია. ეს არის: “ხატი” (“icon”), “ინდექსი” (“index”) და “სიმბოლო” (“symbol”).

1. ხატი არის ისეთი ნიშანი, რომლის აღმნიშვნელიც აღსანიშნის მსგავსია. მაგალითად, მოცემული კლასიფიკაციის მიხედვით, ბურთის ნახატი როგორც ნიშანი, როგორც სემიოტიკური ერთეული, წარმოადგენს ხატს. ყოველგვარი ჩანახატი თუ სახვითი ხელოვნების ნიმუშები, როგორც ნიშნები, სემიოტიკური თვალსაზრისით წარმოადგენს ხატს.

---

1 ჩარლზ პირსის შრომების გაცნობა ინგლისურ ენაზე შესაძლებელია მისდამი მიძღვნილ საიტზე: [http://www.Charles Sanders Peirce](http://www.CharlesSandersPeirce).

2. ინდექსი ისეთი ნიშანია, რომლის აღმნიშვნელიც აღსანიშნს უკავშირდება *მიზეზ-შედეგობრივი კავშირით*. მაგალითად, კვამლი წარმოადგენს ცეცხლის ინდექს-ნიშანს.
3. **სიმბოლო** კი ისეთი ნიშანია, რომლის აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის კავშირი პირობითია და არა მოტივირებული, რის გამოც იგი ხორციელდება გარკვეული კონვენციონალიზმით ანუ წესისა და ტრადიციის ძალით. შესაბამისად, ბუნებრივ ენებში ბგერითი ნიშნებიც სიმბოლოებს წარმოადგენს იმ აზრით, რომ მათ ბგერით შედგენილობაში (გარდა მცირერიცხოვანი ხმაბაძვითი, ონომატოპოეტური სიტყვებისა) არ აისახება დენოტატი. მაგალითად, ინგლისური სიტყვის *table* ბგერითი შედგენილობა აღსანიშნი ობიექტის ანუ დენოტატის ბუნებით კი არ განისაზღვრება, არამედ არბიტრარულ (პირობით), კონვენციონალურ და ამდენად არამოტივირებულ კავშირს ეფუძნება. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თითოეული აღსანიშნი შეიძლება გამოხატულ იქნეს ნებისმიერი ისეთი ბგერითი თანმიმდევრობით, რომელიც დასაშვებია მოცემულ ენაში.

ჩარლზ პირსი მის მიერ შექმნილ ნიშანთა თეორიას, რომელსაც იგი "semeiotic" (ბერძნ. "seme" მნიშვნელობის მქონე უმცირესი ელემენტი) უწოდებდა ნაცვლად თანამედროვე ტერმინისა "semiotics", ზოგადლოგიკურ თეორიად მიიჩნევდა, ხოლო ენას კი მის შემადგენელ ნაწილად განიხილავდა.

პირსის თეორიაში ნიშანი სამგანზომილებაში განიხილება და ამ განზომილებებს იგი რიგობითობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელებით მოიხსენიებდა — Firstness, Secondness, Thirdness, რაც, ალბათ, მისი როგორც მათემატიკოსის

შინაგანი განწყობით აიხსნება. მე-20 საუკუნის დასაწყისში, პირსმა პირველად დაიწყო ამ განზომილებების ფორმულირება ნაცვალსახელების გამოყენებით:

1. I (Firstness) ანუ ის, ვინც რამეს აღნიშნავს — მამ (პირველობა);
2. THOU (Secondness) ანუ ის, ვისთვისაც ეს აღნიშვნა არის გამიზნული — შან (მეორეობა);
3. IT (Thirdness) ანუ ის, რაც აღინიშნება — ის (მესამეობა).

პირსის სემიოტიკურ კონცეფციაში, ენა განიხილებოდა არა მარტო როგორც გარესამყაროს საგნების და მოვლენების კონვენციონალური აღნიშვნის საშუალება, არამედ როგორც ადამიანური ქმედების სპეციფიური — სამეტყველო-კოგნიტური ტიპი, რომელიც საკუთარი (ე.ი. შიდაენობრივი) ნორმატიული კანონზომიერებით და ცოცხალი საკომუნიკაციო აქტის რეალური გამოცდილებით რეგულირდება.

პირსის მიერ შემუშავებული ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი თავისი არსით ფილოსოფიურ-პრაგმატიკული იყო. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში პირსის მიმდევარმა, მეორე ამერიკელმა მეცნიერმა ჩარლზ მორისმა (1901 - 1979) ეს მოდელი გადმოიტანა ლინგვისტიკაში და 1938 წელს, თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში “Foundations of the Theory of Signs” შემოგვთავაზა ენობრივი ნიშნის სრულიად ახალი მოდელი, რომელსაც იგი განიხილავდა კომპლექსურად სამ განზომილებაში — სინტაქტიკა, სემანტიკასა და პრაგმატიკაში.

თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში ეს მოდელი ცნობილია პირს-მორისისეული სამგანზომილებიანი მოდელის სახელით და მას ეფუძნება დღევანდელი კომუნიკაციური ლინგვისტიკა.

რაში მდგომარეობს ამ მოდელის არსი? სამგანზომილე-

ბიანი სემიოტიკური მოდელის მიხედვით, ყოველი ენობრივი ნიშანი ხასიათდება მიმართებათა სამი კოორდინატით ანუ განზომილებით:

1. პირველი კოორდინატი მოთავსებულია ექსტრალინგვისტურ ანუ გარეენობრივ სინამდვილეში, რამდენადაც ნებისმიერი ნიშანი აღნიშნავს გარე სინამდვილის რაიმე ობიექტს ან ფენომენს, ანუ დენოტატს (კონკრეტულ შემთხვევაში — რეფერენტს). მიმართებას ნიშანსა და აღსანიშნს შორის სემიოტიკურ მოდელში ენოდება ნიშნის სემანტიკა ანუ სემანტიკური განზომილება.
2. მეორე კოორდინატი მდებარეობს იმ სისტემაში, რომელშიც შედის ნიშანი. ნიშნის მიმართებას სისტემაში შემაჯალ სხვა ნიშნებთან სინტაქტიკა ან ნიშნის სინტაქტიკური განზომილება ენოდება.
3. მესამე კოორდინატი ის კოორდინატია, რომელმაც განაპირობა ნიშნის ამ მოდელის ის ფუნდამენტალური მნიშვნელობა ლინგვისტური აზროვნებისათვის, რომელიც მას დღეისათვის აქვს. იგი ლოკალიზებულია იმ სუბიექტში, რომელიც იყენებს ნიშანს. მიმართებას ენობრივ ნიშანსა და იმ სუბიექტს შორის, რომელის მას გამოიყენებს, პრაგმატიკა ანუ პრაგმატიკული განზომილება ენოდება.

პრაგმატიკის ჩართვამ ენობრივი ნიშნის მოდელში ამოავსო ის სიცარიელე, რომელიც ნიშნის სამკუთხედოვან მოდელს ახასიათებდა და რის გამოც ეს მოდელი გამორიცხავდა ნიშნის მნიშვნელობის კონოტაციურ კომპონენტს, რომელიც ასახავს მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულებას აღსანიშნი საგნის მიმართ. ეს არის მნიშვნელობის ისეთი კომპონენტები, როგორიც არის: *ემოციურობა, ექსპრესიულობა* და

შეფასება. მაგრამ პრაგმატიკა სრულიადაც არ გულისხმობს, რომ მისი როლი ენობრივი ნიშნის სტრუქტურირებაში მარტო ამ სამი სუბიექტური კომპონენტით უნდა განისაზღვრებოდეს. პირველ რიგში, პრაგმატიკა გულისხმობს ხაზგასმას ენის კომუნიკაციურ ფუნქციაზე ანუ იმაზე თუ სად, როდის, ვის მიერ, ვისთვის და რა მიზნით ხდება რაიმეს აღნიშვნა.

ამრიგად, ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი უკავშირდება როგორც გარეენობრივ სინამდვილეს, რომლის ფაქტებსაც ის აღნიშნავს, ასევე საკომუნიკაციო აქტს და იმ სინამდვილეს, რომელშიც ენობრივი ნიშნები გამოიყენება სუბიექტის მიერ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოხდა, ერთი მხრივ, ენობრივი ნიშნის ნომინაციური და კომუნიკაციური ფუნქციების გამიჯვნა, რომლებსაც ის ახორციელებს სხვა ნიშნებთან ურთიერთქმედებაში ანუ სინტაქტიკაში; მეორე მხრივ კი, მოხდა ხსენებული ფუნქციების სინთეზირება, რაც განპირობებულია სამეტყველო-აზრობრივი პროცესის ორი მხარის — კოგნიტიურისა და სოციალურის ურთიერთ-მიმართებით.

## სტრუქტურალიზმის მიმართულებისათვის საერთოა შემდეგი პოსტულატების აღიარება:

1. ენა ნიშნების ანუ სემიოტიკური სისტემაა. ენის სტრუქტურულობა, მისი დონეებრივი ორგანიზება განიხილება როგორც მისი არსებითი ნიშან-თვისება. ამავდროულად, ერთი და იმავე ფუნქციური წარმონაქმნის ერთეულთა შინაგანი მიმართებანი და აბსტრაქციის დონეთა იერარქია უფრო მნიშვნელოვან მომენტად არის აღიარებული, ვიდრე ამავ ერთეულთა კავშირები სტრუქტურის მიღმა არსებულ სინამდვილესთან, რომლებიც მხოლოდ ენის მოქმედებისას ვლინდება ტექსტსა თუ სამეტყველო სიტუაციაში.

2. სტრუქტურალისტურ მიმართულებაში მეორე საერთო პოსტულატია პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებების, როგორც ენის სტრუქტურულ ერთეულთა არსებობის ფორმების, აღიარება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სტრუქტურალისტები ენის ძირითად ერთეულებად მიიჩნევდნენ ფონემებსა და მორფემებს, რადგანაც, მათი აზრით, სწორედ ისინი ქმნიან ბაზას სიტყვებისა და კონსტრუქციების წარმოსაქმნელად.

3. სტრუქტურალიზმის მესამე საერთო ნიშანს წარმოადგენს ის, რომ, ენის დიაქრონული განვითარების შესწავლასთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება მის სინქრონულ აღწერას (მაგალითად, "პრალის ლინგვისტური წრის" თეზისებში ნათქვამია, რომ "ენის არსის და ხასიათის შესწავლისათვის საუკეთესო საშუალებაა თანამედროვე ფაქტების სინქრონული ანალიზი").

4. სტრუქტურალისტურ მიმართულებაში უპირველესი ადგილი უკავია კვლევის ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომელიც ავინროვებს ენობრივი ერთეულებისა და კატეგორიების შესწავლას. სტრუქტურალიზმის სკოლების მეთოდოლოგიური ერთიანობა ვლინდება:



## ლექცია 13

### კოგნიტური ლინგვისტიკა და რეფერენციის თეორია

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელის შექმნის შედეგად, გადალახულ იქნა ლინგვისტური იმანენტიზმი, რამდენადაც სიტყვა, ისევე როგორც სხვა ენობრივი დონის ერთეულები, დაუკავშირდა, ერთი მხრივ, გარეენობრივ სინამდვილეს, რომლის ფაქტებსაც ის აღნიშნავს; მეორე მხრივ კი — საკომუნიკაციო აქტს და იმ სინამდვილეს, რომელშიც ენობრივი ნიშნები გამოიყენება სუბიექტის მიერ.

თავის მხრივ, ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი ეფუძნება ნიშნის სამკუთხედოვან მოდელს, რომელმაც დასაბამი მისცა ლოგიკური სემანტიკის დიფერენცირებას მნიშვნელობის თეორიად და რეფერენციის თეორიად. სიტყვის სემანტიკური ასპექტის დიქტომიზაციის ლოგიკურ-ფილოსოფიური და კოგნიტური ასპექტი ყველაზე თვალსაჩინოდ და სრულად არის მოცემული ცნობილი ამერიკელი მეცნიერის უილარდ ვენ ორმან ქუაინის (Willard Van Orman Quine, 1908 -- 2000) შრომებში.

უილარდ ქუაინი ცნობილი იყო როგორც მათემატიკოსი, ლინგვისტური ფილოსოფიის და ლოგიკის სპეციალისტი. მთელი მისი სასწავლო-სამეცნიერო მოღვაწეობა დაკავშირებული იყო ჰარვარდის უნივერსიტეტთან, სადაც მან გაიცნო ასევე ცნობილი მეცნიერები ენის ფილოსოფიის საკითხებში კარნაპი და რასელი. ესენი იყვნენ ის მეცნიერები, რომლებმაც ქუაინთან ერთად საფუძველი ჩაუყარეს და განავითარეს კოგნიტური ლინგვისტიკა და რეფერენციის თეორია. ენობრივი ნიშნის ქუაინისეული ლოგიკურ-ფილოსოფიური კონცეფცია ჩამოყალიბებულია მის გამოკვლევებში "From a Logical Point

of View”<sup>1</sup>, “Word and object”<sup>2</sup>, რომლებიც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს ლინგვისტთა, ენის ფილოსოფიის და ლოგიკის სპეციალისტთა ფართო წრეებში.

ქუაინის მიხედვით, სიტყვის მნიშვნელობა არის ის ცნება, კონცეპტი, რომელიც კონვენციონალურად არის დაფიქსირებული მოცემული ბგერითი კომპლექსის მიღმა ამ ენის მატარებელთა ცნობიერებაში.

რეფერენცია კი არის მეტყველებაში აქტუალიზებული ენობრივი ნიშნების შეპირისპირება რეალური თუ ჰიპოთეტური სამყაროს ობიექტებთან (საგნობრივთან თუ არასაგნობრივთან), რის შედეგედაც ისინი განხილვის ზონაში ექცევა.

რეფერენციის პროცესი მთლიანად არის დამოკიდებული მეტყველი სუბიექტის კოგნიტურ აქტივობაზე ანუ იმაზე, თუ როგორ ხდება ამა თუ იმ ექსტრალინგვისტური ობიექტის სახელდების დროს მისი შემეცნება: მისთვის ობიექტურად დამახასიათებელი ონტოლოგიური (ე.ი. ბუნებრივი) მონაცემების საფუძველზე თუ სუბიექტური აღქმის შედეგად მისთვის რაიმე თვისობრიობის მინერის ან განზოგადების გზით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეფერირებული ობიექტის ნომინაციაში ასახვას ჰპოვებს ფიზიკურად არსებული საგნობრივი სამყაროს შემეცნების ლოგიკა.

რა იგულისხმება ამ ნათქვამში? შემეცნების აქტი ფაქტიურად იწყება აღქმის ობიექტთა შეპირისპირებით და იმ ნიშანთვისებათა გამოყოფით, რომელთა მიხედვითაც ხდება მათი დიფერენცირება ცალკეულ კლასებად. მოძღვრებას კლასების შესახებ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლოგიკაში. კლასი — ეს არის ცნება იმ საგანთა ერთობლიობის შესახებ, რომელთაც საერთო ნიშან-თვისებები გააჩნიათ. თითოეული კლა-

1 Quine, W. O., From a logical point of view. Cambridge (Mass.): Harvard University Press, 1953.

2 Quine, W.O., Word and object. New York - Boston, 1960.

სის შიგნით ცალკეული საგანი გვევლინება მის შემადგენელ ელემენტად. კლასის ცნება თავის მხრივ წარმოადგენს ბაზისს ცალკეული სახეობის ცნების ფორმირებისათვის.

ადამიანების ცნობიერებაში კლასები ყალიბდება ორი სახით:

1. დიფერენცირების გზით ანუ ერთობლიობის დაყოფით საერთო ნიშნის მქონე ცალკეულ ელემენტებად;
2. ინტეგრირების გზით – საერთო ნიშნების მქონე საგანთა გაერთიანებით ერთ კლასად.

ლინგვოფილოსოფიურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ კლასის ცნება ჩამოყალიბებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, თუ მას გააჩნია სათანადო ენობრივი გაფორმება. რამდენადაც ერთი და იგივე ექსტრალინგვისტური საგანი რამდენიმე ნიშან-თვისებით ხასიათდება, იმდენად ეს საგანი შეიძლება ერთდროულად მივაკუთვნოთ სხვადასხვა ლოგიკურ კლასს. ამასთან დაკავშირებით აუცილებელი ხდება განისაზღვროს, თუ რა ნიშან-თვისებათა საფუძველზე ხდება კლასების გამოყოფა და საგანთა კლასიფიკაცია.

ლოგიკაში<sup>1</sup> განასხვავებენ ექსტრალინგვისტურ საგანთა ორი ტიპის კლასს:

1. ბუნებრივს ანუ ონტოლოგიურს, რომელიც არსებითი ნიშან-თვისებების საფუძველზე გამოიყვანება;
2. ნომინალურს ანუ პრაგმატიკულს, რომელთა არსებობაც სუბიექტურ ფაქტორზეა დამოკიდებული, რადგანაც ისინი განპირობებულია გარკვეული სახის კავშირებითა და ურთიერთმიმართებებით და მათზე ყურადღების გამახვილება დამოკიდებულია სუბიექტის აღქმის ორიენტაციაზე.

1 Н. И. Кондаков, Логический словарь, М.: «Наука», 1971, с. 339.

კლასთა ასეთი დიფერენცირება ფიზიკური საგნობრივი სამყაროს და შემეცნების ლოგიკით განპირობებულ ბინარულ ცნებით ოპოზიციას ქმნის, რომელშიც პირველი ტიპის, ე.ი. ონტოლოგიური ხასიათის ცნებები რეალურად არსებულ საგნებსა და მოვლენებს ასახავს, მაშინ როდესაც მეორე ტიპის, ე.ი. ნომინალური ცნებები, ამავე სამყაროს გადააზრებულად, თვისობრიობის სულ ახალი კუთხით წარმოაჩენს.

ბუნებრივი ანუ ონტოლოგიური კლასები ტაქსონომიურია თავისი არსით და ისინი ფიზიკური სამყაროს მოდელის ანარეკლს, ე.ი. მის ენისმიერ ხატს ქმნის. ონტოლოგიურისაგან განსხვავებით, ნომინალური ანუ პრაგმატიკული კლასები ეფემერულია (გარდამავალი), რადგანაც ისინი კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე გარკვეული სიტუაციისათვის იქმნება და როგორც კი ეს სიტუაცია წარსულის საკუთრება ხდება, მათი არსებობაც წყდება. ყოველივე ეს კი რეალიზებას ჰპოვებს არსებით სახელთა რეფერენტულ ტიპოლოგიაში და მის მეთოდოლოგიაში<sup>1</sup>.

სამყარო უპირველესად აღიქმება როგორც ფიზიკურ საგანთა ერთობლიობა, რაც თავის ასახვას ჰპოვებს მის კონცეპტუალურ ხატში, კერძოდ, ონტოლოგიური კლასების ცნებაში, რომელიც ვერბალურად არის განივთებული ტაქსონომიურ სახელებში. ამ სახელთა ცნებითი შინაარსის განზოგადების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ტაქსონომიურია სახელი, რომელიც ამა თუ იმ ონტოლოგიური კლასის წარმომადგენლის სახელდებას ახდენს მისთვის ობიექტურად დამახასიათებელი არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.

---

<sup>1</sup> ნ. კირვალიძე, ნომინაციის კოგნიტური ასპექტი და არსებით სახელთა ტიპოლოგიის პრობლემა თანამედროვე ინგლისურ ენაში. // "საენათმეცნიერო ძიებანი", ტ. XXV, 2007. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალი. თბილისი, 2007, გვ. 97-110.

ეს სახელები ჩვეულებრივად იღებენ ტერმინოლოგიურ-მეცნიერულ განმარტებებს, სადაც მითითებულია მათ მიერ აღნიშნული ექსტრალინგვისტური საგნის ყველა ის არსებითი, იმანენტური ნიშან-თვისება, რომლებიც მგრძნობელობით აღქმას ექვემდებარება და რომელთა ერთობლიობაც მოცემული სახელის ცნებით შინაარსს ქმნის. მაგალითისათვის ავიღოთ ტაქსონომიური სახელის „ადამიანი“ განმარტება The Concise Oxford Dictionary of Current English (1984) ლექსიკონის მიხედვით:

**human** — n. of or belonging to the genus Homo, distinguished from animals by superior mental development, power of articulate speech and upright posture.

მოცემული ტაქსონომიური სახელის განმარტება ნამდვილად ტერმინოლოგიურ-მეცნიერულია, რადგანაც მასში ექსპლიცირებულია ყველა ის ზოგადკატეგორიალური ნიშან-თვისება, რომლითაც ადამიანი განსხვავდება სხვა სახის ცოცხალი არსებებისაგან. ეს თვისებებია: აზროვნება, დანაწევრებული მეტყველება და სხეულის ვერტიკალური მდგომარეობა, რომელთა წყალობითაც ადამიანს შეუძლია განახორციელოს შრომითი, შემეცნებითი, ინტელექტუალური, სამეცყველო და ა.შ. სახის აქტივობა და რომელთა ერთობლიობაც სიტყვა „ადამიანის“ ცნებით შინაარსს ქმნის.

ენობრივი მასალის განზოგადების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ტაქსონომიური სახელები საგნობრივ-ლოგიკურ დიფერენცირებას ექვემდებარება და ამ პროცესს საფუძვლად უდევს ველის პრინციპის გამოყენება, რომელიც ჰიპერო-ჰიპონიმური სტრუქტურაციით ანუ იერარქიულობით ხასიათდება. თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში „ველი“ ზოგადად განიხილება როგორც ლექსიკურ ერთეულთა

ისეთი ერთობლიობა, რომელიც დაფუძნებულია ერთი საერთო ცნების გადმოცემაზე<sup>1</sup>. ველის იერარქიულობა მდგომარეობს სემანტიკური ჩართვის პრინციპში და იგი რეალიზდება გვარობრივ-სახეობით, ე.ი. ჰიპერო-ჰიპონიმურ ურთიერთობებზე დაყრდნობით. ჰიპერონიმებად გვევლინება ყველა ის სახელი, რომელთაც ფართო სემანტიკური ტევადობის წყალობით იდენტიფიკაციის და ინტეგრაციის უნივერსალური თვისებები გააჩნიათ. თითოეული ჰიპერონიმული სახელი სისტემის მაორგანიზებელ ბირთვად გვევლინება, რადგანაც იგი თავის ირგვლივ აერთიანებს შედარებით კონკრეტული მნიშვნელობის მქონე ჰიპონიმურ სახელებს, რომელთა სემანტიკურ სტრუქტურაშიც ზოგადინტეგრალურ ნიშან-თვისებებთან ერთად ფიგურირებს ის კერძო-დიფერენციალური მახასიათებლები, რომლებიც მათ ერთმანეთისგან განასხვავებს. მაგალითად, ფიზიკური სამყაროს ცნება შეიძლება პირობითად დავყოთ შემდეგ ძირითად სფეროებად: ფლორა, ფაუნა, კოსმოსი, საგნობრივი სამყარო, ადამიანი და ადამიანის მიერ შექმნილი საგნები, ე.წ. არტეფაქტები. თითოეულ ამ სფეროში უამრავი საგანია (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) გაერთიანებული.

ტაქსონომიური სახელების ლოგიკურ-სემანტიკური დიფერენცირება სრულად თითქმის შეუძლებელია, რაც ფიზიკური სამყაროს საგნობრივი მრავალფეროვნებით აიხსნება. სამაგიეროდ, სრულიად შესაძლებელია მათი ნიშნობრივი თავისებურებების დადგენა. ამ სიტყვათა სალექსიკონო დეფინიციების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ტაქსონომიური სახელების სემურ შედგენილობაში დენოტატური სემები სჭარბობს სიგნიფიკატურს, რადგანაც ისინი საგნის სახელდებას ახდენენ მისთვის ობიექტურად დამახასიათებელი იმ არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით, რომლე-

1 Лингвистический энциклопедический словарь, М.: «Наука», 1990, с. 380.

ბიც მგრძნობელობით აღქმას ექვემდებარება და რომელთა ერთობლიობაც ამ სახელთა შესაბამის საგნობრივ სფეროს ქმნის. ამავდროულად, ეს მახასიათებლები გვევლინება იმ ძირითად პარამეტრებად, რომელთა მიხედვითაც ტაქსონომიური სახელები შეიძლება გავაერთიანოთ ზემოთ აღნიშნულ ისეთ ცნებით სფეროებში, როგორიცაა: „ადამიანი“, „ფლორა“, „ფაუნა“, „კოსმოსი“, „საგნობრივი სამყარო“ და ა.შ..

ტაქსონომიურისაგან განსხვავებით, ნომინალური ანუ პრაგმატიკული სახელები ექსტრალინგვისტური საგნის სახელდებას ახდენენ არა მისთვის ობიექტურად დამახასიათებელი იმ ზოგადკატეგორიალური ნიშან-თვისებების მიხედვით, რომლითაც ერთი ონტოლოგიური კლასის საგანი მეორისაგან განსხვავდება, არამედ ამ საგნისადმი რაიმე დამატებითი თვისების მიწერის გზით. შესაბამისად, ამ სახელთა აღნიშვნის საგანს წარმოადგენს ობიექტი არა როგორც ონტოლოგიური კლასის წარმომადგენელი, არამედ როგორც ადამიანის ინტელექტუალურ-შემეცნებითი მოღვაწეობის კონსტრუქტი, რომელიც მოცემულ ონტოლოგიურ კლასს უკვე თვისობრიობის სხვა კუთხიდან წარმოაჩენს. აღქმის სუბიექტური ფაქტორიდან გამომდინარე, ნომინალურ სახელთა სემურ შედგენილობაში სიგნიფიკატური სემები სჭარბობს დენოტატურს, რის გამოც ისინი თვისობრივ ნიშნებად წარმოგვიდგება.

რამდენადაც თვისობრივად მრავალმხრივია ფიზიკურად არსებული ესა თუ ის საგანი (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით), იმდენად დიდია ნომინალურ სახელთა რიცხვი, რომელთა საშუალებითაც ამ საგნის რეფერენცია ხორციელდება რეალურ მეტყველებაში. ამის კლასიკურ მაგალითად გამოდგება, თუნდაც, ადამიანი და ის ნომინალური სახელები, რომლებიც მის თვისობრივ მრავალფეროვნებას წარმოაჩენს. ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ თანამედროვე

ინგლისური ენის სისტემაში შეიძლება გამოიყოს შვიდი დიდი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი, რომლებშიც მეტ-ნაკლები სისრულით ჰპოვებს გამოხატულებას ადამიანი მის სამ განზომილებაში, როგორც: ა) გონიერი, მოაზროვნე არსება (*homo sapiens*), ბ) მეტყველი სუბიექტი (*homo loquer*) და გ) შრომისუნარიანი, სოციალური არსება (*homo faber*)<sup>1</sup> ეს ჯგუფებია:

1. ადამიანის პროფესიულ-შრომითი მოღვაწეობის აღმნიშვნელი ნომინალური სახელები, რომლებიც ქმნიან მეცნიერების, ტექნიკის, განათლების, კულტურის, მედიცინის, მრეწველობის, ეკონომიკის, სამართალდამცავი, სამხედრო, საეკლესიო და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაკთა კლასიფიკატორულ ღია სისტემას. მაგალითად: *scientist* (მეცნიერი), *mathematician* (მათემატიკოსი), *cosmonaut* (კოსმონავტი), *doctor* (ექიმი), *pilot* (მფრინავი), *stewardess* (ბორტგამცილებელი), *general* (გენერალი), *tailor* (მკერავი), *priest* (მღვდელი), *engineer* (ინჟინერი), *teacher* (მასწავლებელი), *poet* (პოეტი), *pianist* (პიანისტი), etc.

ამ ჯგუფში შემავალ სახელთა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი მხრივ, შესაძლებელია მათი შემდგომი სუბკატეგორიზაცია დარგებისა და სპეციალობების მიხედვით; მეორე მხრივ კი, დასაშვებია მათი დიფერენცირება იმ რელაციური მიმართებების საფუძველზე, რომლებიც რეალიზებულია მათ ცნებით შინაარსში. ინგლისურ ენაში შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი სახის რელაციური მიმართება და მათი გა-

1 N. Kirvalidze, N. Inauri, Object-Logical Typology of Anthroponyms in the English Language. // Bulletin of the Georgian Academy of Sciences, Volume 155, # 2, Tbilisi, 1997, pp. 307 - 311.

იხ. ასევე: ნ. ინაური, ანთროპონიმთა სისტემა თანამედროვე ინგლისურ ენაში. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. სამეცნიერო ხელმძღვანელი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. კირვალიძე. თბილისი, 1999.



მომხატველი ნომინალური სახელები:

ა) მოღვაწეობის სახე → მოღვაწე:

to teach - teacher;

(სწავლება → მასწავლებელი);

ბ) მოღვაწეობის სფერო → მოღვაწე:

music - musician

(მუსიკა → მუსიკოსი);

გ) მოღვაწეობის ადგილი → მოღვაწე:

bank - banker

(ბანკი → ბანკირი);

დ) წარმოების იარაღი → შემსრულებელი:

violin - violinist

(ვიოლინო → მევიოლინე).

2. ნომინალური სახელები, რომლებიც ამა თუ იმ მოქმედების შემსრულებელ ადამიანს ასახელებენ. ეს არის ნომინალიზებული დერივატები, რომლებიც ზმნებისგან იწარმოება სუფიქსების -er და -or დართვით. თანამედროვე ინგლისურში ეს სუფიქსები მოქმედი სუბიექტის ანუ აგენსის ენობრივ მარკერებად გვევლინება: to drink → drinker (სმა → მსმელი), to dance → dancer (ცეკვა → მოცეკვავე), to jump → jumper (ხტომა → მხტომელი), to kill → killer (კვლა → მკვლელი) და ა.შ..

3. ნომინალური სახელები, რომლებიც ადამიანის სახელდებას ახდენენ მისი ფუნქციის მიხედვით სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში. არსებით სახელთა ეს ჯგუფი წარმოდგენილია, ძირითადად, ფუნქციონერ მოხელეთა ნუსხით — სახელმწიფოთა მონარქებითა და პრეზიდენტით დაწყებული, უბრალო მოხელით დამთავრებული. მაგალითად: monarch (მონარქი), king (მეფე), queen (დედოფალი), president (პრეზიდენტი), premier (პრემიერი), minister (მინისტრი), governor (გუბერნატორი), mayor (მერი), ambassador

(ელჩი), consul (კონსული), director (დირექტორი), manager (მენეჯერი), clerk (მოხელე) და ა.შ..

4. ადამიანის სოციალური სტატუსის აღმნიშვნელი ნომინალური სახელები, რომლებიც საზოგადოების მაღალი ფენების წარმომადგენლებს ასახელებენ ტიტულებისა და წოდებების მიხედვით, ხოლო დაბალი ფენებისას კი — მათი თვისობრიობის მიხედვით. მაგალითად: prince (პრინცი), princess (პრინცესა), aristocrat (არისტოკრატი), marquis (მარკიზი), marchioness (მარკიზა), duke (ჰერცოგი), duchess (ჰერცოგინია), peer (პერი), lord (ლორდი), count (გრაფი), baron (ბარონი), squire (ესკვირი), pensioner (პენსიონერი), worker (მუშა), beggar (მათხოვარი), tramp (მანანნალა), pauper (ლატაკი, მათხოვარი) და ა.შ..

5. ნომინალური სახელები, რომლებიც ადამიანის სახელდებას ახდენენ საცხოვრებელ ადგილთან მიმართებაში, რაც შესაბამის ასახვას ჰპოვებს მათ სტრუქტურულ აგებულებაშიც. თანამედროვე ინგლისურ ენაში მათი ორი ტიპი გვხვდება:

ა) სუფიქსაციის შედეგად წარმოქმნილი სახელები, რომლებშიც ძირეული მორფემა მიუთითებს ლოკაციაზე, სუფიქსი კი — იქ მაცხოვრებელ სუბიექტზე (citizen - ქალაქელი, villager - სოფლელი, provincial - პროვინციელი, mountainer - მთიელი, islander - კუნძულები, coaster - ზღვის ან ოკეანის სანაპიროზე მცხოვრები, Londoner - ლონდონელი და ა.შ.);

ბ) კომპოზიტები, რომლის პირველი ნაწილი კვლავ ლოკაციაზე მიათითებს, მეორე კი — იქ მაცხოვრებელ ადამიანზე. მაგალითად: townsman (ქალაქელი კაცი), townswoman (ქალაქელი ქალი), town dweller (ქალაქის მაცხოვრებელი), countryman (სოფლელი კაცი), countrywoman (სოფლელი

ქალი), uplander (მთიელი), lowlander (ბარელი) და ა.შ..

6. ნომინალური სახელები, რომლებიც ადამიანის სახელდებას მისი დანაშაულებრივი საქმიანობის მიხედვით ახორციელებენ, რის გამოც მათ სემანტიკურ სტრუქტურაში დენოტატურ და სიგნიფიკატურ სემებთან ერთად ფიგურირებს უარყოფითი შეფასების გამომხატველი კონოტაციური ნიშანთვისებებიც. ასეთი სახელებია: criminal (დამნაშავე), murderer/murderess (მკვლელი), blackmailer (შანტაჟისტი), traitor (გამცემი), spy (ჯაშუში), thief (ქურდი), robber (ყაჩაღი), pirate (მეკობრე) და სხვა.

7. თვისობრივი ნომინალური სახელები, რომლებიც ადამიანის სახელდებას ახდენენ მისი ფსიქიკური და გონებრივი მონაცემების, მორალურ-ზნეობრივი, რელიგიური თუ პოლიტიკური მრწამსის რაციონალურ-ემოციური შეფასების შედეგად. მათ რიცხვს მიეკუთვნება ისეთი სახელები, როგორცაა: genius (გენიოსი), lunatic (შეშლილი), fool (სულელი), idiot (იდიოტი), coward (მხდალი), tyrant (ტირანი), scoundrel (არამზადა), rogue (თაღლითი), drunkard (ლოთი), bluster (მკვეხარა), christian (ქრისტიანი), catholic (კათოლიკე), atheist (ათეისტი), cosmopolitan (კოსმოპოლიტი), snob (სნობი) და ა.შ..

ნომინალურ არსებით სახელთა კოგნიტურ ასპექტზე მსჯელობისას, შეიძლება ცალკე ქვეტიპად გამოვყოთ ე.წ. რელაციური სახელები, რომლებიც ექსტრალინგვისტური საგნის სახელდებას ახდენენ მისი მიმართებით სხვა რომელიმე საგნისადმი, რომელიც მოცემული სახელის დეტერმინანტად გვევლინება. მაგ.: David's wife, my neighbour, her daughter's friends, etc. რელაციურია, მაგალითად:

ა) ნათესაობის აღმნიშვნელი სახელები: wife (ცო-

ლი), husband (ქმარი), father (მამა), mother (დედა), daughter (ქალიშვილი), son (ვაჟიშვილი), brother (ძმა), sister (და), grandfather (პაპა, ბაბუა), uncle (ბიძა), aunt (დეიდა, მამიდა, ბიცოლა), cousin (ბიძაშვილი), nephew (დისწული ან ძმისწული ვაჟი), niece (დისწული ან ძმისწული ქალი), fiancée (საქმრო), fiancée (საცოლე), stepmother (დედინაცვალი), stepfather (მამინაცვალი), father-in-law (მამამთილი ან სიმამრი) და სხვა;

ბ) მეგობრული ან მტრული ურთიერთობების აღმნიშვნელი სახელები — ის. friend (მეგობარი), enemy (მტერი) და მათი სტილისტური სინონიმები: pal, chum, buddy, cron, foe და ა.შ.;

გ) მხარდაჭერის ან წინააღმდეგობის აღმნიშვნელი სახელები: supporter (მხარდამჭერი), adherent (მომხრე), ally (მოკავშირე), opponent (ოპონენტი), rival (მეტოქე), adversary (მონინააღმდეგე) და სხვა;

დ) სოციალური ურთიერთობების აღმნიშვნელი სახელები: employer (დამქირავებელი), employee (დაქირავებული), boss (უფროსი, ბოსი), subordinate (ხელქვეითი), host/hostess (მასპინძელი), guest (სტუმარი), master (ბატონი), servant (მსახური) და სხვა;

ე) პარტნიორული ურთიერთობების აღმნიშვნელი სახელები: colleague (კოლეგა), partner (პარტნიორი), comrade (ამხანაგი), companion (კომპანიონი) და ა.შ.;

ვ) სასიყვარულო ურთიერთობების აღმნიშვნელი

**სახელები:** lover (საყვარელი), sweetheart (სატრფო), admirer (თაყვანისმცემელი), wooer (მიჯნური), swain და სხვა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში არსებით სახელთა რეფერენციის კოგნიტური ასპექტურეალიზებას ჰპოვებს ექსტრალინგვისტურ საგანთა ნომინაციაში, პირველ რიგში, ტაქსონომიურ და ნომინალურ სახელთა: ოპოზიციურ პარადიგმაში, როგორც საგნობრივი სამყაროს ონტოლოგიური და პრაგმატიკული კლასების ვერბალურ გამოხატულებაში.

## ლექცია 14

### “სამეტყველო აქტების თეორია” თანამედროვე ლინგვისტიკაში

ლინგვისტური აზროვნების განვითარების თანამედროვე ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ პარადიგმაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ე.წ. “სამეტყველო აქტების თეორიამ”, რომლის ფუძემდებლებლად გვევლინებიან ინგლისელი მეცნიერი ენის ფილოსოფიასა და ლოგიკაში ჯონ ოსტინი და ლოგიკის ამერიკელი მკვლევარი ჯონ სერლი.

სიტყვათმეთანხმება “სამეტყველო აქტების თეორია” ორი მნიშვნელობით გამოიყენება. **ფართო გაგებით**, იგი გულისხმობს იმ კონცეფციას, რომელიც მიზნად ისახავს სამეტყველო ქმედების არსში წედომას და მის განზოგადებას, რის გამოც იგი გამოიყენება “სამეტყველო ქმედების თეორიის” სინონიმურად. **ვიწრო გაგებით**, “სამეტყველო აქტების თეორია” წარმოადგენს ერთი კონკრეტული თეორიის სახელწოდებას (“Theory of Speech Acts”), რომელიც ორიენტირებულია ენის კომუნიკაციური და პრაგმატიკული ასპექტების სინთეზურ კვლევაზე.

ზოგადად, “სამეტყველო აქტების თეორია”, თავისი ამოსავალი ინტერესების არსითა და მიღებული შედეგებით, წარმოადგენს ლოგიკურ-ფილოსოფიურ და ლინგვისტურ მოძღვრებას სამეტყველო ურთიერთობის ელემენტარული ერთეულის — სამეტყველო აქტის აგებულების და სპეციფიურობის შესახებ, რომლის მიხედვითაც სამეტყველო აქტი განიხილება როგორც ინტერსუბიექტური ენობრივი ქმედება, რომელიც გამონათქვამის ქმნადობისა და აღქმის ოპერაციებს აერთიანებს.

“სამეტყველო აქტების თეორიის” ძირითად კონცეფციას 1955 წელს ჩაუყარა საფუძველი ჯონ ოსტინმა ჰარვარდის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების ციკლში, რომელიც 1962 წელს გამოიცა პირველად მონოგრაფიის სახით “How to do things with words” (“როგორ ვიმოქმედოთ სიტყვებით”).<sup>1</sup> შემდეგში ამ იდეებმა განვრცობა ჰპოვა ჯონ სერლის<sup>2</sup> და სხვათა კვლევებში (სტროსონი, გიჩი, ვენდლერი, ვეუბიცკა, ფრაზერი, სადოკი, კლარკი და კარლსონი, ალენი და პერო და სხვები).

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, “სამეტყველო აქტების თეორიის” განხილვისას, გამოვყოთ ორი ძირითადი პრობლემა:

1. სამეტყველო აქტის მოდელი და მისი ქვეტიპები;
2. ე.წ. “პერფორმატივის ჰიპოთეზა”.

## 1. სამეტყველო აქტის მოდელი და მისი ქვეტიპები

ჯონ ოსტინის თეორიაში სამეტყველო აქტი განიხილება როგორც ენობრივი ქმედების მოდელი, რომელიც წარმოადგენს არა ავტონომიურ, თავისთავად არსებულ რეალობას, არამედ უფრო ფართო — ადამიანური, ინტერსუბიექტური ურთიერთობების გამოხატულების ფორმას.

სამეტყველო აქტი, როგორც ადამიანური ქმედება, შედგება სხვადასხვა ენობრივი ოპერაციებისგან ანუ ქვეაქტებისგან, რის გამოც მასში მონაწილე კომუნიკანტებს (ადრესანტს და

---

1 Austin J.L. - How to do things with words, London: “Oxford University Press”, 1962.

2 Searle J.R. - Speech acts: an essay in the philosophy of language. London: “Cambridge University Press”, 1969.

ადრესატს) ენობრივ ოპერატორებსაც უწოდებენ. სამეტყველო აქტის სტრუქტურა სამკომპონენტია და იგი შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული ქვეაქტის ანუ ენობრივი ოპერაციისგან. ესენია: ლოკუციური, ილოკუციური და პერლოკუციური აქტები.

1. ლოკუციური აქტი (locutionary act) არის პირველი ენობრივი ქმედება, რომელიც გულისხმობს აზრიანი გამონათქვამის პროდუცირებას ენობრივი საშუალებების გამოყენებით. ლოკუციური აქტი ითვალისწინებს გარკვეული რეფერენტული სიტუაციის ნომინაციას ანუ გვიჩვენებს იმას, თუ რას ვამბობთ.

2. თავის მხრივ, ლოკუციური აქტი ეფუძნება ილოკუციურ აქტს (illocutionary act), რომელიც კომუნიკაციური ინტენციის ფორმირების აქტს წარმოადგენს. ყოველი ქმედება გარკვეულ მიზანს გულისხმობს, რომელიც მეტყველი სუბიექტის ცნობიერებაში ჯერ კიდევ გამონათქვამის პროდუცირებამდე ფორმირდება (ლათინურად ტერმინი “ილოკუცია” ნიშნავს “მეტყველების გარეშე ძალას”). არ არსებობს გამონათქვამი ილოკუციური ძალის (illocutionary force) გარეშე — ნებისმიერი გამონათქვამი რაიმე კომუნიკაციური მიზნით წარმოითქმება, იქნება ეს მტკიცება, უარყოფა, ბრძანება, თხოვნა, დაპირება თუ სხვა. ილოკუცია შეიძლება მოცემული იყოს როგორც გამონათქვამის ზედაპირზე, ისე მის სიღრმეში. გამონათქვამის ილოკუციური ძალის ცნება არის კომუნიკაციური ინტენციის ცნების უშუალო დაკონკრეტება. რას ნიშნავს ტერმინები “ილოკუცია” და “ილოკუციური ძალა”, ანუ რაში მდგომარეობს მათი არსი?

ყოველი გამონათქვამი მოცემულია ან შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი რთული ქვენყობილი წინადადების სახით, რომელშიც მთავარი წინადადება ასახავს მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციურ ინტენციას (ე.ი. მიუთითებს, თუ რა



მიზნით ახდენს იგი გარკვეული რეფერენტული სიტუაციის ნომინაციას), ხოლო დამოკიდებული წინადადება კი შეიცავს თავად რეფერენტული სიტუაციის ნომინაციას. მაგალითად, გამონათქვამში “Nick knows English well.” იმპლიციტურად მოცემულია მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციური ინტენცია, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება იყოს ექსპლიციტურული რთული ქვენყობილი წინადადების სახით: “I confirm / declare that Nick knows English well.” გამონათქვამის ილოკუციური ძალა რეალიზდება სპეციალური ენობრივი საშუალებებით, რომლებსაც ინგლისელი და ამერიკელი მეცნიერები უწოდებენ **IFIDs (Illocutionary Force Indicating Devices)**.

გამონათქვამის ილოკუციური ძალის ექსპლიციტურებასთან არის დაკავშირებული ზმნის პერფორმატიული ხმარების ცნება (ინგლ. perform “რაიმე ქმედების შესრულება, განხორციელება”). მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციურ ინტენციას იმიტომ ეწოდა “ილოკუციური ძალა”, რომ იგი შეიძლება არ იყოს ექსპლიციტურად მოცემული გამონათქვამის ზედაპირულ სტრუქტურაში, თუმცა იმპლიციტურად ყოველთვის არსებობს მასში.

ზმნას, რომელიც ილოკუციური გამონათქვამის ექსპლიციტურებას ახდენს, პერფორმატივი ეწოდება. ილუსტრირების მიზნით შევადაროთ ზემოთ მოყვანილი ორი გამონათქვამი:

1. “Nick speaks English well’.
2. “I confirm / declare that Nick speaks English well.”

განსხვავება ამ ორ გამონათქვამს შორის იმაში მდგომარეობს, რომ, როდესაც ვამბობ — “Nick knows English well”, ამით ვახდენ გარკვეული ფაქტის ან სიტუაციის დასახელებას და ის, რასაც ვასახელებ, ჩემს ქმედებას არ წარმოადგენს. მაგრამ, როდესაც ვამბობ I confirm / declare that ... (“მე

ვამტკიცებ, ვაცხადებ, რომ...”), დასახელების აქტი ემთხვევა ჩემს ქმედებას, ანუ მე ამით ვახორციელებ მტკიცების ან გამოცხადების ქმედებას.

ერთი და იგივე ზმნა შეიძლება ვიხმაროთ პერფორმატიულად და არაპერფორმატიულად. მაგალითად, გამონათქვამში “I declare that what she declares is wrong” მთავარ წინადადებაში (“I declare”) ზმნა პერფორმატიულად არის ნახმარი, ხოლო დამოკიდებულ წინადადებაში (“what she declares is wrong”) კი — არაპერფორმატიულად. ზმნის პერფორმატიულად გამოყენების დროს სავალდებულოა, რომ ზმნა მოცემული იყოს პირველ პირში და ანმყო დროში, ე.ი. ავტორეფერენტულად უნდა გამოიყენებოდეს.

ლექსიკური საშუალებების გარდა, ინგლისურ ენაში გამონათქვამის ილოკუციური ძალის გამოხატვა ხდება სიტყვათა წყობით, ინტონაციით, მახვილით და სხვა.

3. თუ ილოკუციური აქტი გულისხმობს მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციურ ინტენციას, პერლოკუციური აქტი (perlocutionary act) ორიენტირებულია ადრესატზე, თუ რა შედეგი ან ეფექტი ექნება მასზე გამონათქვამს. ამით ჯონ ოსტინი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სამეტყველო აქტის ინტერსუბიექტურობას, სადაც ორივე კომუნიკანტი თანასწორუფლებიან სუბიექტებად განიხილება.

## 2. “პერფორმატივის ჰიპოთეზა” სამეტყველო აქტების თეორიაში

“პერფორმატივის ჰიპოთეზა” წარმოადგენს ჯონ ოსტინის უნიკალურ კონცეფციას იმასთან დაკავშირებით, რომ

ენას გააჩნია არა მარტო ტრადიციულად ცნობილი ფუნქციები (მაგალითად, აღნიშვნის, მტკიცების, აზრისა თუ გრძნობების გამოხატვის, კომუნიკაციის და სხვა ფუნქცია), არამედ მას აქვს ქმედების შესრულება-განხორციელების უნარიც. ეს არის პრინციპულად ახალი მიდგომა ენისა და მისი შესაძლებლობების მიმართ, რომელიც სრულიად ახალი კუთხით წარმოაჩენს მიმართებებს სამყაროს მოვლენათა შორის. ჯონ ოსტინის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩენა ემყარება ინგლისური ენის მასალას, თუმცა მრავალრიცხოვანი გამოკვლევები აჩვენებს, რომ მის მიერ დანახული ეს კანონზომიერება სხვა ენებზეც ვრცელდება.<sup>1</sup>

ჯონ ოსტინმა პერფორმატივის თეორია თავდაპირველად ჩამოაყალიბა 1955 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციების კურსში, რომელი 1962 წელს გამოქვეყნდა მონოგრაფიის სახით “How to do things with words” (“როგორ ვიმოქმედოთ სიტყვებით”).

ჯონ ოსტინი პერფორმატივის ცნებას შემდეგნაირად განმარტავს: პერფორმატიული გამონათქვამი ანუ პერფორმატივი ეწოდება გამონათქვამთა იმ ტიპს, რომლის წარმოთქმაც თავისთავად შემდგარი ქმედებაა. ეს გამონათქვამებო არაფერს არ აღწერს, არ იძლევა ინფორმაციას, არ ახდენს ფაქტთა კონსტატაციას და არ არის მცდარი ან ქეშმარიტი. საილუსტრაციოდ ჯონ ოსტინს მოჰყავს შემდეგი მაგალითები:

- I do take this woman to be my lawful, wedded wife.
- I name this ship the Queen Elizabeth.
- I give and bequeath my watch to my brother.
- I bet you six pence it will rain tomorrow.

<sup>1</sup> ქართულთან დაკავშირებით იხ.: ი. გრძელიძე, “პერფორმატივები ინგლისურ და ქართულ ენებში”, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2004.

ჯ. ოსტინი მიიჩნევს, რომ გრამატიკული მარკერების საშუალებით შესაძლებელია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ პერფორმატივი და კონსტატივი. ამ მიზნით მან შეიმუშავა პერფორმატიული გამონათქვამებისათვის დამახასიათებელ გრამატიკულ მარკერთა სია, რომელიც მოგვიანებით ჯ. ლიჩმა და ჯ. როსმა გაამდიდრეს. განვიხილოთ ეს მარკერები:

1. პერფორმატივის მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ ზმნა უნდა იყოს მოცემული პირველ პირსა და მხოლობით რიცხვში, ახლანდელ დროში, მოქმედებით გვარსა და თხრობით კილოში (რაზეც მეტყველებს ზემოთ მოყვანილი ყველა მაგალითი).
2. პერფორმატიული ზმნა ასიმეტრიულია, რაც იმას ნიშნავს, რომ პერფორმატიულ გამონათქვამში ზმნის პირისა და დროის კატეგორიების შეცვლის შედეგად ზმნა კარგავს პერფორმატიულობის ანუ მოქმედების განხორციელების უნარს. მაგალითად, გამონათქვამი "I name the ship the Queen Elizabeth" პერფორმატიულია, მაშინ როდესაც "He named the ship the Queen Elizabeth" უკვე კონსტატივია.
3. გამონათქვამში თუ ფიგურირებს ირიბი დამატება, ის უნდა იყოს მხოლოდ you. მაგალითად:  
I bet you six pence it will rain tomorrow.
4. შესაძლებელია პერფორმატიულ გამონათქვამში ჩავსვათ ზმნიზედა hereby. მაგალითად:  
I hereby give you a notice.
5. პერფორმატიული გამონათქვამი არ შეიძლება იყოს უარყოფითი.
6. პერფორმატივის განხორციელებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტონს, მახვილს, ნაწილაკებსა და მაკავშირებელ სიტყვებს.

ჯონ ოსტინი მიიჩნევს, რომ პერფორმატივის და კონსტატივის გამიჯვნისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ გრამატიკული ნიშნების და პერფორმატიული გამონათქმისათვის საჭირო პირობების დადგენა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ ლექსიკურ ერთეულთა ფუნქციურ-სემანტიკურ განზოგადებას, რომლებიც პერფორმატიული გამონათქვამების ექსპლიციურებას ახდენენ. ამ მიზნით მან შექმნა დაახლოებით ათასი ექსპლიციტური პერფორმატიული ზმნისაგან შემდგარი სია და მოახდინა მათი ხუთ კლასად დიფერენცირება გამონათქვამთა ილოკუციური ფუნქციის შესაბამისად. ესენია:

1. ვერდიქტივები — განაჩენის გამოტანისა და შეფასებითი მსჯელობის რეალიზაციის გამომხატველი ისეთი ზმნები, როგორიცაა მაგალითად: convict (დამნაშავედ მიჩნევა), acquit (უდანაშაულოდ მიჩნევა, გამართლება), analyze (ანალიზის გაკეთება) და სხვა.
2. ეგზერსტივები — ძალაუფლებისა და გავლენის გამომხატველი ზმნები. მაგალითად: declare smth. closed (რაიშის დახურულად გამოცხადება, მაგალითად, კრების), sentence (სასჯელის გამოტანა), give (მიცემა), etc.
3. კომიტივები — პასუხისმგებლობის ალების ან განზრახვის გამოცხადების გამომხატველი ზმნები. მაგალითად: promise (დაპირება), intend (განზრახვა), give my word (სიტყვის მიცემა), bet (დანადლევა) და სხვა.
4. ბიჰებიტივები — მისალმების, დამშვიდობების, მადლობის, ბოდიშის მოხდის და ა.შ. გამომხატველი ზმნები, რომლებიც ე.წ. ფატიკური კომუნიკაციის (ე.ი. თბილი, მეგობრული გარემოს შექმნის) განხორციელებას ემსახურება. ეს ზმნებია, მაგალი-

თად: excuse (ბოდიშის მოხდა), thank (მადლობის გადახდა), greet (მისალმება), etc.

5. ექსპოზიტივები — შეტყობინების გამომხატველი ზმნები. მაგალითად: deny (უარყოფა), mention (აღნიშვნა), know (ცოდნა) და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ პერფორმატიული ზმნების სიის შექმნა და მათი კლასიფიცირება ილოკუციური პარამეტრით უაღრესად საინტერესო და აუცილებელი ნაბიჯია პერფორმატივების კვლევის საქმეში. მაგრამ, ამ სიაში შეიმჩნევა მთელი რიგი უზუსტობანი. მაგალითად, ზოგი ზმნა (analyze, describe, understand) ერთდროულად მიჩნეულია როგორც ვერდიქტივად, ისე ექსპოზიტივად; ზოგის პერფორმატულობა კი საერთოდ ეჭვს ბადებს. მაგალითად, სიაში შეტანილი ისეთი ზმნები, როგორიცაა think, describe, tell, ask, measure, locate, calculate და ა.შ. შეიძლება სულაც არ ჩაითვალოს პერფორმატივებად.

**პირველადი (იმპლიციტური) პერფორმატივები.** ჯონ ოსტინმა გრამატიკული და სხვა ენობრივი მარკერები ძირითადად შეიმუშავა ექსპლიციტური პერფორმატივებისათვის ანუ იმ პერფორმატიული გამონათქვამებისათვის, რომელთა ზედაპირულ სტრუქტურაშიც აუცილებლად ფიგურირებს პერფორმატიული ზმნა. მის მიერ შედგენილი სიაც მხოლოდ ექსპლიციტურ პერფორმატივებს შეიცავდა. ამავდროულად იგი მიუთითებდა, რომ არსებობს პირველადი (იმპლიციტური) პერფორმატივები, რომლებიც გამონათქვამის სიღრმისეულ სტრუქტურაშია მოცემული და რომელთა ექსპლიციტივებაც შესაძლებელია ნებისმიერ დროს. უნდა აღინიშნოს, რომ ჯონ ოსტინი "ექსპლიციტურის" ოპოზიციური ცნების აღსანიშნავად უპირატესობას ანიჭებს ტერმინს "პირველადი", რადგან, მისი აზრით, "ექსპლიციტური" პერფორმატივები ამ უკანასკნელისაგან განვითარდნენ საზოგადოების და ენის განვითარებასთან ერთად.

ამგვარმა მსჯელობამ მეცნიერთა ნაწილი მიიყვანა "წინადადების პერფორმატიული ანალიზის თეორიამდე", რომლის თანახმადაც ნებისმიერი წინადადება პერფორმატიულია სირღმისეულ დონეზე. ეს გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერ გამონათქვამში იმპლიციტური ფორმით ფიგურირებს მისი ილოკუციური ფუნქციის მანიშნებელი აქტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია რეკონსტრუირებულ იქნეს პირველი პირის აღმნიშვნელი დეიქტური ნაცვალსახელით "მე" ("I") და პერფორმატიული ზმნით. მაგალითად, გამონათქვამს "It will be raining tomorrow" ამ თვალსაზრისით შეიძლება ჰქონდეს რამოდენიმე პერფორმატიული სიღრმისეული სტრუქტურა, რომლებიც შეიძლება ექსპლიციტურად იქნეს შედეგი ვარიანტებით:

1. [ I state that] It will be raining tomorrow;
2. [ I predict that] It will be raining tomorrow;
3. [ I warn you that] It will be raining tomorrow;
4. [ I assure you that] It will be raining tomorrow, etc.

პერფორმატივის კვლევისას, ჯ. ოსტინის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ერთმანეთისაგან გამიჯნოს პერფორმატივი და კონსტატივი, რა მიზნითაც იგი იყენებს "სამეტყველო აქტების თეორიას". ამ პროცესში იგი გარდამავალ ეტაპებსაც გამოყოფს. მაგალითად, მეტყველი სუბიექტი წარმოთქვამს ფრაზას "I am closing the door in this way" და ამავედროულად ხურავს კარს. ამ ტიპის გამონათქვამს იგი უწოდებს "საქმით გამაგრებულ სიტყვას".

პერფორმატივისა და კონსტატივის გამმიჯნავი უმთავრესი კრიტერიუმი თავად პერფორმატივის ცნების ჯონ ოსტინისეულ განმარტებაშია მოცემული. პერფორმატივის, კონსტატივისაგან განსხვავებით, ახასიათებს ქმედების ძალა, რადგანაც

პერფორმატიული გამონათქვამის წარმოთქმით შეიძლება იმოქმედო: ჯვარი დანერო ან მონათლო ვინმე, დალოცო ან დანყევლო, დადო ფიცი ან სანაძლეო, მაშინ როდესაც კონსტატივის საშუალებით მხოლოდ ფაქტის გადმოცემა, აღწერაა შესაძლებელი.

პერფორმატიული გამონათქვამების განხორციელების სოციალური თავისებურებების მიხედვით, მკვლევარები ერთმანეთისაგან გამიჯნავენ მათ ორ ტიპს:

1. **კონვენციალურ პერფორმატივებს**, რომელთა განხორციელებაც სპეციალური რიტუალის და შესაბამისი პროცედურული პირობების დაცვას მოითხოვს (ასეთია ჯვრისწერა, მონათვლა, ზიარება, კურთხევა და ა. შ.). მაგალითად, ქორწინების ცერემონიის დროს, მღვდლის მიერ წარმოთქმული პერფორმატივის — “I announce you wife and husband” — განხორციელებისათვის აუცილებელია არსებობდეს შემდეგი პროცედურული პირობები: თავად პროცედურა, რომელსაც ასრულებს არა ერთი პირი, არამედ სოციუმი; აუცილებელია ჯვრისწერა ჩატარდეს ეკლესიაში, ჯვრისწერაში მონაწილე პირები არ უნდა იყვნენ ნაქორწინები ან მოცემული მომენტისათვის არ უნდა ჰყავდეთ ცოცხალი კანონიერი მეუღლე, ნეფე და დედოფალი საკუთარი ნებით უნდა იწერდნენ ჯვარს, პროცედურას უნდა ახორციელებდეს (ჯვარს უნდა სწერდეს) მღვდელი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯვრისწერა არ შედგება ანუ პერფორმატივი არ განხორციელდება.
2. **ჩვეულებრივ პერფორმატივებს**, რომლებიც ნებისმიერ პირს შეუძლია ნებისმიერ დროს განახორ-



ციელოს ყოველგვარი პირობების დაცვის გარეშე (მაგალითად, დაფიცება, დალოცვა, წყევლა, მუქარა და სხვ.).

ჯონ ოსტინის მიერ “პერფორმატივის ჰიპოთეზის” ლინგვოპრაგმატიკული გააზრება უდიდესი აღმოჩენაა, რომელიც ახლებურად წარმოაჩენს ენის ფუნქციებსა და შესაძლებლობებს, მის ადგილს სამყაროში. მაგრამ არც ჯონ ოსტინი და არც მისი მიმდევრები (სერლი, გიჩი, როსი, ლევისი, სადოკი და სხვ.) არ არიან დაზღვეული წინააღმდეგობებისაგან:

1. პირველ რიგში, ჯონ ოსტინი წინააღმდეგობაში მოდის თავის თავთან პერფორმატივის ცნების განმარტებაში. თავდაპირველად, იგი პერფორმატივის ცნებას შემდეგნაირად განმარტავდა: პერფორმატიული გამონათქვამი ანუ პერფორმატივი ეწოდება გამონათქვამთა ტიპს, რომლის წარმოთქმაც თავისთავად შემდგარი ქმედებაა. მოგვიანებით მან შეცვალა ეს განმარტება და შემოიტანა ახალი დეფინიცია, რომლის მიხედვითაც პერფორმატივი გვაქვს მაშინ, როდესაც *გამონათქვამის წარმოთქმის შემდეგ* ან თვით სიტყვათა წარმოთქმისას, ჩვენ რაღაცას ვასრულებთ. ამ ფრაზის დამატებამ გამოიწვია პერფორმატივის ცნების საზღვრების ნაშლა, რადგანაც მთელ რიგ მკვლევართა ნაშრომებში პერფორმატივი განისაზღვრა როგორც გამონათქვამი, რომლის წარმოთქმაც ითვალისწინებს მსმენელის საპასუხო რეაქციას შესაბამისი ქმედების განხორციელების ფორმით (მაგ. “Close the door”, რომელსაც პასუხად ადრესატის ქმედითი რეაქცია მოსდევს - ის ხურავს კარს). ამ მსჯელობის მიხედვით, ნებისმიერი ბრძანების, თხოვნის ან სურვილის გამომხატველი წინადადება პერფორმატივად უნდა ჩაითვალოს, რაც არასწორია.

2. ჯონ ოსტინის მიერ შემოთავაზებული პერფორმატიული ზმნების კლასიფიკაცია არ არის დაცული უზუსტობებისაგან: კლასები ერთმანეთისაგან მკვეთრად არ არის გამიჯნული, რის

გამოც ერთი და იგივე ზმნა რამოდენიმე კლასშია ერთდროულად დარეგისტრირებული. გარდა ამისა, პერფორმატივთა სიაში მოცემული ზოგი ზმნა სულაც არ არის პერფორმატივი.

3. საკამათოა ასევე პერფორმატივთა დიფერენცირება "იმპლიციტურ" და "ექსპლიციტურ" ტიპებად. "იმპლიციტური" პერფორმატივი არ შეიძლება ჭეშმარიტ პერფორმატივად მივიჩნიოთ, რადგანაც ნაგულისხმევი მხოლოდ აზრის დონეზე რჩება და სიტყვა-ქმედებად ვერ ჩაითვლება.

4. საეჭვოა ასევე "ნინადადების პერფორმატიული ანალიზის თეორია", რადგან ნებისმიერი კონსტატივის პერფორმატივად მიჩნევა მნიშვნელობასა და უნიკალურობას უკარგავს თავად "პერფორმატივის ჰიპოთეზას".

## ლექცია 15

### დეიქსისის თეორია თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში

თანამედროვე ლინგვისტიკაში საყოველთაოდ არის აღიარებული პოსტულატი იმის შესახებ, რომ ენა წარმოიშვა ადამიანთა ერთობლივი მოღვაწეობის პროცესში როგორც მათი ქმედების ურთიერთ კოორდინაციის საშუალება. ადამიანს, როგორც სოციალურ არსებას, გამუდმებით უჩნდება მოთხოვნილება მოადხინოს სხვა ადამიანთა ორიენტირება ამა თუ იმ მიმართულებით მათ შორის ურთიერთგაგების დამყარების მიზნით. ადამიანთა სოციალური ურთიერთქმედება კი ხორციელდება კომუნიკაციის სამეტყველო აქტის საშუალებით, რომლის ძირითად კომპონენტებად გვევლინება:

- ა) მეტყველი სუბიექტი ანუ ადრესანტი და მსმენელი ანუ ადრესატი;
- ბ) სამეტყველო სიტუაციის არაკომუნიკაციური კონსტიტუენტები, რომლებიც საუბრის დროს კომუნიკანტთა მიკროსამყაროს ქმნიან, რის გამოც ნებისმიერ მომენტში შეიძლება მათი მსჯელობის საგნად გადაქცევა;
- გ) თავად შეტყობინება (მესიჯი);
- დ) ის დრო და ადგილი, რომლის ფარგლებშიც მოცემული სამეტყველო აქტი ხორციელდება.

მათგან კომუნიკანტები, მეტყველების დრო და ადგილი განიხილება სამეტყველო აქტის ძირითად კოორდინატებად, რომლებიც ამავდროულად პრაგმატიკულ ცვლადებს წარმოადგენს. ეს კი იმით აიხსნება, რომ დისკურსის მსვლელობი-

სას სამეტყველო აქტების მონაცვლეობას თან სდევს როგორც კომუნიკაციურ და არაკომუნიკაციურ პირთა როლების, ისე მეტყველების ადგილისა და დროის პარამეტრების ცვლაც. აქედან გამომდინარე, ურთიერთობის სამეტყველო აქტი განიხილება როგორც სამგანზომილებიანი მოვლენა, რომელიც ციკლურობით და სტერეოტიპურობით ხასიათდება.

სამეტყველო აქტების ციკლურობა და სტერეოტიპურობა განაპირობებს ენობრივ საშუალებათა სისტემაში ისეთი სპეციფიური სიტყვების არსებობას, რომლებიც რეფერენტთა მუდმივი მონაცვლეობისას არა მარტო ახდენენ საკომუნიკაციო აქტის ზემოხსენებულ განზომილებათა იდენტიფიკაციას, არამედ მათი საშუალებით ხორციელდება გამონათქვამის და ტექსტის შეპირისპირება მოცემულ სამეტყველო სიტუაციასთან, რის შედეგადაც ეს სიტყვები ენისა და ობიექტური რეალობის შემაკავშირებელ რგოლებად გვევლინება. მეცნიერები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მათი არსებობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ადამიანთა შორის ვერბალური ურთიერთობის დამყარება, რადგანაც წინააღდეგ შემთხვევაში "იმდენივე ენა აღმოჩნდებოდა, რამდენიც ადამიანია"<sup>1</sup>.

სწორედ ამ მიზანს, ე.ი. კონკრეტულ სამეტყველო აქტთა ორგანიზებას ემსახურება დეიქტურ სიტყვათა სისტემა, რომლებიც, ფუნქციური და სემანტიკურ-პრაგმატიკული უაღრესად სპეციფიური თავისებურებების გამო, ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში ნიშანთა ცალკე კლასს ქმნის.

ტერმინი "დეიქსისი" (ბერძნ. *deíxis* — "მითითება", "ჩვენება") დასაბამს იღებს ძველ ბერძნულ გრამატიკებში, სადაც იგი გამოიყენებოდა ჩვენებითი ნაცვალსახელების (*this – that, these – those*) აღსანიშნავად, რაც იმით აიხსნებოდა, რომ არსებითი სახელებისაგან განსხვავებით, დეიქტური ნიშნები მხოლოდ

1 Бенвенист Е., *Общая лингвистика*. Москва: «Прогресс», 1974, с. 288.

ოსტენსიურად<sup>1</sup> მიათითებენ ექსტრალინგვისტური სინამდვილის ამა თუ იმ ობიექტზე.

“სამეტყველო აქტების თეორიის” განვითარებამ და ენის პრაგმატიკული ასპექტის წინა პლანზე წამოწვევამ განაპირობა დეიქტურ ერთეულთა ნიშნობრივი თავისებურებების ახლებური გააზრება. რამდენადაც კომუნიკაციის სამეტყველო აქტი რეალიზებას ჰპოვებს სამ განზომილებაში, იმდენად განასხვავებენ დეიქტურ სიტყვათა სამ კატეგორიას, რომელთა ფუნქციურ დანიშნულებასაც ამ პარამეტრების აღნიშვნა წარმოადგენს. ესენია კომუნიკაციურ და არაკომუნიკაციურ პირთა და საგანთა, მეტყველების დროისა და ადგილის აღმნიშვნელი ენობრივი ერთეულები, რომლებიც ტრადიციულ გრამატიკაში წარმოდგენილია:

1. პირის ნაცვალსახელებით (I, you, he, she, it, we, they); მათთან ლექსიკურ-გრამატიკული პარადიგმატული ურთიერთობებით დაკავშირებული კუთვნილებითი (my, your, his, her, its, our, their) და რეფლექსური (myself, yourself, himself, herself, itself, ourselves, yourselves, themselves) ნაცვალსახელებით.
2. ჩვენებითი ნაცვალსახელების სუბსტანციური, ე.წ. ავტონომიური ფორმებით (this – that, these – those), რომლებიც სამეტყველო აქტის არაკომუნიკაციურ კონსტიტუენტთა აღმნიშვნელ ალტერნატიულ ენობრივ საშუალებებად მოიაზრება.

---

1 ოსტენსიური მითითება გულისხმობს ჩვენების პროცესში ენობრივი და არაენობრივი ანუ კინესიკური (ჟესტი, მიმიკა და ა.შ.) საშუალებების სინქრონულ გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით, იხ.: Here and there. Cross-linguistic studies on deixis and demonstration. Amsterdam – Philadelphia, 1982.

3. ლოკაციური დეიქტური ზმნიზედები *here* და *there*, რომლებიც მეტყველების პროცესში რაიმე ადგილის იდენტიფიკაციას ახდენენ მეტყველ სუბიექტთან მიმართებაში მასთან სიახლოვის ან დისტანციურობის მიხედვით: *here* = “აქ, ჩემთან, ე.ი. მეტყველ სუბიექტთან ახლოს”; და *there* = “იქ, ჩემგან, ე.ი. მეტყველი სუბიექტისგან მოშორებით”. ანალოგიური ლოკაციური მნიშვნელობაა ჩადებული ჩვენებითი ნაცვალსახელების ადიექტიური ფორმების სემანტიკაში — *this boy, that house, those girls* და ა.შ., რომლებშიც ადგილის დეიქტური ზნიზედები *here* და *there* შესაბამისი დემონსტრაციების პრედიკატებად განიხილება, რაც განაპირობებს კიდევ მათ შეთავსებად ფუნქციონირებას. მაგალითად, **this here boy**, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას — *that here boy* ან *this there boy*.
4. ტემპორალური დეიქტური ზმნიზედები *now, then, today, tonight, tomorrow, yesterday, ago* და ა.შ., რომლებიც რაიმე ქმედების ან მოვლენის დროს განსაზღვრავენ სამეტყველო აქტთან მიმართებაში (*Now* = “**ეხლა**, როდესაც მე, მეტყველი სუბიექტი, ვმეტყველებ.” *Then* = “**მაშინ**, ჩემს მეტყველებამდე” ან “**შერე**, ჩემი მეტყველების შემდეგ”. *Tomorrow* = “**ხვალ**, ანუ მეტყველების მომენტიდან შემდეგ დღეს” და სხვ.

ბუნებრივია, რომ რამოდენიმე მომენტი საჭიროებს დაზუსტებას. ლინგვისტურ ლიტერატურაში გამოყოფენ დეიქტური იდენტიფიკაციის ორ ხერხს იმ ობიექტთა აღსანიშნავად, რომლებიც მეტყველების პროცესში კომუნიკანტთა მიკროსა-

მყაროს ქმნის და მათი მსჯელობის საგანს წარმოადგენს. მეტყველი სუბიექტი მათ გამოყოფს:

ა) მათთვის დამახასიათებელი ისეთი ზოგადკატეგორიული იმანენტური ნიშან-თვისებების მიხედვით, როგორცაა “სულიერი” — “უსულო” (he, she – it) და სქესის მიხედვით “მამრობითი” – “მდედრობითი” – “საშუალო სქესი” (he – she – it), რაც საგანთა ბუნებრივი კლასების ლოგიკით არის განპირობებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მრავლობით რიცხვში ყველა ეს თვისება ნეიტრალდება, რის შედეგადაც იხსნება მათი ენობრივი გაფორმების ვარიაციულობა და მსჯელობის საგანი წარმოგვიდგება ლექსემით they. შესაბამისად, მესამე პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელების he, she, it მნიშვნელობა შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც “მამრობითი/მდედრობითი არაკომუნიკაციური პირი ან სამეტყველო სიტუაციის საგნობრივი კომპონენტი, რომელიც კომუნიკანტთა მგრძობელობით აღქმას ექვემდებარება და მათი მსჯელობის საგანს წარმოადგენს”. დეიქტური იდენტიფიკატორების he, she, it სემანტიკა უაღრესად ზოგადია, რის გამოც მათი ფუნქციონირებამეტყველებაშიკაცრადრეგლამენტირებულადაპრაგმატიკულ კონტროლირებას ექვემდებარება. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ფრაგმენტს ე. ჰემინგუეის ცნობილი მოთხრობიდან “A Clean, Well-Lighted Place”:

“It was late and everyone had left the cafe except an old man who sat in the shadow the leaves of the tree made against the electric light... The two waiters inside the cafe knew that the old man was a little drunk, so they kept watch on him.

“Last week he tried to commit suicide”, one waiter said.

“Why?”

“He was in despair”.

“What about?”

“Nothing”.

“How do you know it was nothing?”

“He has plenty of money”

(Hemingway, E., “A Clean, Well-Lighted Place”, p. 150).

მოცემულ ტექსტობრივ ფრაგმენტში დიალოგი მიმდინარეობს კაფეში მყოფ ორ ოფიციანტს შორის. მათი მსჯელობის საგანს წარმოადგენს გარეთ, ხის ჩრდილში ჩაძინებული მოხუცი კაცი. რამდენადაც ეს უკანასკნელი კომუნიკანტთა მხედველობით აღქმას ექვემდებარება ანუ პრაგმატიკულად კონტროლირებადია, იმდენად შესაძლებელი ხდება საუბრის დროს მისი მოხსენიება ნაცვალსახელით he, რომელიც ამ შემთხვევაში მხოლოდ დეიქტურ ფუნქციას ასრულებს, მიანიშნებს რა ოსტენსიურად მსჯელობის საგანზე მისი პიროვნების დაკონკრეტების გარეშე. იმ სამეტყველო სიტუაციაში კი, როდესაც მსჯელობის საგანი კომუნიკანტთა მგრძობელობით აღქმას არ ექვემდებარება, მისი პირველადი რეფერირება მესამე პირის ნაცვალსახელთა დეიქტური გამოყენებით წარმოშობს გაუგებრობის ფენომენს ადრესატისთვის, რაც აფერხებს დისკურსის ნორმალურ განვითარებას, რადგანაც დამატებითი ინფორმაციის მიღების გარეშე მისთვის შეუძლებელი ხდება მსჯელობის საგნის იდენტიფიკაცია. მაგალითად:

“- She up there?

Who?

- Lady!

No.”

(Williams T., Orpheus Descending, p. 294)



ბ) მათი ლოკაციის მიხედვით მეტყველ სუბიექტთან მიმართებაში, რომელიც სამეტყველო აქტის კოორდინატების ათვლის წერტილად გვევლინება. ასეთ დროს მსჯელობის საგნის დეიქტური რეფერენცია ხორციელდება ჩვენებითი ნაცვალსახელების ავტონომიური ანუ სუბსტანციური ფორმების პარადიგმით (this/these – that/those), რომელთა ოპოზიციურობაც მათ მიერ ოსტენსიურად რეფერირებული საგნის სი-ახლოვის ან დისტანტიურობის ნიშანს ეფუძნება. შესაბამისად, დემონსტრაციების this და these მნიშვნელობა განისაზღვრება როგორც “ობიექტი/ობიექტები აქ, მეტყველ სუბიექტთან ახლოს, რომელიც მეტყველების პროცესში კომუნიკანტთა მგრძნობელობით აღქმას ექვემდებარება და მათი მსჯელობის საგანს წარმოადგენს”, მაშინ როდესაც that და those განიმარტება როგორც “ობიექტი/ობიექტები იქ, მეტყველი სუბიექტისგან მოშორებით და ა.შ.” ჩვენებით ნაცვალსახელთა მნიშვნელობის ოპოზიციურობა მეტყველ სუბიექტთან მიმართებაში ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილ მაგალითში:

*“It is Gettysburg”, Melanie explained. “And Yankees and I’ve certainly gotten the worst of it. This is General Pickett”, putting an arm about Wade’s shoulder, “and that is General Lee”, pointing to Beau.*

(Mitchell, M., “Gone with the Wind”, p. 797).

რეალურ მეტყველებაში ჩვენებითი დეიქტური ნაცვალსახელების სუბსტანციური ფორმები ზოგჯერ კარგავენ მათი მნიშვნელობის განმასხვავებელ ლოკაციურ დიფერენციალურ სემას, რომელიც მსჯელობის საგნის იდენტიფიკაციას ახდენს მისი დაშორების ხარისხის მიხედვით ადრესანტთან მიმართებაში. შედეგად, მათ მნიშვნელობაში ხდება შესაბამისი სემების

ნეიტრალიზება, რაც განაპირობებს მათ გამოყენებას სუფთა ინდექსის სახით. ანალოგიურად აიხსნება ნაცვალსახელის it ინდექსალური ფუნქციონირებაც. მაგალითად:

“Now just you taste that, Mr. Angel Pavement”, she commanded, giving him a little glass.

“Like it?”

“It is fine”

(Priestley, J.B., “Angel Pavement”, p. 271).

პირის და ჩვენებითი დეიქტური ნაცვალსახელების ფუნქციურ-სემანტიკური სიახლოვე იმითაც დასტურდება, რომ ისინი ხშირად ურთიერთ ჩანაცვლებადნი არიან. მაგალითად:

**WALTER:** (rising, moving to the sideboard and picking up the flowers) I found these in the lane. They’re quite rare. I thought you might be interested.

**LOISE:** (taking the flowers) They are very charming. I am very touched. Thank you, my dear.

(Shaffer, P., “Five Finger Exercise”, p. 58)

მოცემულ მაგალითში ორივე ნაცვალსახელი these და they წარმოადგენს ურთიერთ ჩანაცვლებად საგნობრივ ნიშნებს, რომლებიც მსჯელობის საგნის, ყვავილების რეფერირებას ახდენს მათი მდებარეობის და რაოდენობრიობის ნიშან-თვისებების მიხედვით. ეს სრულიად საკმარისია იდენტიფიკაციის განსახორციელებლად, რადგანაც ისინი სამეტყველო აქტის სოციალურ-კომუნიკაციური ველის იმ კონსტიტუენტებად გვევლინება, რომლებიც კომუნიკანტთა მგრძნობელობით აღქმას ექვემდებარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დეიქტური he, she, it, ერთი მხრივ, და this და that, მეორე მხრივ, რომლებიც ტრადიციულად ნაცვალსახელთა სხვადასხვა კლასს განეკუთვნება, რეფერენციის დროს ერთ, კერძოდ, დეიქტურ იდენტიფიკატორთა კლასს ქმნის, რომლის ფუნქციურ დანიშნულებასაც მსჯელობის საგნის ოსტენსიური იდენტიფიკაცია წარმოადგენს.

უახლესი ლინგვისტური თეორიების<sup>1</sup> მომველიებამ შესაძლებელი გახადა იმ ძირითადი ფუნქციურ-სემანტიკური და პრაგმატიკული მახასიათებლების გამოყოფა, რომელთა ერთობლიობაც აყალიბებს დეიქტურ ენობრივ ერთეულთა კატეგორიალურ მნიშვნელობას (შიდა ფორმას) და განსაზღვრავს მათ ნიშნობრივ სტატუსს, რის საფუძველზეც ზემოხსენებული მეტყველების სხვადასხვა ნაწილი ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში ლექსემათა ერთიან კლასში ერთიანდება<sup>2</sup>.

1. დეიქტური სიტყვების ძირითად ნიშან-თვისებას მნიშვნელობის კომუნიკაციურ-პრაგმატიკული განპირობებულობა წარმოადგენს, რადგანაც მათი დანიშნულება მდგომარეობს დისკურსის, კერძოდ კი, კონკრეტული სამეტყველო აქტის ორგანიზებაში მისი სოციალურ-კომუნიკაციური ველის პრაგმატიკული პარამეტრების იდენტიფიცირების და დიფერენცირების გზით. ეს გახლავთ: თავად კომუნიკანტები — ადრესანტი და ადრესატი; ის პირი ან საგანი, რომელიც მეტყველების დროს

---

1 R. J. Jarvella and W. Klein (Ed.), *Speech, place and action. Studies in deixis and related topics.* Chichester-New York-Toronto, 1982. Here and there. *Cross-linguistic studies on deixis and demonstration.* Amsterdam - Philadelphia, 1982.

2 Н.Кирвалидзе - Семантика и текстообразующие функции английских дейктических слов. Тбилиси: «ТГУ», 1981; მ. წიენივაძე — დისკურსის მონაწილეთა დეიქტური რეპრეზენტაცია და მათი სემანტიკურ-პრაგმატიკული თავისებურებანი თანამედროვე ინგლისურ ენაში. // საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი "ინტელექტი", 3 (26), თბილისი 2006, გვ. 139 - 142.

მათ აღქმას ექვემდებარება და მსჯელობის საგანს წარმოადგენს; სამეტყველო აქტის დრო და ადგილი. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ინგლისურ ენაში დეიქტურ ერთეულებად გვევლინება და მის ბირთვის ქმნის პირის ნაცვალსახელები და მისგან ნაწარმოები რეფლექსური და კუთვნილებითი ნაცვალსახელები, ჩვენებითი ნაცვალსახელები, დროისა და ადგილის აღმნიშვნელი დეიქტური ზმნიზედები.

პირის ნაცვალსახელები ადამიანის ან საგნის იდენტიფიკაციას ახდენს მისი როლის მიხედვით კომუნიკაციის სამეტყველო აქტში: "I" ("მე") = "მეტყველი სუბიექტი (ადრესანტი), ეგი ანუ პიროვნება, რომელიც მეტყველების პროცესში ენას მისაკუთრებს"; "you" ("შენ") = "ადრესატი ანუ ის პირი, ვისთვისაც მეტყველება არის განკუთვნილი, ვისაც მეტყველი სუბიექტი მიმართავს"; He, she, it („ის“) = შესაბამისად, მამრობითი / მდედრობითი სქესის ადამიანი ან საგანი, რომელიც მეტყველების პროცესში კომუნიკანტთა მგრძობელობით აღქმას ექვემდებარება და მათი მსჯელობის საგანს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, I და you დეიქტურ იდენტიფიკატორთა სისტემის კომუნიკაციურად მარკირებულ, ხოლო he და she მის არამარკირებულ წევრებად მოიაზრება. ემპირიული მასალის განზოგადების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ რაოდენობრივი სიმცირის მიუხედავად, ეს ვერბალური ნიშნები მეტყველებაში გამოყენების სიხშირის კოეფიციენტის მიხედვით პირველ ადგილზე იმყოფება, რადგანაც სწორედ მათი საშუალებით ხდება სამეტყველო აქტის ფორმირება.

არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ დეიქტურ სიტყვებს საერთოდ არ გააჩნია ლექსიკური მნიშვნელობა და წარმოადგენს "ცარიელ სიტყვებს", რომლებიც კონკრეტულ მნიშვნელობას მხოლოდ სამეტყველო სიტუაციაში იძენენ. ამ მოსაზრების თანახმად, დეიქტურ სიტყვებს არ შეუძლიათ ვირტუალური ნიშნების სახით არსებობა და მათ განიხილავენ

მხოლოდ როგორც აქტუალიზატორებს, რომელთა ძირითად დანიშნულებასაც წარმოადგენს ვირტუალური ცნებების გადაყვანა აქტუალურში<sup>1</sup>. ასეთი მსჯელობა საკმაოდ საკამათოა, რადგან არ შეიძლება უარვყოთ ის, რომ დეიქტურ სიტყვებს საკუთარი ლექსიკური მნიშვნელობა გააჩნიათ, რომელიც ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში სრულიად განსაზღვრულია და სოციალურად არის დამაგრებული (დაფიქსირებული) შესაბამისი სიტყვა-ნიშნების მიღმა მოცემული ენის მატარებელთა ცნობიერებაში. ამაზე მეტყველებს, თუნდაც, ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი დეიქტური ნაცვალსახელების და ზმნიზედების დეფინიციები.

2. დეიქტურ სიტყვათა დეფინიციების განზოგადების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ კონკრეტული სამეტყველო აქტის პრაგმატიკული პარამეტრების აღმნიშვნელი ეს ენობრივი ერთეულები ხასიათდებიან ცნებითი შინაარსის განზოგადებულობის მაღალი ხარისხით, რადგანაც მათში ექსპლიციურებულია რეფერირებული ექსტრალინგვისტური საგნის, დროის და ადგილის არა ყველა, არამედ მხოლოდ კომუნიკაციურად რელევანტური ნიშან-თვისებები. მაგალითად, სიტყვის "მე" ცნებით შინაარსში მოცემულია ადამიანის, მხოლოდ როგორც მეტყველი სუბიექტის, დახასიათება. ყველა დანარჩენი ნიშან-თვისება კი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა გაგვესაზღვრა თუ ვინ მეტყველებს ან რას წარმოადგენს მეტყველი სუბიექტი, იმპლიციურებულია. იგივე შეიძლება ითქვას დროისა და ადგილის ზმნიზედებზეც. ამ მახასიათებლურ სიცარიელეს დეიქტურ სიტყვათა ცნებით შინაარსში ავსებს (კომპენსირებას ახდენს) მათ მიერ იდენტიფიცირებული ობიექტის (საგნის, დროის თუ ლოკაციის) უშუალო, ფიზიკური აღქმა კო-

---

1 Балли Ш., Общая лингвистика и вопросы французского языкознания. Москва, 1955.

მუნიკაციის სამეტყველო სიტუაციაში. ნათქვამის საილუსტრაციოდ გავაანალიზოთ შემდეგი ტექსტობრივი ფრაგმენტი<sup>1</sup>:

“Scarlett looked up and saw Melanie at the top of the stairs. Melanie’s eyes took in the scene below in its entirety, the sprawling blue-clad body in the red pool, Scarlett, bare-footed and gray-faced, clutching the long pistol.

“Scarlett”, she whispered, “we must get him out of here and bury him. He may not be alone and if they find him here...” — She steadied herself on Scarlett’s arm.

“He must be alone”, said Scarlett. “I didn’t see anyone from the upstairs’ window. He must be a deserter.”

(Mitchel M., *Gone with the Wind*, p. 368)

მოცემული ტექსტი ორ ლოგიკურ-სემანტიკურ ნაწილად, ანუ ზეფრაზულ ერთიანობად იყოფა. აქედან, პირველი ნარმოადგენს აღწერითი ხასიათის თხრობას, სადაც ავტორი სამეტყველო სიტუაციის ვერბალურ სურათს ქმნის მეორე ნაწილში მოცემული დიალოგისთვის, რომლის კომუნიკანტებადაც სკარლეტი და მელანი გვევლინებიან. თხრობითი ნაწილი შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სროლის ხმაზე როგორ გამოვარდება მელანი თავისი ოთახიდან კიბის თავზე და დაინახავს სისხლის გუბეში გაშოტილ ლურჯფორმიან იანკის გვამს და გაფითრებულ, ფეხშიშველ სკარლეტს, რომელსაც ხელში იარაღი აქვს ჩაბლუჯული. შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, მელანი ხვდება, რომ საჭიროა გვამის დაუყოვნებლივ თავიდან მოშორება, რაც კომუნიკაციურ პროგრამას

1 მაგალითი აღებულია მ. ნივნივაძის სტატიიდან.

წარმოადგენს მას და სკარლეტს შორის გამართული დიალოგი-სათვის. მსჯელობის საგნის უშუალო არსებობა სამეტყველო სიტუაციაში განაპირობებს დიალოგის დამწყების მიერ მის დეიქტურ რეფერირებას ნაცვალსახელით “him”, რომელიც ამ შემთხვევაში კომუნიკაციურად რელევანტურია და ინფორმატულად თვითსაკმარისი, რადგანაც ადრესატის მიერ ექსტრალინგვისტური რეფერენტის სწორ იდენტიფიცირებას უზრუნველყოფს მოკლული ჯარისკაცის ვიზუალური აღქმა. ამ ტიპის დიალოგურ დისკურსში მსჯელობის საგნის დეიქტური იდენტიფიკაცია სავსებით ბუნებრივია, რადგანაც მისი რეფერირება ატრიბუტული სახელადი ფრაზით — “the sprawling blue-clad body”, ამ სამეტყველო სიტუაციაში გამოიწვევდა კომუნიკაციურად გაუმართლებელ ქარბსიტყვაობას.

3. დეიქტური სიტყვების სემანტიკის შემდეგ სპეციფიურ მახასიათებელს წარმოადგენს მათი მნიშვნელობის ფარდობითი ხასიათი, რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში: განსხვავებით იმ სიტყვებისაგან, რომლებიც ამა თუ იმ საგნის (ამ სიტყვის ფართო გაგებით), ადგილის, დროის და ა.შ. სახელდებას ახდენენ სამეტყველო-კომუნიკაციური ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად მათთვის დამახასიათებელი ობიექტური ნიშანთვისებების მიხედვით (მაგალითად, “man”, “doctor”, “table”, “in the yard”, “in August” და ა.შ.), დეიქტური ნიშნები ამავე საგნებს, მოვლენებს, ადგილს და დროს გამოყოფენ მხოლოდ მათი სამეტყველო აქტთან მიმართების მიხედვით (“I”, “you”, “he”, “she”, “it”, “here”, “there”, “now”, “then” და ა.შ.). შესაბამისად, დეიქტური სიტყვების მნიშვნელობაში დაფიქსირებულია მათ მიერ იდენტიფიცირებული ობიექტის არა აბსოლუტური თვისებები, არამედ მხოლოდ ის ფარდობითი ნიშნები, რომლებიც ამ უკანასკნელთ გააჩნიათ სამეტყველო აქტთან მიმართებაში. მაგალითად, ფარდობითი სემებია ექსპლიციურებული ისეთი სიტყვების დეფინიციებში, როგორიცაა “I”, “you”,

“he”, “she”, “it” და სხვ., რომლებიც ადამიანებისა და საგნების იდენტიფიცირებას ახდენენ იმ როლის მიხედვით, რომელსაც ისინი ასრულებენ მოცემულ სამეტყველო აქტში. ანალოგიურად ფარდობითი სემანტიკა აქვს ადგილისა და დროის აღმნიშვნელ სიტყვებსაც: here, there, now, tomorrow, yesterday და ა.შ., რომელთა მნიშვნელობის დაკონკრეტებაც მხოლოდ სამეტყველო აქტთან მიმართებაში ხდება.

ემპირიული მასალის სემური ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება განვაზოგადოთ, რომ ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის ფარდობითობა მხოლოდ დეიქტური სიტყვებისათვის არ არის დამახასიათებელი. ფარდობითობა ასევე რეალიზდება, მაგალითად, ნათესაური კავშირების გამომხატველ სიტყვებში, მოძრაობისა და სივრცეში გადაადგილების აღმნიშვნელ ზმნებსა და მათგან ნაწარმოებ პრედიკატულ სახელებში, წინდებულებში, ზმნიზედებში და ა.შ.. სიტყვის ცნებითი შინაარსის ფარდობითობა აუცილებლად გულისხმობს მის მნიშვნელობაში ათვის წერტილის არსებობას, რომლის მიმართაც ხასიათდება მეტყველების საგანი. მაგალითად, რელაციური სახელების “father”, “mother”, “grandmother”, “grandfather”, “daughter”, “son”, “brother”, “sister”, “uncle”, “aunt”, “cousin”, “nephew”, “niece”, “wife”, “husband”, “stepmother”, “father-in-law”, “brother-in-law” სემანტიკა ფარდობითია, რადგანაც თითოეული მათგანი ამა თუ იმ პიროვნების იდენტიფიცირებას ახდენს მისი მიმართებით რომელიმე კონკრეტულ პიროვნებასთან, რომლის არსებობაც იმპლიცირებულია მოცემული სახელის ცნებით შინაარსში, მაშინ როდესაც ექსპლიციტურად ის მოცემული რელაციური სახელის დეტერმინანტად გვევლინება. მაგალითად, Nick’s wife (“ნიკის ცოლი”), David’s brother (“დავითის ძმა”) და ა.შ..

რელაციურ სახელთა გათანაბრება დეიქტურ ერთეულებთან დაუშვებელია, რადგანაც მათი მნიშვნელობის ფარდო-



ბითობის ხასიათი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. რელაციურ სახელთა სემანტიკის ფარდობითობა ობიექტური ბუნებისაა, რადგანაც მათ მნიშვნელობაში რეალიზებას ჰპოვებს პიროვნებებს შორის არსებული მყარი, მდგრადი კავშირები, რის გამოც რელაციური ზოგადი სახელები სამეტყველო სიტუაციის ფაქტორისადმი განურჩეველი არიან. დეიქტური სიტყვები კი მთლიანად არის დამოკიდებული სამეტყველო სიტუაციაზე, რადგანაც მათ ცნებით შინაარსში ასახული რელაციური მიმართებები გარდამავალი და ცვლადია, რაც განპირობებულია სამეტყველო აქტების ციკლურობით, რომლის დროსაც კომუნიკანტთა როლების მონაცვლეობას თან სდევს ადგილის და დროის პარამეტრების ცვლაც.

4. დეიქტური სიტყვების მნიშვნელობაში ფარდობითობის ათვლის წერტილად გვევლინება მეტყველი სუბიექტი ანუ ეგო, რომელიც საუბრის ან წერის დროს ენას მიისაკუთრებს და საკუთარი თავის რეფერირებას ახდენს ოსტენსიურად პირველი პირის ნაცვალსახელის “მე” საშუალებით, რაშიც მდგომარეობს ამ ლექსიკური ერთეულის ავტორეფერენტულობა. აქედან გამომდინარე, დისკურსში მონაწილე კომუნიკაციურ და არაკომუნიკაციურ პირთა ან საგანთა, სამეტყველო აქტის დროის და ადგილის აღმნიშვნელი ვერბალური ნიშნების შემდეგ მახასიათებელს წარმოადგენს მათი მნიშვნელობის ეგოცენტრისტულობა. ნებისმიერი დეიქტური სიტყვის მნიშვნელობა ორიენტირებულია მეტყველ სუბიექტზე, რაც ნათლად ჩანს ზემოთ მოყვანილ მათ დეფინიციებშიც, სადაც ექსპლიციურებულია მხოლოდ ის ნიშნები, რომლითაც ექსტრალინგვისტური რეფერენტული ობიექტი ხასიათდება მეტყველ სუბიექტთან მიმართებაში, ხოლო მითითება თავად მეტყველ სუბიექტზე, რომელზეც პროეცირდება ნებისმიერი მათგანის ლექსიკური მნიშვნელობა, იმპლიციურებულია. მაგალითად, “I” (“მე”) = “მეტყველი სუბიექტი (ადრესანტი), ეგო ანუ პიროვნება, რომელიც

მეტყველების პროცესში ენას მიისაკუთრებს"; "you" ("შენ") = "ადრესატი ანუ ის პირი, ვისთვისაც მეტყველება არის განკუთვნილი, ვისაც მეტყველი სუბიექტი მიმართავს"; here = "აქ, ჩემთან, ე.ი. მეტყველ სუბიექტთან ახლოს"; there = "იქ, ჩემგან, ე.ი. მეტყველი სუბიექტისგან მოშორებით" და ა.შ. ამით დეიქტური სიტყვები ემიჯნება რელაციურ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა მნიშვნელობაშიც პიროვნებათშორის არსებული სტაბილური ურთიერთობები აისახება.

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, მიეკუთვნება თუ არა მესამე პირის ნაცვალსახელები დეიქტურ ნიშანთა კლასს. ზოგი მეცნიერი მათ გამოირიცხავს დეიქტურ ნიშანთა კლასიდან და მიაკუთვნებს სუბსტიტუტებს იმ მიზეზის გამო, რომ ისინი წარმოადგენენ არაკომუნიკაციური პირის ან საგნის იდენტიფიკატორებს. ჩვენ არასწორად მივიჩნევთ საკითხისადმი ასეთ მიდგომას, რადგან დისკურსის მსვლელობისას სამეტყველო აქტების ციკლურობას თან სდევს მასში მონაწილე კომუნიკაციურ და არაკომუნიკაციურ პირთა როლების მონაცვლეობა, რის შედეგადაც ყოველ მომდევნო აქტში კომუნიკაციური პირი შეიძლება გადაიქცეს არაკომუნიკაციურ პირად ანუ მსჯელობის საგნად, ხოლო არაკომუნიკაციური პირი კი — მეტყველ სუბიექტად.

5. დეიქტური სიტყვების სემანტიკის ერთ-ერთ სპეციფიურ ნიშნად შეიძლება გამოიყოს მათი მნიშვნელობის **ორმხრივი ეგზისტენციალური განსაზღვრულობა**, რაც გულისხმობს როგორც კომუნიკანტთა, ასევე მათ მიერ რეფერირებული ობიექტის უშუალო არსებობას სამეტყველო სიტუაციაში. დეიქტურ სიტყვებს არ შეუძლიათ განახორციელონ რაიმის იდენტიფიცირება ისე, თუ ექსტრალინგვისტური რეფერენტი არ იმყოფება მეტყველ სუბიექტთან ფიზიკურ კავშირში ანუ არ ექვემდებარება მგრძნობელობით აღქმას. როდესაც გვესმის სიტყვა "აქ", ჩვენ უკვე თვალებით ვეძებთ მოსაუბრეს. ამასთან, სრულ

სიბნელეშიც კი მოსაუბრის იდენტიფიკაციის გადამწყვეტ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს მისი ხმის ინდივიდუალურობა, ხოლო მისი ადგილსამყოფელისა კი — ბგერების წარმოშობის ადგილი. შეიძლება ითქვას, რომ დეიქტური სიტყვების სემანტიკის ეს თავისებურება სუფთა ფსიქოლოგიური ხასიათისაა და ნაკლებად ასახავს ორმხრივი რეფერენტული მიმართების ლინგვისტურ არსს.

დეიქტურ სიტყვათა მნიშვნელობის ორმხრივი ეგზისტენციალური განსაზღვრულობა განაპირობებს და ამავდროულად კომპენსირებას უკეთებს მათი ცნებითი შინაარსის განზოგადებულობის მაღალ ხარისხს, როდესაც დენოტაციური თვისობრივი განსაზღვრულობის სიცარიელეს ავსებს მათ მიერ რეფერირებული ექსტრალინგვისტური ობიექტის და თავად მეტყველი სუბიექტის უშუალო არსებობა მოცემულ სამეტყველო სიტუაციაში. ამაში მდგომარეობს დეიქტური ნიშნების "ინდექსალურობა", რითაც ისინი განსხვავდებიან სხვა მახასიათებლური სიტყვებისაგან.

6. დეიქტური ლექსიკური ერთეულების ორიგინალურობა და ძირითადი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ მათ მხოლოდ იდენტიფიკატორული ფუნქციის განხორციელება შეუძლიათ. ამ დროს ისინი რეფერენტული შეპირისპირების ერთჯერადობით ხასიათდებიან, რაც გულისხმობს მათი მნიშვნელობის დაკონკრეტებას ერთი სამეტყველო აქტის ფარგლებში. დეიქტურ სიტყვათა ეს თავისებურება კვლავ განპირობებულია სამეტყველო ურთიერთობის ციკლური ბუნებით, რასაც თან სდევს როგორც მასში მონაწილე კომუნიკაციურ და არაკომუნიკაციურ პირთა როლების მონაცვლეობა, ისე დროის და ადგილის პარამეტრების ცვლა. ამ თვისების საფუძველზე მკვლევარები მათ "პრაგმატიკულ ცვლადად" ("shifters", "variables") მიიჩნევენ და აღნიშნავენ, რომ "ცვლადები ენობრივი კოდის სხვა კომპონენტებისგან განსხვავდებიან

მხოლოდ იმით, რომ მათთვის ობლიგატორულია ოსტენსიური მითითება მოცემულ შეტყობინებაზე”<sup>1</sup>.

დეიქტური ნიშნების რეფერენტული შეპირისპირების ერთ-ჯერადობას უკავშირებენ ამ სიტყვათა აქტუალური მნიშვნელობის წამიერებას და ეფემერულობას, რომელიც იცვლება გამოყენების ერთი შემთხვევიდან მეორემდე. მიუხედავად უცვლელი ლექსიკური მნიშვნელობისა, დეიქტური პრონომინალური სიტყვები და ზმნიზედები ყოველი გამოყენებისას სხვადასხვა ექსტრალინგვისტურ ობიექტებს შეეფარდებიან: პირი, რომელიც ერთ სამეტყველო აქტში აღინიშნება სიტყვით “მე”, მომდევნო აქტში შეიძლება გახდეს სიტყვების “შენ” ან “ის” რეფერენტი და პირიქით. ასეთივე რეფერენტული შეპირისპირების ერთჯერადობით ხასიათდება ადგილის და დროის აღმნიშვნელი დეიქტური ზმნიზედებიც. ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ბავშვები უფრო გვიან ითვისებენ დეიქტურ ნაცვალსახელებს და ზმნიზედებს ვიდრე სიტყვათა სხვა კლასებს, რაც თავის მხრივ განპირობებულია აბსტრაქტირებული აზროვნების ფსიქიკური უნარის შედარებით გვიანი განვითარებით.

ამრიგად, დეიქტურ ენობრივ ნიშანთა ინტეგრალურ, კატეგორიულ მახასიათებლებად შეიძლება გამოიყოს მათი მნიშვნელობის კომუნიკაციურ-პრაგმატიკული განპირობებულობა, ცნებითი შინაარსის განზოგადებულობის მაღალი ხარისხი და ეგოცენტრისტულობა, მნიშვნელობის ფარდობითობა, ეგზისტენციალური ორმხრივი განსაზღვრულობა და რეფერენტული შეპირისპირების ერთჯერადობა. ამ მახასიათებელთა ერთობლიობა აყალიბებს დეიქტურ სიტყვათა შიდაფორმას და შესაძლებელს ხდის განვსაზღვროთ მათი ნიშნობრივი სტა-

1 Якобсон Р. О., Шифтери, глагольные категории и русский глагол. – В кн.: Принципы типологического анализа языков различного строя. Москва: «Наука», 1972, с. 95-113.

ტუსი როგორც ლექსიკური ერთეულებისა, რომელთა ძირითად დანიშნულებასაც წარმოადგენს ურთიერთობის კონკრეტული სამეტყველო აქტის ორგანიზება ადამიანების, საგნების და მოვლენების, დროისა და ადგილის იდენტიფიცირების და დიფერენცირების გზით არა მათთვის ობიექტურად დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მიხედვით, არამედ მათი მიმართებით სამეტყველო აქტთან და მეტყველ სუბიექტთან, რომელიც ორიენტირს წარმოადგენს როგორც თავად დეიქტური სიტყვების, ასევე გამონათქვამის და მთლიანად ტექსტის მნიშვნელობის დაკონკრეტებისას. აქედან გამომდინარე, დეიქტური სიტყვები ქმნიან დახურულ სისტემას იმ კომუნიკაციურ და არაკომუნიკაციურ პირთა და საგნის/საგანთა, დროის და ადგილის აღსანიშნავად, რომელთა ერთობლიობაც სამეტყველო აქტის სოციალურ-კომუნიკაციურ ველს ქმნის.

## ბამოყენებულ ლიტერატურა

1. ენუქიძე, ლ., ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში. თბილისი, 1987.
2. გამყრელიძე, თ., ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003.
3. გრძელიძე, ჩ., პერფორმატივები ინგლისურ და ქართულ ენებში. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2004.
4. ინაური, ნ., ანთროპონიმთა სისტემა თანამედროვე ინგლისურ ენაში. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. სამეცნიერო ხელმძღვანელი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. კირვალიძე. თბილისი, 1999.
5. კირვალიძე, ნ., ნომინაციის კოგნიტური ასპექტი და არსებით სახელთა ტიპოლოგიის პრობლემა თანამედროვე ინგლისურ ენაში. // "საენათმეცნიერო ძიებანი", ტ. XXV, 2007. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალი. თბილისი, 2007, გვ. 97-110.
6. ლებანიძე, გ., კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი: "ენა და კულტურა", 2005.
7. წივნივაძე, მ., დისკურსის მონაწილეთა დეიქტური რეპრეზენტაცია და მათი სემანტიკურ-პრაგმატიკული თავისებურებანი თანამედროვე ინგლისურ ენაში. // საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი "ინტელექტი", 3 (26), თბილისი 2006, გვ. 139 – 142.

8. **Austin J.L.**, How to do things with words, London: "Oxford University Press", 1962.
9. **Bally, Ch.**, Linguistique generale et linguistique francaise. Berne: "Editions Francke", 1965.
10. **Bloomfield, L.**, Language. New York, 1933.
11. **Chomsky, N.**, Aspects of the theory of syntax. Cambridge: MIT, 1965.
12. **Chomsky, N.**, Syntactic structures. The Hague: Mouton, 1957.
13. **Chomsky, N.**, The logical structure of linguistic theory. New York: Plenum, 1975.
14. **Danes, F.**, Functional Sentence Perspective and the organization of the text. In: Danes F. ed., Papers on Functional Sentence Perspective, Prague: Academia - The Hague: Mouton, 1974, p. 106-128.
15. **Fillmore, Ch.**, The Case for Case. - In: "Universals in Linguistic Theory", New York, 1968, p. 1 - 88.
16. **Firbas, J.**, On the dynamics of written communication in the light of the theory of Functional Sentence Perspective. - In: C. Cooper, S. Greenbaum, eds. Studying Writing: Linguistic Approaches. Beverlie Hills: Sage, 1986, pp. 40 - 71.
17. **Harris, Z.S.**, Discourse Analysis. // Language, vol. 28, 1952, pp. 1 - 30.
18. **Here and there. Cross-linguistic studies on deixis and demonstration.** Amsterdam - Philadelphia, 1982.
19. **Jarvella, R.J. and W. Klein (Ed.)**, Speech, place and action. Studies in deixis and related topics. Chichester-New York-Toronto, 1982.
20. **Kirvalidze, N. and N. Inauri**, Object-Logical Typology of Anthroponyms in the English Language. // Bulletin of the

Georgian Academy of Sciences, Volume 155, 2, Tbilisi, 1997, pp. 307 - 311.

21. Lyons J. - Language and Linguistics (An Introduction). Cambridge University Press, 1995.
22. Peirce, Charles Sanders, <http://www>.
23. Quine, W. O., From a logical point of view. Cambridge (Mass.): Harvard University Press, 1953 .
24. Quine, W.O., Word and object. New York Boston, 1960.
25. Searle J.R., Speech acts:an essay in the philosophy of language. London: "Cambridge University Press", 1969.
26. Tesnière L., Esquisse d'une syntaxe structurale, Paris, 1953.
27. Балли,Ш.,Общаялингвистикаивопросыфранцузского языкознания. Москва, 1955.
28. Бенвенист Е., Общая лингвистика. Москва: «Прогресс», 1974, с. 288.
29. Бенвенист, Э., Уровни лингвистического анализа. – В кн.: «Новое в лингвистике», вып. 4, Москва: «Прогресс», 1965.
30. Кирвалидзе, Н., Семантика и текстообразующие функции английских дейктических слов. Тбилиси: «ТГУ», 1981;
31. Кондаков, Н. И., Логический словарь, М.: «Наука», 1971, с. 339.
32. Лингвистический энциклопедический словарь, М.: «Наука», 1990.
33. Якобсон Р. О., Шифтеры, глагольные категории и русский глагол. – В кн.: Принципы типологического анализа языков различного строя. Москва: «Наука», 1972, с. 95-113.